პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის გამზირი, № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები 15 და 20 მ.

პარასკევი, 4 მარტი 1927 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 50 (1805)

დღიური

- მოსალოდნელია მოლაპარაკების განახლება ლატვიასა და ესტონიასთან საგარანტიო ხელშეკრულების დასადებად.
- პოლონეთის სეიმის სასამართლომ გაამართლა დამოუკიდებელ პარტიის ლიდერი, ვოევოდსკი.
- კულიჯისა და ბორას კონფლიქტი საგარეო პოლიტიკის საკითხებში.
- შეტაკება მუკდენელებსა და უ-პეი-ფუს ჯარებს შორის.
- სუნ-ჩუან-ფანის არმიის დაშლა გრძელდება.

მხურვალე სალამი აფხაზეთის მუშებს და გლეხებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ექვსი წლის თავზე

ეს მოხდა სწორედ ექვსი წლის წინედ. ჩვენ ვიცით, რომ აფხაზეთის მუშების და გლეხების მთელი თანაგრძნობა თავიდანვე ოქტომბრის რევოლიუციისაკენ იყო. ერთ დროს, სახელდობრ 1918 წლის გაზაფხულზე, აფხაზეთში კიდევაც აფრიალებულ იქნა წითელი სოციალისტური დროშა, მაგრამ პატარა საბჭოთა აფხაზეთმა ვერ გაუძლო ქართველ მენშევიკების თავდასხმას, და საბჭოთა ხელისუფლება იქ დროებით დაეცა, მით უფრო, რომ ჩრდილოეთის მხრიდანაც მას მტერი ყავდა მოსაზღვრედ რუს-თეთრგვარდიელების სახით. ამგვარად აფხაზეთის მუშებს და გლეხებს წილად ხვდა საერთოდ მთელი საქართველოს მუშების და გლეხების ბედი. მთელი სამი წლის განმავლობაში ქართველ მენშევიკების მთავრობა მოსვენებას არ აძლევდა აფხაზეთის ხალხს; ქართველი მენშევიკები ისე, როგორც წინედ რუსეთის მეფის თვითმპყრობელი მთავრობა, სრულებით არ სცნობდენ აფხაზების, როგორც ცალკე ერის **უფლებებს კულტურულ და ეკონომიურ განვითარებაზე;** პოლიტიკურ ავტონომიაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

მენშევიკები თავის ბატონობის დროს მუდამ ამღვრევდენ წყალს აფხაზეთში. ბადებდენ შუღლს და განხეთქილებას ყველა იქ მცხოვრებ ერებში, მაგრამ ყველაზე უფრო ისინი აწუხებდენ და ავიწროებდენ აფხაზებს. იმათ მიზნად ქონდათ დასახული მთელი აფხაზეთის **ძალით გაქართველება.** ეს იყო ქართველ მენშევიკების თვითმპყრობელობის პოლიტიკა, დაგმობილი ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მიერ. ამ გარემოებას არ შეეძლო არ გამოეწვია აფხაზებსა და ქართველებს შორის უკიდურესი მძულვარება. და ეს გარემოება მომავალში კარგს არაფერს უქადოდა არც ქართველებს და არც აფხაზებს. მხოლოდ მენშევიკების ბატონობის დამხობას ერთი მხრით, და საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას მეორე მხრით, ძალუძდა სამუდამოდ ბოლო მოეღო ასეთ ურთიერთ მძულვარებისა და ეროვნული შუღლისათვის ორ მოძმე ერს შორის. მაგრამ უნდა ვთქვათ აქ, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა ამ მხრით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას აფხაზეთის ხალხის გამოფხიზლებისთვის, მის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებისათვის.

აფხაზები ძველისძველი ხალხია. აფხაზეთის ბუნება მეტად ლამაზი და მომხიბლავია. ის შესანიშნავია თავისი ჰავით და ბუნებრივი სიმდიდრით. ტყუილად კი არ ეტანებოდენ მას უხსოვარ დროიდან სხვადასხვა ქვეყნის ბედის მაძიებელნი და ავანტიურისტები. ეს ხდებოდა როგორც ძველ დროში და საშუალო საუკუნოებში, ისე შედარებით ახალ დროშიაც. აფხაზეთის ბუნების სიმდიდრით სარგებლობდენ ყველა ქვეყნის უცხოელი მტაცებლები და მტარვალები და თვით აფხაზებს კი მშრალზე ტოვებდენ. ეს კიდევ არაფერი. მეცხრამეტე საუკუნეში აფხაზ-გლეხების შევიწროებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ ისინი იძულებული შეიქნენ თავიანთი მიწა-წყალი მიეტოვებინათ და ოსმალეთში გადახვეწილიყვენ. ასეთი იყო იმპერიალისტური პოლიტიკა რუსეთის თვითმპყრობელობისა. სამაგიეროდ აფხაზ-გლეხების მიწა-წყალს უხვად ისაკუთრებდენ: მეფის გვარეულობა, თავადები, ღენერლები, ვაჭრები და სამღვდელოება. საუკეთესო ადგილები ამათ ჩაუვარდათ ხელში, გარდა იმისა. რაც შერჩათ თვით აფხაზეთის თავადებს, რომლებიც არა ნაკლებ აძრობდენ ტყავს აფხაზ-გლეხებს. ეს უკანასკნელები მხოლოდ მთებს აფარებდენ თავს.

ქართველ მენშევიკებს არსებითად არავითარი ცვლილება არ შეუტანიათ თვითმპყრობელობის პოლიტიკაში. რუსეთის იმპერიალიზმის ადგილას მათ მოინდომეს საქართველოს იმპერიალიზმის შეტანა აფხაზეთში. მაგრამ ასეთი პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა როგორც აფხაზეთის, ისე თვით საქართველოს მშრომელთა არსებით ინტერესებს. ამგვარად, ქართველ მენშევიკებმა მოინდომეს ახალი უღლის დადება აფხაზეთის ხალხის კისერზე და იმათ ეს რამდენიმედ კიდეც განახორციელეს. ამიტომ, აშკარაა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, რაც ნიშნავდა მენშევიკების უღლიდან განთავისუფლებას, აფხაზეთის ხალხი ხელაპყრობით მიეგება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან აფხაზი გათანასწორდა უფლებების მხრით ყველა სხვა ერთან და სამუდამოდ ბოლო მოეღო მის დამცირებას და აბუჩად აგდებას. რაც აფხაზი ხალხი არსებობს, მან პირველად იგრძნო თავისი თავი სრულუფლების მქონე ერად. აღმოსავლეთ ნაწილში. სწორედ ამ მიმა- **ბოლო მოეღო ან ყოველ შემთხვევაში გამოეცალა ყოველივე ნიადაგი შუღლს. მტრობას და სიძულვილს ქართველებსა და აფხაზებს შორის,** რასაც დასაწყისი მიეცა განსაკუთრებით მენშევიკებს ბატონობის დროს.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა აფხაზეთის ხალხს ყოველივე ის, რაც მას წართმეული ქონდა როგორც მეფის, ისე მენშევიკების ბატონობის დროს. მაგრამ დროთა-ვითარების უკუღმართობის გამო აფხაზეთის ხალხი თავისავე ტერიტორიაზე აღმოჩნდა როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად ყველაზე უფრო ჩამორჩენილი და გაფცქვნილ-გაყვლეფილი. აუცილებლად საჭირო შეიქნა მისი **ფეხზე დაყენება.** ყველასათვის ადვილი გასაგებია, რომ თავისი საკუთარი ძალით იგი ამას ვერ შესძლებს. მან უნდა მიიღოს დახმარება როგორც **მოძმე საქართველოდან,** რომელთანაც ის ისტორიულად და კულტურულად დაკავშირებულია, ისე **საბჭოთა კავშირისაგან.** შეძლების დაგვარად აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად განაგებს თავის შინაურ საქმეებს, ამ დახმარებას ღებულობს. საბჭოთა აფხაზეთის ხალხს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით საშუალება **მიეცა გაეცნოს და ეზიაროს თანამედროვე კულტურას, სწავლა - ცოდნას, მეცნიერებას** და სხვ. ამიერიდან აფხაზეთის **ისტორიაში იშლება სრულიად ახალი გვერდი.** ეს არის აფხაზეთის **ხალხის კულტურული და ეკონომიური აღორძინების ხანა.** ეს მეტად ძნელი და რთული ამოცანაა. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, დღევანდელი პატარა აფხაზეთის ტერიტორია დასახლებულია სხვადასხვა ეროვნების ხალხებით, რომლებიც დაშორებულია ერთმანეთისაგან კულტურულად, ენით, ზნე-ჩვეულებით, სარწმუნოებით და სხვ. და სხ. გარდა, ამისა ამ უკანასკნელებში ურევიან ისეთი ელემენტებიც, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ აფხაზეთში **აფხაზები პირველ რიგში უნდა იყვენ ჩაბმული სახელმწიფო საქმეების მართვა - გამგეობაში.** ეს ელემენტები ჯერ კიდევ ვერ გამოსთხოვებიან სავსებით ძველ შეხედულებათ, მაგრამ ისტორია და განსაკუთრებით საბჭოების პრაქტიკა აიძულებს იმათ უარყონ ასეთი შეხედულებები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისტორია თვით იმათ გარიყავს.

როგორც აფხაზეთის, ისე საქართველოს ყველა ერის მშრომელთათვის **4 მარტი** მენშევიკების უღლისაგან განთავისუფლების დღეა. მაგრამ რადგანაც მენშევიკები იმავე დროს ევროპის იმპერიალისტების მოციქულები იყვენ და არიან დღესაც, ამიტომ ეს დღე არის აგრეთვე აფხაზეთის მუშების და გლეხების ევროპის იმპერიალიზმის უღლიდან დახსნის დღე. დღე, ზეიმით და შვება - ლხენით აღინიშნოს ეს დღე აფხაზეთის მშრომელების მიერ.

გაუმარჯოს საბჭოთა აფხაზეთს, სოციალიზმის გზით წინმიმავალს!

ფ. მახარაძე.

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა

(პრავდას მოწინავე წერილი)

დიპლომატიას ვერსალის შემდეგ თავის აქტივში აქვს მხოლოდ ერთი „მიღწევა“, რომელსაც განუწყვეტლივ იმეორებენ პოლიტიკური მოღვაწენი და ბურჟუაზიული პრესა. ეს არის ცნობილი ლოკარნოს ხელშეკრულობა, რისთვისაც ჩემბერლენს, ბრიანს და შტრეზემანს მშვიდობიანობის ნობელის პრემია უბოძეს.

ევროპის სამ სახელმწიფოთაგან—ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია,—ყოველი მათგანი, ყოველ შემთხვევაში თავის ოფიციალურ წარმომადგენელთა სახით, ყოველმხრივ კმაყოფილებას გამოსთქვამს ამ ხელშეკრულობის გამო, მაგრამ ამასთანავე, თავის თავად გასაგებია, რომ მასში სდებენ სულ სხვადასხვაგვარ აზრს.

ინგლისის იმპერიალიზმისათვის ლოკარნოს შეთანხმების უმთავრესი ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ მან ინგლისს მისცა საშუალება უმაღლესი მოსამართლის ადგილი დაეჭირა გერმანიისა და საფრანგეთის შორის ბრძოლაში. ამასთან ერთად, ლოკარნო არის პირველი ეტაპი ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მთლიანი ფრონტის შექმნისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ მხრივ ლოკარნოს შენობას ბრიტანეთის დიპლომატიის თვალსაზრისით აკლია დამაგვირგვინებელი გუმბათი. აქედან პერიოდულად წარმოშობილი ლაპარაკი „ლოკარნოს გაფართოებაზე“, ევროპის სახელმწიფოთა, ან ყოველ შემთხვევაში ოთხ დიდ სახელმწიფოთა: ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის ახალ შეთანხმებაზე, რომელმაც „მშვიდობიანობა უნდა უზრუნველჰყოს აღმოსავლეთ ევროპაში“, ე. ი. დიპლომატიური ენიდან სამხედრო ენაზე გადათარგმნით—საბჭოთა კავშირის დიპლომატიური გარემოცვა.

ეს გეგმები მრავალ მიზეზთა გამო ჯერ კიდევ ძალიან შორსაა განხორციელებისგან. ლოკარნოს, ინგლისური გაგებით, არ მოუცია ჯეროვანი მოსალოდნელი ნაყოფი.

რაც შეეხება სხვა ორ უმთავრეს პარტნიორს (იტალიაზე ჯერ არაფერს ვამბობთ), მათი საგარეო პოლიტიკის ზრახვათა ფარგლები, ცხადია, არ მდგომარეობს იმაში, რომ მხოლოდ ბრიტანეთის „ფორეინ ოფის“-ის ბრძანებით იმოქმედონ.

პირიქით, ფაქტების მთელი რიგი, დაწყებული ტუარში მოლაპარაკებით და გათავებული ცალკე შეთანხმებებით საფრანგეთისა და გერმანიის მრეწველობის შორის გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის და გერმანიის კაპიტალს არაფერი აქვს საწინააღმდეგო შეთანხმდენ ზოგიერთ საერთო მოქმედებათა შესახებ.

გერმანიის რკინის გზის და მრეწველობის ობლიგაციების ერთდროული რეალიზაციის გეგმა, რომელიც ტუარში იყო დასახული, დაიშალა ინგლისის და ამერიკის წინააღმდეგობით იმის გამო, რომ გერმანიის მიერ წამოყენებული მოთხოვნილება (რეინის ოლქის დაუყოვნებლივ ევაკუაცია ყოველი პირობის გარეშე) მეტად დიდათ მოეჩვენათ მით უფრო. რომ საფრანგეთის მთავრობამ იმ ხანისათვის რამდენადმე შესძლო ინფლიაციის ძლევა.

მაგრამ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება არ მოხსნილა დღის წეს-რიგიდან. ლაპარაკი მის შესახებ კვლავ სწარმოებს. ამასთანავე, სრულიადაც არ ფარავენ განზრახვას გამოიყენონ ის ფაქტი, რომ ინგლისი, ჩინეთის ამბების გამო მეტად ძალიან არის მოწყვეტილი ევროპის საქმეებს. არნოლდ რეხბერგი,—საფრანგეთ-გერმანიის დაახლოების პროპაგანდისტი, საფრანგეთ-გერმანიის კალიუმის მრეწველობის კარტელის შესახებ ამას წინედ სწერდა:

„გერმანიის კალიუმის სინდიკატში გაერთიანებული კალიუმის მრეწველობის პოლიტიკა, შეიძლება განვიხილოთ როგორც ისეთი სახელმძღვანელო პოლიტიკა, რომელსაც უნდა მისდიოს გერმანიამ მას შემდეგ, რაც ინგლისმა, აზიაში უწესრიგობის გავრცელების გამო იმდენად გაიტეხა სახელი ქვეყნის ამ ნაწილში, რომ შეუძლებელი გახდა ლონდონის კაბინეტის აქტიური პოლიტიკური ჩარევა ევროპის საქმეებში, გერმანიის მთავრობამაც სერიოზული ანგარიში ევროპის კონტინენტზე უნდა გაუწიოს მხოლოდ საფრანგეთს. ფაქტიური შეთანხმება გერმანიასა და საფრანგეთს შორის, გერმანიისათვის მთელ დანარჩენი ქვეყნის მიმართ უზრუნველყოფდა ისეთივე ძლიერ პოზიციას, რომელსაც გერმანიის კალიუმის მრეწველობამ თავისი სამეურნეო ინტერესების შეზღუდულ სფეროში მიაღწია საფრანგეთის მრეწველობასთან კავშირის მეოხებით“.

ბატონ რეხბერგს მხედველობაში აქვს არა მარტო ინგლისის ზრდილობიანი შევიწროება, არამედ იგი დარწმუნებულია. რომ საფრანგეთ-გერმანიის კალიუმის კავშირი ევროპის განვითარების გზებს განსაზღვრავს კიდევ იმ მხრივაც, რომ „დაამხობს ნაციონალ - ბოლშევიკების ფანატიკოსების მთელ პოლიტიკას, რომელთაც სურთ გადააქციონ გერმანია ანთებულ ცეცხლად, რომელიც ევროპას უნდა მოედოს“. მონოპოლიურ მოგებათა განაწილება ინგლისის საზიაროდ, ურთიერთის დაზღვევა რევოლიუციისა და ბოლშევიკური სენის გადადებისაგან—ასეთია საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების პლატფორმა.

მაგრამ ამ საერთო მუხლებში მაშინვე იწყება უთანხმოება. იგივე რეხბერგი, როცა ლაპარაკობს საფრანგეთის და გერმანიის მრეწველობის შორის შეთანხმებაზე, ამ შეთანხმებებში იგი ხედავს იმ რკინის სალტის ფაქტიურ გაგლეჯას. რომელიც გერმანიას აქვს შემორტყმული ვერსალის საზავო ხელშეკრულებით.

ლოკარნოს პოლიტიკა და ტუარის პოლიტიკა გერმანიის ბურჟუაზიისათვის მხოლოდ პირველი ეტაპია გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინების, დიდი სახელმწიფოების ეგრედ-წოდებულ კონცერტში გერმანიის წინანდელი მდგომარეობის აღდგენის და წინანდელი კოლონიალური პოზიციების დაპყრობს გზაზე. სწორედ ამ პერსპექტივების თვალსაზრისით უჭერენ მხარს გერმანელი ნაციონალისტები შტრეზემანის პოლიტიკას, და მათ ოდნავადაც არ ეთაკილებათ პაციფიზმის იარლიკი, რომელსაც სოციალ-დემოკრატები ასე ერთგულად აკრავენ შუბლზე.

მაგრამ თუ ბურჟუაზიული გერმანია ლოკარნოს განიხილავს, როგორც თავისი ძლევამოსილების აღდგენის პირველ ნაბიჯს, სამაგიეროდ საფრანგეთისათვის ამ შეთანხმების მთელი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ იგი სტოვებს ერთგვარ ნიადაგს ევროპის კონტინენტზე საფრანგეთის საბრძოლველად. ეს საკმაოდ გულახდილად გამოსთქვა საფრანგ.-გერმანიის დაახლოების ისეთმა მომხრემ, როგორიცაა ბრიანი. თუ რეხბერგისათვის საფრანგეთ - გერმანიის დაახლოების აზრი მდგომარეობს ვერსალის ხელშეკრულების დარღვევაში, სამაგიეროდ ბრიანისათვის დაახლოებს გამოსავალი წერტილი არის სწორედ ეს ვერსალის ხელშეკრულება, რომელიც, ბრიანის აზრით. ლოკარნოს შემდეგ თავისუფლად ღიარებულ კონვენციად გადაიქცა“. ბრიანი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ „ლოკარნო არ გვიშლის ხელს ჩვენ (ე. ი. საფრანგეთს), რომ დემილიტარიზაციაქმნილ რეინის ზონაში გადავიდეთ პოლონელებისა და ჩეხებს დასახმარებლად, თუ მათ თავს დაესხმიან“. სხვა სიტყვებით, ვერსალის ხელშეკრულება და საფრანგეთის სამხედრო ჰეგემონისა. ბრიანის თვალში, ევროპის საერთაშორისო წესრიგის მთავარ საფუძვლად რჩებიან. თითქოს იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინოდ წარმოიდგინოს ეს ჭეშმარიტება. საფრანგეთის სამხედრო მინისტრი პენლევე გამოდის თავისი გეგმით, რომ მთელი საფრანგეთის საზღვრის გასწვრივ შეიქნას ტრანშეის და გამაგრებული პუნქტების ხაზი. მანამ, სანამ ეს „მშვიდობიანობის საქმე“ არ დამთავრდება. სანამ არ მოხდება საფრანგეთის არმიის ორგანიზაცია, შეუძლებელია რეინის პროვინციის ევაკუაციის მოხდენაო. ასე განმარტავს პენლევეს განცხადებას გერმანიის პრესა. ადვილი მისახვედრია, რომ „ფორვერტსი“ მწუხარებით აღნიშნავს „ლოკარნოს ხელშეკრულების ღირებულების“ დაცემას.

თუმცა ბრიანის განცხადებამ ერთის მხრით შეიძლება სიამაყით აღავსოს სოციალ-ყუმბარისტების გული. ბრიანმა აღნიშნა მათი ბეჯითობა საბჭოთა კავშირის მიმართ ცილისწამების საქმეში, როგორც ერთ-ერთი დამტკიცება იმისა, რომ „გერმანია სულ უფრო იჟღინთება ლოკარნოს სულით“. ბრიანი მიესალმა „გერმანიის პირის შებრუნებას დასავლეთისაკენ“. ბრიანმა რაპალოს ხელშეკრულების დადების მომენტი დასახა, როგორც მეტად სახიფათო მომენტი „ევროპის აღდგენის საქმისათვის“. ბრიანი ჯვარს ეცვა იმ განგაშის გამო, რომელიც მან განიცადა კონფერენციაზე კანაში, „როცა ბოლშევიკები ზეგავლენას ახდენდენ გერმანელებზე“.

ამგვარი მოტივების სიმრავლემ ბრიანის განცხადებაში არ შეიძლება არ გამოიწვიოს მეტად სამწუხარო აზრები. საფრანგეთ-გერმანიის დაახლოებას, რომელიც, ალბად, განხორციელდება ტრანშეისა და საზღვრების სიმაგრეთა ხაზით. არ შეუძლია უფრო მკვიდრი საფუძველი გამონახოს, ვიდრე ძველი ლეგენდა ღარიბი გერმანიის შესახებ, რომელიც „შეაცდინეს ბოროტმა ბოლშევიკებმა“. საეჭვოა, რომ ამ ასეთ წინასწარ პირობებში ამ მოძრაობამ შესძლოს მშვიდობიანობის საქმისათვის ხელის შეწყობა.

მოსკოვი, 3 მარტი.

შრომითი საგზაო ბეგარის შესახებ*)

1926 წ. თებერვალს ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი სოფლის მოსახლეობის შრომითი საგზაო ბეგარის შესახებ. ამ დეკრეტის გამოცემა გამოწვეულია იმით, რომ დაინტერესებული მოსახლეობის შრომა გამოყენებულ იქნას შარა და საურმე გზების შესაკეთებლად და რიგიან მდგომარეობაში მოსაქცევად.

გლეხობა გულისყურით მოეკიდა ამ კანონს. წარსულ წელში ეს დეკრეტი ფართოდ იქნა გამოყენებული, ადგილობრივ შეკეთებულია მრავალი გზა. დეკრეტის გატარების დროს, რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა მთელი რიგ ორგანიზაციული ხასიათის დეფექტებს, მაგრამ ისინი აუცილებელნი იყვნენ იმდენად. რამდენადაც ადგილები ჯერ კიდევ არ იყვნენ აღჭურვილნი საკმაო გამოცდილებით.

საგზაო ბეგარის დეკრეტის პრაქტიკულმა გატარებამ მალე აღმოაჩინა თვით ამ დეკრეტის მთელი რიგი ნაკლულევანებები.

პირველ ყოვლისა, დეკრეტის თანახმად, მოსახლეობის შრომითი საგზაო ბეგარა ტარდება მხოლოდ სათემო (საუბნო, დაირა) და სამაზრო მნიშვნელობის გზებზე.

მოსახლეობა უშუალოდ არის დაინტერესებული, რომ რიგიან მდგომარეობაში იყოს, აგრეთვე, რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებიც ისევე, როგორც ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, რადგან ყოველი, რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზა ემსახურება ადგილობრივი, მოსახლეობის საჭიროებებს. ამ მიზეზით, პრაქტიკამ გამოიწვია ის, რომ შრომითი საგზაო ბეგარა ვრცელდება, აგრეთვე, რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებზედაც. დაინტერესებული მოსახლეობის შრომის გამოყენების აუცილებლობა რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზების შეკეთებაზე გამოწვეულია იმით, რომ გზატკეცილების სამმართველოს, თანხების სიმცირის ნიადაგზე, არ შეუძლია სათანადო რიგიან მდგომარეობაში იქონიოს ეს გზები. ამისათვის დეკრეტს უნდა დაემატოს მუხლი, რომლის ძალითაც საჭირო შემთხვევებში შესაძლებელი იქნეს შრომითი ბეგარის გამოყენება რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებზედაც.

დეკრეტის თანახმად. შრომითი საგზაო ბეგარის შემოღებისა და გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამაზრო საბჭოების ყრილობის, დაირა, უბნის და სათემო საბჭოების ყრილობის განსაკუთრებული შუამდგომლობით.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ აბსოლიუტურად უვარგისია შრომითი ბეგარის შემოღება ასეთი სისტემით. შუამდგომლობა ბეგარის შემოღების შესახებ სათემო საბჭოსაგან სახკომსაბჭომდე და პასუხით სახკომსაბჭოსაგან სათემო საბჭომდე ჩვეულებრივ დადის ორი-სამი თვე. ბეგარის გატარება შეიძლება არა მთელი წლის განმავლობაში, არამედ გასაზღვრულ მოკლე პერიოდებში ამინდის მდგომარეობასთან და მოსახლეობის განთავისუფლებასთან დაკავშირებით სასეზონო სასოფლო-სამეურნეო მუშაობისაგან. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ ორი-სამი თვით ადრე გამოიანგარიშონ, თუ სწორედ რა დროს გაატარონ ბეგარა. ამიტომ წარსული წლის განმავლობაში ადგილები რომ მიჰყოლიყვნენ დეკრეტით ჩამოყალიბებულ წესს, მაშინ დღეს არ იქნებოდა შესრულებული იმ მუშაობის მესამედი ნაწილიც, რომელიც განხორციელებულია დღემდე გზების შეკეთების მხრივ. ფაქტიურად ადგილები არ მისდევდენ დეკრეტით დაკანონებულ წესს, რადგან ეს ყოვლად შეუძლებელი იყო.

საგზაო ბეგარას, სათემო საბჭოების შუამდგომლობით. ატარებდენ სამაზრო აღმასკომები, და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევებში აღწევდა შუამდგომლობა სახკომსაბჭომდე, რომელსაც მაშინ გამოჰქონდა დადგენილება, როცა, შესაძლებელია, მუშაობა უკვე დასრულებული იყო. გარდა ამისა, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ სახკომსაბჭოს უარეყოს შუამდგომლობა შრომითი ბეგარის გატარების შესახებ. სამაზრო აღმასკომები თვითვე კარგად გაერკვევიან თუ რომელი გზები უნდა შეკეთდეს, რომელი მოსახლეობა იქნას გამოყვანილი ბეგარაზე (კანონის ფარგლებში) და სხ. ამიტომ სახკომსაბჭოს დადგენილება ამ შემთხვევაში წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ, მექანიკურ და სრულიად ზედმეტ აქტს.

ამის გამო, დეკრეტი ისე უნდა შეიცვალოს, რომ შრომითი ბეგარის შემოღების უფლება ეკუთვნოდეს სამაზრო აღმასკომებს. ამასთან ერთად სათანადო ორგანოებმა უნდა გააძლიერონ თვალყურის დევნა ადგილების მიერ კანონის სწორ გამოყენებაზე; დეკრეტს შეიძლება დაემატოს მუხლი, რომლის თანახმად მოსახლეობის შრომის დაუდევრად გამოყენებაში დამნაშავე თანამდებობის პირები, საგზაო მუშაობაში შრომითი მონაწილეობის წესით, უნდა მიეცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით.

დეკრეტის თანახმად, იმ სოფლის ყოველი მოსახლე, სადაც ტარდება საგზაო ბეგარა, ვალდებულია გამოცხადდეს ბეგარაზე მისი კუთვნილი მუშა-საქონლით და გადასაზიდი საშუალებით; ამასთან მუშა-საქონლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორ სულს თვითეულ მეურნეობაზე. ეს მუხლი ობიექტიურად მიმართულია შეძლებულ მეურნეობათა სასარგებლოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელმოკლე მეურნეობანი იძულებული იქნებიან გამოიყვანონ სამუშაოზე მათ განკარგულებაში მყოფი მუშა-საქონლის მთელი 100 პროც., ხოლო შეძლებული მეურნეობანი — მუშა-საქონლის შედარებით მცირე ნაწილი. დეკრეტი იმნაირად უნდა შეიცვალოს, რომ ბეგარაზე გამოყვანილ იქნას მთელი მუშა-საქონელი და გადასაზიდი საშუალებები. მთელ რიგ ადგილებში ამნაირად უკვე დარღვეულ იქნა არსებული კანონი.

დაბოლოს, დეკრეტს უნდა დაემატოს მუხლი, რომლის ძალითაც შრომითი საგზაო ბეგარაში გაწვეული უნდა იქნან, აგრეთვე, სამუშაოზე ქალაქად გასული სოფლის მოსახლენი, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ სოფლის მეურნეობასთან; ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენ ხანს იმყოფებიან ისინი ქალაქში. ცხადია, რომ ასეთ პირთათვის ნატურალური ბეგარა შეიცვლება ფულადი ექვივალენტით.

შ. მათიკაშვილი.

---

*) კამათის წესით, რედ.

ამხ. სტალინის სიტყვა

ჩვენი საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ

(წარმოთქმული ოქტომბრის რკ. გზის სტალინის სახელობის სახელოსნოებში)

ომი მოსალოდნელი არ არის არც გაზაფხულზე და არც შემოდგომაზე.—ჩვენი პოლიტიკა აღმოსავლეთში არის ერთგვარი დათმობის პოლიტიკა.—ინგლის - საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტა პირველყოვლისა საზარალოა თვით ინგლისისათვის.

ჩვენი სამეურნეო განვითარების დედაბოძი იყო და არის საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია.—კაპიტალისტური ქვეყნები ინდუსტრიალიზაციისაკენ მიდიოდენ კოლონიების ძარცვის, ომების და გარეშე სესხის გზით.—საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია ხდება ერთი გზით — ესაა საკუთარ საშუალებათა დაგროვება.

ჩვენ ავაშენებთ სოციალიზმს უპარტიო მასებთან მჭიდრო კავშირის გზით.

იქნება თუ არა ომი

მოსკოვი, 3 მარტი. ორატორებს ჩვეულებრივ სჩვევიათ დაუსრულებელი ლაპარაკი, რომ მსმენელებიც დაუსრულებლივ უსმენდენ მათ. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ცოტა სხვანაირად მოვიქცევით. დავკმაყოფილდები მხოლოდ პასუხის გაცემით ცალკე ამხანაგების მიერ გადმოცემულ შეკითხვის ბარათებზე. ვფიქრობ, რომ ამნაირად კრება უფრო ცოცხლად ჩატარდება. თუ თანახმა ხართ, შეუდგები საქმეს.

შეკითხვების უმრავლესობა ტრიალებს ერთი საკითხის გარშემო—იქნება თუ არა ომი მიმდინარე წლის გაზაფხულზე ან შემოდგომაზე?

ჩემი პასუხია: „ჩვენ ომი არ გვექნება მიმდინარე წლის არც გაზაფხულზე და არც შემოდგომაზე.

წელს ჩვენ ომი არ გვექნება არა იმიტომ, რომ საერთოდ არ არსებობს იმპერიალისტური ომის საფრთხე. არა, ომის საფრთხე არსებობს. წელს ომი იმიტომ არ იქნება, რომ ჩვენი მტრები არ არიან ამ ომისათვის მომზადებულნი; იმიტომ, რომ ჩვენს მტრებს ყველაზე მეტად ამ ომის შედეგების ეშინიათ; იმიტომ, რომ დასავლეთის მუშებს არ უნდათ ომი საბჭოთა კავშირთან; დაბოლოს, იმიტომ, რომ ჩვენ მტკიცედ და [illegible] ვატარებთ მშვიდობიანობის პოლიტიკას. ეს გარემოებები აფერხებენ ომის დაწყებას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ“.

ჩვენი პოლიტიკა აღმოსავლეთში

დაასაბუთა რა ეს მდგომარეობა დასავლეთის დიდ და მცირე სახელმწიფოებთან ჩვენი დამოკიდებულების დარგიდან ამოღებული ფაქტებით, ამხ. სტალინი გადადის საბჭოთა კავშირის პოლიტიკაზე აღმოსავლეთში.

„ჩვენ გვეუბნებიან, რომ მეგობრული პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ ვატარებთ აღმოსავლეთის კოლონიალური და დამოკიდებულ ერთა მიმართ, ახასიათებს ერთგვარი დათმობა ჩვენს მხრივ და, მაშასადამე, ის ერთგვარ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ეს, რასაკვირველია, მართალია. მაგრამ ყოველი სხვა პოლიტიკა მიუღებელი იქნებოდა ჩვენთვის არა მარტო პრინციპიალური თვალსაზრისით, არამედ ჩვენი ხარჯების პოლიტიკითაც საგარეო პოლიტიკაში. რომ ჩვენ აქ პრინციპიალურად არ შეგვიძლია სხვა პოლიტიკის გატარება, გარდა მეგობრული პოლიტიკისა, ეს გამომდინარეობს თვით საბჭოთა ხელისუფლების ბუნებიდან, იმ ხელისუფლების, რომელმაც მოიშორა იმპერიალიზმის უღელი და მასზე თავისი ძლიერება ააგო“.

ამიტომ ამაზე არ გავაგრძელებ სიტყვას. საქმის ვითარება განვიხილოთ საგარეო პოლიტიკის ხარჯების თვალსაზრისით. ჩვენი სახელმწიფოს საზღვრები აღმოსავლეთ-ჩინეთთან, ავღანისტანთან, სპარსეთთან და ოსმალეთთან, როგორც ცნობილია, რამოდენიმე ათასი ვერსის მანძილზეა გაშლილი. ამ ამ საზღვრებზე ეხლა ჩვენ გვიცავს ჯარის მეტად უმნიშვნელო რაოდენობა, რომელიც მეგობრულ ურთიერთობაშია მოსაზღვრე სახელმწიფოების მოსახლეობასთან და ჩვენ გვაქვს საშუალება უდიდესი მომჭირნეობა გამოვიჩინოთ საზღვრების დაცვის საქმეში იმიტომ, რომ ჩვენ მეგობრულ პოლიტიკას ვაწარმოებთ ამ სახელმწიფოებთან.

მაგრამ დაუშვათ, რომ ამ ქვეყნებთან ჩვენ გვაქვს არა მეგობრული, არამედ მტრული ურთიერთობა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი თვითმპყრობელობის დროს. მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებოდით ამ საზღვრებზე გვყოლოდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული რამოდენიმე არმია და მთელი რიგი ნაღმოსნების, როგორც ამას სჩადიან ეხლა ზოგიერთი იმპერიალისტური სახელმწიფოები, მაგალითად შანხაის რაიონში. რას ნიშნავს რამოდენიმე არმიისა და სათანადო ფლოტის ყოლა ამ საზღვრებთან? ეს ნიშნავს იმას, რომ ამ არმიებისა და ფლოტისათვის ყოველწლიურად გვეხარჯა ასეული მილიონი მანეთი, ხალხის ფული. ესეც იქნებოდა აღმოსავლეთის პოლიტიკა. მაგრამ ეს იქნებოდა ანგარიშიანობას მოკლებული, უთავბოლო ხარჯვის, მეტად სახიფათო პოლიტიკა ყოველგვარ პოლიტიკათა შორის. აი, რატომ ვფიქრობ მე, რომ ჩვენი პოლიტიკა აღმოსავლეთში ყველაზე უფრო სწორი პოლიტიკაა პრინციპიალურადაც, ყველაზე უფრო სწორი პოლიტიკურ შედეგების თვალსაზრისითაც, და ყველაზე უფრო მეტი მომჭირნეობის პოლიტიკა ყველა შესაძლებელ პოლიტიკათა შორის აღმოსავლეთში. მე უკვე აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ ასეთი პოლიტიკა უზრუნველყოფს მტკიცე მშვიდობიანობას აღმოსავლეთში არა მარტო კოლონიალურ და დამოკიდებულ ქვეყნების მიმართ, არამედ იაპონიის მიმართაც.

რა გზას აირჩევს ინგლისი

მთელ რიგ ორატორთა გამოსვლების შემდეგ, რომელნიც შეეხენ დეპუტატთა ნაკაზს, ამხ. სტალინი კვლავ გამოვიდა კრების წევრთა ახალ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად.

ნება მიბოძეთ. პასუხი გავსცე ამხანაგების ახალ შეკითხვებს. ამ შეკითხვებში უმთავრესი ადგილი უჭირავს ორ საკითხს: ინგლის-საბჭოთა დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის შესაძლებლობის და ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობის ძირითად მიღწევათა საკითხებს.

დაარღვევს თუ არა ინგლისი 1921 წ. სავაჭრო ხელშეკრულებას? შესწყვეტს თუ არა იგი დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან?

რასაკვირველია, შესაძლებელია ურთიერთობის შეწყვეტა ინგლისის მხრივ, მაგრამ მე მგონია, რომ ეს ნაკლებ შესაძლებელია, ვინაიდან ზარალს გარდა ურთიერთობის შეწყვეტა მას არაფერს მისცემს. მე არაფერს ვამბობ იმაზე, რომ იმ მშვიდობიანი პოლიტიკის დროს, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა კავშირი, პასუხისმგებლობა კავშირის გაწყვეტისათვის იქნება ყველაზე უფრო მძიმე პასუხისმგებლობა ყველა იმ მძიმე პასუხისმგებლობათა შორის, რომელიც შეუძლია იკისროს მთავრობამ.

ჩვენში და მათი ინდუსტრიალიზაციის გზები

რაში მდგომარეობს ძირითადი მიღწევა სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში?

ჩვენ გვეუბნებიან ჩვენი აღმშენებლობის ნაკლულოვანებებზე. გვეუბნებიან, რომ ეს ნაკლულოვანებანი ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არაა. ეს მართალია, ამხანაგებო. ჩვენ ბევრი ნაკლულოვანებანი გვაქვს როგორც ქარხნებსა და ფაბრიკებში, ისე ჩვენი მმართველობის აპარატში. გასაკვირი იქნებოდა, რომ ნაკლულოვანებანი არ გვქონოდა იმ უდიდესი მუშაობის დროს, რომელიც ჩვენ ვიკისრეთ. მაგრამ საქმე ამ ნაკლულევანებებში არ არის. საქმე ეხლა იმაშია, რომ ჩვენი საკუთარი ძალებით შევსძლოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმის გაძღოლა.

რას ნიშნავს ჩვენი ქვეყნის გაინდუსტრიალება? ეს ნიშნავს აგრარული ქვეყნის გადაქცევას სამრეწველო ქვეყნად. ეს ნიშნავს ჩვენი ინდუსტრიის ახალ ტეხნიკურ საფუძველზე დაყენებას და განვითარებას.

არსად მსოფლიოში ჯერ არ მომხდარა, რომ უზარმაზარი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაქცეულიყოს ისე, რომ არ გაეძარცვოს კოლონიები, არ გაეძარცვოს სხვა ქვეყნები ან დიდი გრძელ ვადიანი სესხი არ მიეღოს უცხოეთში.

მოიგონეთ ინგლისის, გერმანიის და ამერიკის სამრეწველო განვითარების ისტორია და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს სწორედ ასეა. ამერიკაც კი, ყველაზე უფრო ძლიერი ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, სამოქალაქო ომის შემდეგ იძულებული იყო მთელ 30—40 წლის განმავლობაში ეზრუნა იმისათვის, რომ თავისი მრეწველობა შეექმნა სესხის, გარედან მიღებული გრძელ ვადიანი კრედიტების და მის მახლობლად მდებარე სახელმწიფოთა და კუნძულების გაძარცვის ხარჯზე.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავადგეთ ამ გზას? არა, არ შეგვიძლია, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების ბუნება ვერ ითმენს კოლონიალურ ძარცვას, დიდი სესხისა და გრძელ ვადიანი კრედიტების მიღების იმედი არ შეიძლება ვიქონიოთ. ძველი რუსეთი, მეფის რუსეთი ინდუსტრიალიზაციისაკენ მიდიოდა სხვა გზით: იგი იღებდა სესხს მეტად საზარალო პირობებში და ჩვენი მრეწველობის ძირითად დარგებს კონცესიონერებს აძლევდა ქვეყნისთვის საზარალო პირობებში. თქვენ იცით, რომ თითქმის მთელი დონის ქვანახშირის რაიონი, ლენინგრადის მრეწველობა ნახევარზე მეტი და მთელი რიგი რკინის გზები, თუ არაფერს ვიტყვით ელექტრონის მრეწველობაზე. უცხოეთის კაპიტალისტების ხელში იყო. ეს იყო ინდუსტრიალიზაციის გზა საბჭოთა კავშირის ხალხების ხარჯზე, მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ. ცხადია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ გზაზე დადგომა. ჩვენ იმიტომ კი არ ვებრძოდით კაპიტალიზმის მონობის უღელს, იმიტომ კი არ ჩამოვაგდეთ კაპიტალიზმი, რომ შემდეგ ნებაყოფლობით დავმონებოდით კაპიტალიზმს.

ჩვენი ძირითადი სამეურნეო მიღწევა

რჩება ერთი გზა—საკუთარ დაგროვებათა გზა, მომჭირნეობის გზა, მეურნეობის ანგარიშიანობის ნიადაგზე დაყენების გზა, რომ დავაგროვოთ აუცილებელი თანხები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. ზედმეტია ლაპარაკი, რომ ეს ამოცანა ძნელია. მაგრამ ამ სიძნელეთა მიუხედავად, ჩვენ მას უკვე ვსწყვეტთ. დიახ, ამხანაგებო, სამოქალაქო ომის 4 წლის შემდეგ ჩვენ ამ ამოცანას უკვე ვსწყვეტთ. აი, რაშია საკითხი. აი, რაშია ჩვენი ძირითადი მიღწევა. ჩვენ ამ წელში მრეწველობის საჭიროებისათვის ვხარჯავთ 1.300.000.000 მან. ჩვენ ამ ფულით ვაშენებთ ახალ ქარხნებს, რემონტს უკეთებთ ძველ ქარხნებს, ვიყენებთ ახალ ტეხნიკას, ვამრავლებთ მუშათა კლასის რაოდენობას.

ჩვენ ამგვარად მივაღწიეთ იმას, რომ საკუთარ დაგროვებათა ნიადაგზე ვუყრით საძირკველს ახალ მრეწველობას. ჩვენ ამგვარად მივაღწიეთ იმას, რომ საკუთარი თანხებით ვაშენებთ ახალ სოციალისტურ მრეწველობის უზარმაზარ შენობას. აი, რაშია ჩვენი ძირითადი მიღწევა ამხანაგებო.

ამბობენ, რომ ამ უზარმაზარ შენობას აქვს ზოგიერთი ნაკლულოვანებანი, რომ ჩუქურთმები ისეთი არაა, როგორიც უნდა იყოს, რომ აქა-იქ შპალერი ცუდია, რომ იქ, სადღაც კუთხეში ნაგავი ჯერ კიდევ დაუხვეტელია. ყოველივე ეს ასეა. მაგრამ განა საქმე ამაშია, განა ამაშია უმთავრესი რამ. ახალი მრეწველობის უზარმაზარი შენობა შენდება თუ არა? დიახ, შენდება. და შენდება თუ არა ეს შენობა საკუთარ საშუალებათა ხარჯზე? დიახ, საკუთარ საშუალებათა ხარჯზე. განა ცხადი არაა, რომ სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში, ინდუსტრიალიზაციის საქმეში ჩვენ უკვე მივაღწიეთ მთავარს და ძირითად რამეს. აი რაშია ჩვენ მიღწევათა საფუძველი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში.

ზოგიერთ ამხანაგს აქვს მიდრეკილება, რომ ეს მიღწევანი მხოლოდ ჩვენს პარტიას მიაწერონ. ამით აიხსნება ის, რომ ზოგიერთი ამხანაგები ჩვენს პარტიას უზომოდ, გადაჭარბებულად აქებენ. ამითვე უნდა ავხსნათ, რომ ზოგიერთი კომუნისტი იკვეხნის და მედიდურობს,—ეს არის პატარა ცოდვა, რომელიც სამწუხაროდ ჯერ კიდევ ახასიათებს ჩვენს ამხანაგებს. რასაკვირველია, ჩვენი პარტიის პოლიტიკის სისწორემ უდიდესი როლი ითამაშა ამ წარმატებათა მიღწევის საქმეში. ჩვენი პარტიის პოლიტიკა გროშად არ ეღირებოდა, რომ მას ნამდვილ, მეგობრულ დახმარებას არ უწევდენ უპარტიო მუშათა მრავალ მილიონიანი მასები. სწორედ ამით არის ძლიერი ჩვენი პარტია, რომ მას მხარს უჭერენ უპარტიო მუშათა მასები.

ამხანაგებო!

გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ერთობას უპარტიო მასებთან! (მხურვალე ტაში).

ფოტ. კოზაკი.



ინგლისის ნოტის „გამარჯვება“

(„იზვესტიას“ მოწინავე წერილი)

იმ „დანაშაულთა“ რიცხვს, რომლებსაც უყენებს ინგლისის ნოტა საბჭოთა კავშირის მთავრობას, როგორც ცნობილია, ეკუთვნის „გზააბნეულობა“, რომელიც სჩვევია ჩიჩერინს და მის კოლეგებს, სახელდობრ, რომ დიდი ბრიტანეთი განუწყვეტლივ აწყობს შეთქმულებებს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ.

თავის საპასუხო ნოტაში საბჭოთა კავშირის მთავრობამ არ სცნო საჭიროდ თავი ემართლებია ამ „ბრალდებისაგან“ და დაემტკიცებია, რომ სრულიად უსაფუძვლოა რწმენა ინგლისის საგარეო პოლიტიკის ანტისაბჭოთა ხასიათზე.

„იზვესტია“ შემდეგ უკეთებს მოკლე მიმოხილვას ევროპის გაზეთებს და დაასკვნის:

„ჩვენ დაგვრჩა გამოუყენებელი მრავალი ინფორმაცია, რომლებიც მჭერმეტყველურად მოწმობენ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანტისაბჭოთა ზრახვებს. ჩვენ არ შევეხებივართ ინგლისის დიპლომატიის მთელ რიგ საქმიანობას ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს გარეთ. ხოლო ამავე დროს კი საკმარისი იყო მოგვეგონებოდა ჩერჩილის გამგზავრება რომში, რომ აღგვედგინა წარმოდგენა ინგლისის დიპლომატიის ანტისაბჭოთა მუშაობაზე ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. სწორედ ამ მიმართულებით უკეთებდა ერთ დროს კომენტარიებს ჩვენი პრესა ჩერჩილის სიტყვებს და გამოსვლებს რომში. დღეს ევროპის პრესა აღარ უარჰყოფს ინგლისის აშკარა განზრახვას — წამოაყენოს იტალია მოწინავე ანტისაბჭოთა ძალად ევროპის სამხრეთ - აღმოსავლეთ მხარეში. ჯერ კიდევ ნაადრევია ჯამი გაუკეთოთ იმ გავლენას, რომელიც იქონია ინგლისის ნოტამ მთელ რიგ სახელმწიფოების პოლიტიკაზე საბჭოთა კავშირის მიმართ. მაგრამ ერთი შედეგი, მაინც, უკვე თვალსაჩინოა. ინგლისის დიპლომატიამ ვერ შესძლო და ვერც შესძლებს ვინმეს დარწმუნებას იმაში, რომ ვითომ ინგლისის პოლიტიკა არ ატარებდეს აშკარად გამოხატულ ანტი-საბჭოთა ხასიათს. ნოტამ გამოააშკარავა ინგლისის დიპლომატიის ეს უნაყოფო ცდა და ამით აიძულა ევროპის საზოგადოებრივი აზრი გამოეთქვა თავისი შეხედულება ამ საკითხზე. ამ მხრივ უდავოა ინგლისის ნოტის „გამარჯვება“.

მოსკოვი, 3 [illegible]

საბჭოთა პრესა

საჭირო შესწორებანი

ამას წინედ მოსკოვში შესდგა სრულიად საკავშირო თათბირი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. მან იქონია მსჯელობა ეხლა მოქმედ საგადასახადო კანონების გარშემო და საჭიროდ სცნო მასში ზოგიერთ შესწორებათა შეტანა. თათბირის უმთავრეს გადაწყვეტილებებს „ბედნოტა“-ში ამხ. მ. ლივენსკი ასე გადმოგვცემს:

„პირველი—ესაა იმ რაიონების შემდგომი გაფართოების აუცილებლობა, რომელნიც იბეგრებიან ნათესების მიხედვით. მეორეა, გადაწყვეტილება იმაზე, რომ უნდა დაიწყოთ მიწის დაბეგვრა მისი ხარისხის გათვალისწინების საფუძველზე, თუ ცალკე კომლების საშუალებით არა, ცალკე სოფლების მიხედვით მაინც. მესამე ესაა გადასახადებისაგან ღარიბ გლეხობის განთავისუფლების წესის შეცვლა: დაუბეგრავ მინიმუმის დაწესება მეურნეობაზე და არა სულზე და ამით მიმდინარე წლის ნაკლულევანებათა აცილება, რათა გადასახადისაგან თავისუფლდებოდენ საკმაოდ შეუძლო მეურნეობანი. მეოთხე, თათბირმა საჭიროდ სცნო, რათა მიწათმოქმედების გარეშე შემოსავლის დაბეგვრის დროს, მცირე შეძლების მეურნეობებში არ იბეგრებოდეს წვრილი შინა მრეწველური შემოსავალი. მეხუთე—დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხს, თუ როგორ უნდა იქნეს აგებული დაბეგვრის პროგრესია: თვითეული სუ- [illegible]

წარსულ წელში მთავრობამ უკრაინისათვის სანიმუშოდ დაუწესა დაბეგვრა, როგორც ცალკე სულის, ისე მეურნეობის შემოსავლის ქვალობაზე. იმის თქმა, თუ რამდენად გამართლდა ეს მეთოდი, ძნელია. მისი შესწავლისათვის მეტად ხანმოკლე დრო მოგვეცა და ამ წესის მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელება სახიფათოა. ამიტომ თათბირმა დაადგინა რამოდენიმედ გაფართოვდეს ხსენებული წესის გამოყენების არე. გარდა ამისა, ვინაიდან მჭამელის შემოსავლის მიხედვით დაბეგვრის წესის უმთავრეს ნაკლს შეადგენს მცირე ოჯახიან და მცირე შეძლებიან მეურნეობათა ზედმეტი დაბეგვრა, თათბირმა გადასწყვიტა, რომ კანონში უნდა იქნეს გათვალისწინებული ასეთი მეურნეობისათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება“.

როგორც ვიცით, სახ. სამ. გადასახადის ეხლანდელმა სისტემამ, მიუხედავად იმისა, რომ მას მრავალი არსებითი უპირატესობა აქვს წინანდელ კანონებთან შედარებით, მაინც ბევრი გაუგებრობა და უკმაყოფილება გამოიწვია. ჩვენი ინსპექციის გამოკვლევაში აღნიშნული იყო მოქმედი კანონის ნაკლულევანებანი, კერძოდ მიწის ხარისხის მიუღებლობა მხედველობაში ცალკე რაიონებად დაბეგვრის დროს და დაბეგვრის აგება სულობრივ პრინციპზე. [illegible] ამ მომენტს ანგარიშს უწევს თათბირი, რომლის გადაწყვეტილებათა უმეტესობა, ეჭვი არ [illegible]

„ზინოვიევის წერილის" საკითხი თემთა პალატაში

გერმანიის მთავრობა—„შუამავალი" ლონდონსა და მოსკოვს შორის

არაჩვეულებრივი ცემა-ტყეპა პოლონეთის სეიმში

ამ დღეებში ხელს მოაწერენ ოსმალეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულებას

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ისევ „ზინოვიევის" წერილი

ჩემბერლენი ძველ ზღაპრებს იმეორებს

ლონდონი, 2 მარტი. ინგლისის თემთა პალატის სხდომაზე კონსერვატორი **ლემლი** შეეკითხა ჩემბერლენს: არის თუ არა საბჭოთა საპასუხო ნოტაში რაიმე ისეთი, რაც საეჭვოდ ხდის მთავრობის დასკვნას იმის შესახებ, რომ ზინოვიევის წერილი არ იყო ყალბი, როგორც ეს განაცხადა ჩემბერლენმა თემთა პალატაში 1924 წლის 15 დეკემბერს. ამაზე ჩემბერლენმა უპასუხა:

„1924 წელს მთავრობა დამამტკიცებელ საბუთების მხოლოდ ზედმიწევნით შემოწმების შემდეგ მივიდა საბოლოო დასკვნამდე, რომ ზინოვიევის წერილი იყო ნამდვილი და არა ყალბი მას შემდეგ არაფერი ისეთი არ მომხდარა, რაც შეიძლება ეჭვს ბადებდეს ამ დასკვნის სისწორის შესახებ".

მუშათა პარტიის წევრმა **ტეილორმა** ჩემბერლენს მისცა კითხვა,—ჰქონდა თუ არა ამ წერილის ორიგინალი ოდესმე ხელში მთავრობას. ჩემბერლენმა უპასუხა:

„არა, არ ქონია, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთები ამ წერილის სინამდვილის შესახებ საკმაოდ დამარწმუნებელი იყო".

მუშათა პარტიის წევრი **ბეკეტი** შეეკითხა ჩემბერლენს, მიექცა თუ არა სათანადო ყურადღება ავსტრიის მთავრობის მიერ იმ ორი პირის დაპატიმრებას, რომელთაც განაცხადეს, რომ მათ დაამზადეს ეს ყალბი წერილი. ჩემბერლენმა უპასუხა, რომ მას ამისათვის არ მიუქცევია ყურადღება. კონსერვატორი ადმირალი **ხოულსი** შეეკითხა: „განა ფაქტი არ არის ის, რომ მაკდონალდმა სცნო წერილის სინამდვილე". **კენვორტი** (მუშათა პარტია): „ყველას შეუძლია შეცდეს" (სიცილი მთავრობის სკამებზე).

ხედსონი (მუშათა პარტია) შეეკითხა ჩემბერლენს—რატომ ამბობს ის უარს იმაზე, რომ საკითხი „ზინოვიევის წერილის" სინამდვილის შესახებ გადაეცეს სამედიატორო სასამართლოს. (სიცილი მთავრობის სკამებზე). კითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული. (ადს).

გერმანიის „შუამავლობის" გარემო

ლონდონი, 3 მარტი. „დეილი ტელეგრაფ"-მა 1 მარტს გამოაქვეყნა თავისი ბერლინელი კორესპონდენტის ცნობა, რომელშიაც აცხადებს, რომ გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ კორესპონდენტს გადასცა ნახევრად ოფიციალური ხასიათის ცნობა გაზეთის დიპლომატიური კორესპონდენტის განცხადების გამო იმის შესახებ, რომ გერმანიას სურს ითამაშოს „პატიოსანი შუამავლის" როლი მოსკოვსა და ლონდონს შორის". გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ცნობაში **ნათქვამია**: „გერმანიის შიშს ინგლის-რუსეთის ურთიერთობის გამწვავების გამო არავითარი საერთო არა აქვს შუამავლის როლში გამოსვლის სურვილთან. არ არის არავითარი საფუძველი—ნათქვამია განცხადებაში,—კერძოთ არავითარი ოფიციალური განცხადებები, რომლებიც ამართლებდნენ იმ თვალსაზრისს, რომ გერმანია ოდესმე ცდილობდა თავისი საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებას არბიტრის როლში გამოსვლით". (ადს).

საბჭოთა კავშირის მშრომელთა პროტესტი

ჩემბერლენის ნოტის წინააღმდეგ

რკ. გზელები პროტესტს აცხადებენ

გომელი, 3 მარტი. რკინის გზელების და წყალთა მეურნეობის მუშები აცხადებენ, რომ ისინი სავსებით მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას და მზად არიან დაიცვან საბჭოთა კავშირი ყოველგვარ მტრებისაგან. (ადს).

მუქარის წინააღმდეგ

ბობრუისკი, 3 მარტი. თავდაცვის ხელის შემწყობ საზოგადოების კონფერენცია აცხადებს, რომ კერზონის ნოტაზე პასუხი იყო საბჭოთა ესკადრილია „ულტიმატუმი", ჩემბერლენის ნოტაზე კიდევ უფრო მეტი სამხედრო მზადებით უპასუხებთ. (ადს).

ბაქოს პროლეტარიატის ხმა.

ბაქო, 3 მარტი. ბაქოს და მისი რაიონის მუშები აღშფოთებული არიან ინგლისის კონსერვატორების თავხედური ნოტით.

ბინაგადის რაიონის საბურღავი განყოფილების მექანიკურ სახელოსნოს მუშა-მოსამსახურენი თავის რეზოლიუციაში მოითხოვენ, რომ მთავრობამ ღირსეული პასუხი გასცეს თავაშვებულ შუბლმაგართ.

„ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა,—ნათქვამია რეზოლიუციაში, — მაგრამ, თუ თავზე მოგვახვევენ ომს, მაშინ ჩვენ, როგორც ერთი კაცი, დავდგებით ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე. ჩვენ მთლიანად ვუერთდებით ჩვენი მთავრობის საპასუხო ნოტას ინგლისის ლორდების ნოტაზე" (ადს).

ბაქო, 3 მარტი. საზოგადოება „შირაკი" ს და „რუსპერსახარის" თანამშრომელთა საერთო კრება პროტესტს აცხადებს ინგლისის იმპერიალისტების ახალი თავხედური გამოსვლის წინააღმდეგ, რომლითაც ისინი სცდილობენ ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ჩაშლას. კრების რეზოლიუცია აცხადებს:

„ინგლისის მთავრობის გამოსვლაში ჩვენ ვხედავთ ცდას საბჭოთა კავშირის შეტაკებისა ინგლისის რეაქციონურ ძალებთან" (ადს).

ბაქო, 3 მარტი. ნავთის ფლოტის სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი თავის რეზოლიუციაში აცხადებენ: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისის კონსერვატიული მთავრობის გამოსვლა წარმოადგენს შუბლმაგართა თავხედურ ჩარევას ჩვენს შინაურ საქმეებში. ინგლისის კაპიტალისტები სცდილობენ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის დაშინებას, მაგრამ ამას ისინი ვერ შესძლებენ. ჩვენ, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასსა და გლეხობასთან ერთად, შევძლებთ საკადრისი პასუხის გაცემას" (ადს).

ქიმიკოსთა კავშირის ყრილობა ჩემბერლენის ნოტის შესახებ

სრულიად საქართველოს ქიმიკოსთა კავშირის მეექვსე ყრილობამ, მოისმინა რა ცნობა ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მორიგი გამოსვლის შესახებ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, დაადგინა:

ყრილობა აღშფოთებით აღნიშნავს ინგლისის მთავრობის საქციელს და კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ასეთი მტრული ნაბიჯის გამო.

ქიმიკოსთა მეექვსე ყრილობა უცხადებს თავის სოლიდარობას ინგლისის მუშათა კლასს და აღიარებს, რომ საქართველოს ქიმიურ მრეწველობის პროლეტარიატი, როგორც ერთი კაცი დაიცავს საერთაშორისო მშვიდობიანობას და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ხელმძღვანელობას. ყრილობა აცხადებს, რომ მთელი პროლეტარიატი, საჭიროების დროს ერთხმად გამოვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსულ მტრებთან საბრძოლველად.

გაუმარჯოს საერთაშორისო მუშათა კავშირს და სოლიდარობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს!

ძირს, კონსერვატორი ავანტიურისტები!

ძირს, ფაშიზმი!

კომუნალური მუშაკთა პროტესტი

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მუშებმა, მოსამსახურეებმა და მასწავლებლებმა მოვისმინეთ რა ამხ. ვოლკოვის ცნობა ინგლისის კონსერვატიულ მთავრობის ნოტის შესახებ, ვაცხადებთ ყველას გასაგონად, რომ ვერ შეაშინებს ჩემბერლენის და სხ. კამპანიის ნოტა.

ყველა იმათ, ვინც განიზრახავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებას და შეეცდება ხელი შეუშალოს ჩვენს მშვიდობიან შრომას, ჯეროვან პასუხს გავცემთ.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას, რომელიც იცავს მშვიდობიან შრომას და სდგას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე!

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა მოძრაობის მთლიანობას!

მუშტი-კრივი

პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 2 მარტი. სეიმმა მიიღო კანონპროექტი 1927 წლის ახალწვეულთა გაწვევის შესახებ. პოლონურმა პარტიებმა დემონსტრატიულად დაადგინეს, მიიღონ კანონპროექტი უკამათოდ. კანონპროექტის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა უკრაინელმა დეპუტატმა ნაზარიუკმა.

სეიმის საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე მოხდა შემდეგი ინციდენტი: მემარჯვენე პარტიების ზოგიერთმა წარმომადგენლებმა მოითხოვეს განაპირა ადგილებისათვის მიცემულ მანდატების რიცხვის შემცირება, რასაც ასაბუთებდენ იმით, რომ განაპირა ადგილებში მოსახლეობის კულტურული დონე, თითქოს, უფრო დაბალია, ვინემ პოლონეთის დანარჩენ ნაწილებში. ამის გამო უკრაინელმა დეპუტატმა **ხრუცკიმ** განაცხადა:

— „თუ ჩვენ დასავლეთ უკრაინაში ვერ მივიღებთ ვერც ერთ მანდატს, ამით დასავლეთი უკრაინა ჩამოსცილდება პოლონეთს".

ხრუცკის მივარდენ მემარჯვენე დეპუტატები და ხოსინსკიმ მას მუშტი დაარტყა გულში. ხრუცკიმ დაიძახა: „აი თურმე რაში გამოიხატება დასავლეთ პოლონეთის უპირატესობა აღმოსავლეთისაზე". ინციდენტმა სეიმის წრეებში მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. (ადს).

ვოევუდსკის საქმე

ვარშავა, 3 მარტი. გუშინ დამთავრდა პოლონეთის გლეხთა დამოუკიდებელ პარტიის ბელადის ვოევუდსკის საქმის გარჩევა. სეიმის სამედიატორო სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი: სასამართლო აცხადებს, რომ ბრალდება თითქოს ვოევუდსკი იყო „ოხრანკის" აგენტი, ცნობებს აწვდიდა მას სეიმის დეპუტატების მუშაობის შესახებ და ამისათვის ჯილდოს იღებდა,—არ დამტკიცდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ ვოევუდსკი 1923 წლის იანვრამდე იყო გენერალურ შტაბის მეორე განყოფილების ნაციონალურ უმცირესობათა ქვე-განყოფილების რწმუნებული. ვოევუდსკი, გარდა თავისი ჩვეულებრივი მუშაობისა, ცნობებს აწვდიდა ქვე-განყოფილებას ბელორუსთა კლუბის პოლიტიკის და ზოგიერთ ბელორუს დეპუტატის მუშაობის შესახებ. ფულს, რომელსაც ის იღებდა ნაციონალურ უმცირესობათა ქვე-განყოფილებიდან, ვოევუდსკი ნაწილობრივ აძლევდა თავის ინფორმატორებს, დანარჩენს ახმარდა საარჩევნო კამპანიას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ოთხ რაიონში. ამის გამო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვოევუდსკის ინფორმაციას არ ჰქონდა ჯაშუშობის ხასიათი (ადს).

ბარტელმა სახელი გაიტეხა

ვარშავა, 3 მარტი. გაზეთი „ვარშავსკა პორანნა" ბეჭდავს სასამართლოს დადგენილებას ვოევუდსკის საქმის შესახებ და დასძენს, რომ ბარტელმა საბოლოოთ გაიტეხა სახელი იმით, რომ მან დაიცვა ვოევუდსკის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებანი. (ადს).

საფრანგეთის იმედები

„მეგობრობა" გაიხსენეს

პარიზი, 2 მარტი. უკანასკნელ დღეებში გაძლიერდა ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის აღდგენის ტენდენცია. საფრანგეთის ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ წრეებში კმაყოფილებით აღნიშნავენ ერთგვარ განშორებას ინგლისსა და გერმანიას შორის და იმ დახმარებას, რომელსაც ინგლისი უწევს საფრანგეთს ტანჟერის საკითხში მოლაპარაკების დროს. ბურჟუაზიულ პოლიტიკურ წრეებში იმედი აქვთ, რომ ინგლისმა საბჭოთა კავშირისადმი მტრული დამოკიდებულების გამო ხელი უნდა შეუწყოს პოლონეთის განმტკიცებას და მხარი დაუჭიროს საფრანგეთის მოთხოვნილებას პოლონეთის დასავლეთის საზღვრების უზრუნველყოფის შესახებ. (ადს).

სავაჭრო ხელშეკრულება

ოსმალეთთან

ანგორა, 3 მარტი. ანატოლიის სააგენტო იტყობინება:

„ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ დამთავრდა. შეთანხმება მიღწეულია ყველა მუხლში. შეთანხმება წინასწარ ხელმოწერილი იქნება ოთხშაბათს, ან შაბათს.

იმავე ცნობების მიხედვით, მიღწეულია შეთანხმება, რომელიც შეეხება ერთი ქვეყნის მოქალაქეების მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრების საკითხს" (ადს).

ჩინეთში

უ-პეი-ფუ ალყა შემორტყმულია

პეკინი, 2 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ მუკდენის ჯარები განაგრძობენ გადასვლას ყვითელ მდინარეზე. ისინი ცდილობენ ალყა შემოარტყან ჩენ-ჯოუს (უ-პეი-ფუს ბანაკი) იმ მიზნით, რომ აიძულონ უ-პეი-ფუმ უკან დაიხიოს. მუკდენელებს იმედი აქვთ, რომ უბრძოლველად აიღებენ ქალაქს.

ჩან-ცზუ-ჩანის კონტრიბუცია

პეკინი, 2 მარტი. გოვენის სააგენტოს ცნობით, ჩან-ცზუ-ჩანმა აცნობა ნანკინის სავაჭრო პალატას, რომ სამხედრო ხარჯები უნდა დაფაროს ოთხმა პროვინციამ. იუწყებიან, რომ ჩან-ცზუ-ჩანმა ადგილობრივ ბანკირებისაგან სესხად აიღო მილიონ ნახევარი დოლარი. (ადს).

ამერიკული „ცივილიზაცია"

პეკინი, 3 მარტი. იაპონიის სააგენტო „ტოხო" ჩუნკინიდან იტყობინება, რომ აქ ჩასულ ამერიკულ გემის კაპიტანმა მოითხოვა ყველა ჩინელ მგზავრების განდევნა. ჩინელმა მგზავრებმა, რომელთაც გადახდილი ჰქონდათ სამგზავრო ფული, უარი განაცხადეს ამ მოთხოვნილების შესრულებაზე.

გემის ადმინისტრაციამ გამოიწვია ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებმაც ძალით გამორეკეს ჩინელები გემიდან. ჩუნ-კინის ჩინელი მოსახლეობა აღშფოთებულია ამერიკელების ამგვარა საქციელით (ადს).

რუტენბერგის გარდაცვალება

ნიუ-იორკი, 3 მარტი. ურკერს პარტიის ცეკას წევრი, რუტენბერგი გარდაიცვალა 2 მარტს ჩიკაგოს ერთ-ერთ ჰოსპიტალში აპენდიციტის ოპერაციის შემდეგ. (ადს).

სამძიმრის დეპეშა

მოსკოვი, 3 მარტი. რუტენბერგის გარდაცვალების გამო პროფინტერნის აღმასბიურომ გაუგზავნა ურკერს პარტიის ცეკას შემდეგი დეპეშა:

„პროფინტერნის აღმასბიურო ღრმა თანაგრძნობას უცხადებს ურკერს პარტიის ყველა წევრებს და შეერთებული შტატების რევოლიუციურ მუშებს, რომელთაც რუტენბერგის სახით დაკარგა იმპერიალიზმისა და კაპიტალისტურ უღლობის წინააღმდეგ ერთი თავდადებული მებრძოლი. (ადს).

რეველის თათბირი

რიგა, 3 მარტი. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ცელენსმა განაცხადა, რომ ბალტიის ქვეყნების გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირზე რეველში ცენტრალური ადგილი ეჭირა საკითხს საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ საბჭოთა კავშირსა და ბალტიის სახელმწიფოებს შორის.

„არალოვის ახალი წინადადება, სთქვა ცელენსმა, შეეფერება ლატვიის და ესტონეთის ინტერესებს. ჩვენ განვიხილავთ ამ წინადადებას და შევიმუშავებთ მთელ რიგ კონტრ-წინადადებებს. შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების დადების დრო საგრძნობლად მოახლოვდა". (ადს).

ღამის ცნობები

პროტესტი ინგლისის ნოტის წინააღმდეგ.

მოსკოვი, 3 მარტი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიიღო იაკუტსკის საბჭოთა მე-5-ე ყრილობისაგან საპროტესტო დეპეშა ინგლისის ნოტის წინააღმდეგ (ადს).

„ჩუგაროვშჩინა".

ბაქო, 3 მარტი. ქალაქის მოსახლეობა აღშფოთებულია „აზნეფტ"-ის მოსამსახურის 20 წლის ქალიშვილის საველიევას საზიზღარი მკვლელობით. მკვლელობა მოხდა საფაბრიკო-საქარხნო რაიონის მიყრუებულ ადგილას; საველიევა გააუპატიურეს.

საველიევას დასაფლავებამ დიდძალი ხალხი მიიზიდა. დასაფლავება ნამდვილ დემონსტრაციად იქცა.

იქვეთ შეიპყრეს რამდენიმე კაცი. საფაბრიკო-საქარხნო რაიონის მუშებმა გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ დამნაშავეების სასტიკად დასჯას. ასეთივე რეზოლიუციები გამოიტანეს ყველა მუშათა კრებებმა (ადს).

ზალესკი ჟენევაში მიდის.

ვარშავა, 3 მარტი. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ჟენევაში მიდის ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე მონაწილეობის მისაღებად (ადს).

ნორმანი ბერლინში.

ბერლინი, 3 მარტი. ინგლისის ბანკის დირექტორი ნორმანი ბერლინში ჩავიდა (ადს).

აფეთქება მაღაროებში.

ლონდონი, 3 მარტი. 2 მარტს თემთა პალატაში ოფიციალურად აცნობეს, რომ მაღარო „ველში" აფეთქებათაგან დაღუპულთა რიცხვი უდრის 25 კაცს, ნოტინგამშირში—18 კაცს.

2 მარტს ბოლდუინმა ინახულა მაღარო, რომელშიაც მოხდა კატასტროფა და დაიღუპა 51 კაცი. მემაღაროებმა პრემიერის წინააღმდეგ დემონსტრაცია გამართეს. ისმოდა ხმები: „დეე, ის ჩაეშვას მაღაროში! რა ისმის 8 საათის სამუშაო დღის შესახებ?" (ადს).

გამოძახილი საბჭოთა ნოტაზე

ნიუ-იორკი, 3 მარტი. საქმიან წრეების ორგანო „ჟორნალ ოფ კომმერს" ეხება საბჭოთა ნოტას და სწერს:

„ლიტვინოვის პასუხი საკმაოდ დასაბუთებულია, თუმცა მასში ვერ არის უარყოფილი საბჭოთა მთავრობის კავშირი ინგლისის საწინააღმდეგო ინტრიგებთან. მაგრამ ინგლისმაც ხომ ვერ დაამტკიცა საბჭოთა მთავრობის მუშაობა ამ მიმართულებით".

გაზეთი დასძენს: „ინგლისელებს თავისი ნოტით არ შეუძლიათ გაფანტონ განმტკიცებული შთაბეჭდილება, რომ მათ უფრო აინტერესებთ ებლანდელი პოლიტიკის შენარჩუნება საბჭოთა კავშირის მიმართ, ვინემ მასთან ურთიერთობის მართლაც მოგვარება". (ადს).

ვარშავა, 3 მარტი. კრაკოვის კონსერვატორული გაზეთი „ჩას" მოწინავე წერილს უძღვნის ლიტვინოვის ნოტას. გაზეთი ამტკიცებს, რომ ხმები ინგლის-პოლონეთის წინააღმდეგ არ შეეფერება სინამდვილეს.

„პოლონეთს, სწერს გაზეთი, არ აინტერესებს თავდასხმა საბჭოთა კავშირზე, რომელთანაც ომი მასვე ზიანს მოუტანს". (ადს).

კულიჯი და ბორა

ვაშინგტონი, 3 მარტი. კონფლიქტი კულიჯსა და სენატის გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარე სენატორ ბორას შორის მწვავდება. ბორამ უშუალოდ დეპეშით მიმართა მექსიკის პრეზიდენტს—მიაწოდოს მას ცნობები (გამოტოვებულია...) ამერიკელ ნავთის მრეწველთა კამპანიის და მადნეულობის შესახებ არსებულ კანონის ირგვლივ. (ადს).

10.000 გაფიცული

პარიზი, 2 მარტი. რევოლიუციონური პროფკავშირის მოწოდებით 10.000 საამშენებლო მუშამ თავი მიანება სამუშაოს და მონაწილეობა მიიღო რვა საათის სამუშაო დღის გაუქმების და ხელფასის შემცირების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო კრებებში. (ადს).

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

პრეზიდიუმის არჩევა

ესენი, 2 მარტი. 2 მარტს გერმანიის კომპარტიის მეთერთმეტე ყრილობის სხდომაზე მოხდა პრეზიდიუმის არჩევა. ყრილობის პრეზიდიუმში ყველა ხმებით 6-ის წინააღმდეგ არჩეული არიან: **პიკ, გეშკე და ბეკერი.**

საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. **სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი** და ჩინეთის კომპარტიის წარმომადგენელი. გეშკემ გამოაცხადა მისალმებანი კომინტერნის აღმასკომისაგან და საკავშირო კომპარტიის ცეკასაგან. შემდეგ ყრილობას მიესალმენ ახალგაზრდობის კომინტერნის, პოლონეთის და ჰოლანდიის კომპარტიების, რემედასის და „ტრუდოვიკების" წითელი კავშირის წარმომადგენლები. გამოქვეყნებულ იქნა აგრეთვე ნორვეგიის და ავსტრიის კომპარტიების წერილობით მისალმებანი. ყრილობას მისასალმებელი სიტყვით მიმართა აგრეთვე ამ ცოტა ხნის წინად ციხიდან განთავისუფლებულმა პოლიტპატიმარმა **რაშკემ**, რომელსაც ყრილობამ მხურვალე ოვაციით შეხვდა. ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნოს პოლიტპატიმრებს. შემდეგ ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ინგლისის კომპარტიის ცეკას წევრის მაკ-მანუსის და აგრეთვე იმ მუშების ხსოვნას, რომლებიც დაიღუპენ უკანასკნელ კატასტროფების დროს, ინგლისის და გერმანიის მაღაროებში.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. **დანგელიუს**, რომელიც მოხსენებას აკეთებს პარტიის მუშაობის შესახებ მეათე ყრილობიდან მეთერთმეტემდე.

საბჭოთა ხელისუფლების 6 წლის თავი აფხაზეთში

კოოპერატიული მშენებლობა

(საუბარი „აფკავშირი"-ს თავმჯდომარე—ამხ. აჯამოვთან)

აფხაზეთის კოოპერატიული კავშირი,—სთქვა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. აჯამოვმა, — ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ აფხაზეთის გასაბჭოებამდი. მაგრამ ამ კავშირს მაშინ ბევრი არაფერი გაუკეთებია. გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის ბოლოს, მოხდა კავშირის რეორგანიზაცია და იმ ხანებში ჩამოყალიბდა სამომხმარებლო და სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი — აფხაზეთის კოოპერატიული კავშირი. 1923 წელში კავშირის წევრების რიცხვი უდრიდა 3.000-ს, 1926 წელში კი 10.000.



ამხ. ს. ჩანბა

აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე

გასული წლის ბოლოს მოხდა ფუნქციების გამიჯვნა. სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია გამოეყო სამომხმარებლო კოოპერაციას და დაარსდა აფხაზეთის სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი, რომლის წევრთა რიცხვი ამჟამად უდრის 12.000. სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრი აერთიანებს 28 კოოპერატივს, სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი კი 15 სასოფლო სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას.

ამას გარდა აფხაზეთში არსებობს მეთამბაქოეთა სპეციალური კოოპერატიული კავშირი, რომელიც აერთიანებს 7.000 მეთამბაქო - პლანტატორს.

სამომხმარებლო ცენტრის მოვალეობაა პირველი მოთხოვნილების საგნები მიაწოდოს მომხმარებელს, ამ მხრივ კავშირის როლი საქონლის მომარაგების საქმეში სოფლად გამოიხატება 60 პროცენტში. საქონლის მიწოდებას სამომხმარებლო კოოპერაციის გარდა აწარმოებს აფხაზეთის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.

რაც შეეხება ფასების დაკლებას, ამ მხრივ გასული წლის ოქტომბერში არჩეული იქნა ფასების დამკლები ცენტრალური კომისია, რომელმაც გამოიკვლია ეს საკითხი. ოქტომბრიდან საცალო ფასები საშუალოდ დაკლებულია 5 პროცენტით; მიღებულია გადამწყვეტი ზომები ფასების კიდევ უფრო შესამცირებლად.

უკანასკნელი წლის განმავლობაში საგრძნობლად განმტკიცდა მეთამბაქოეთა კოოპერაცია, რომლის ხელშიც არის თამბაქოს გასაღების საქმე. მეთამბაქოეთა კოოპერაციის დახმარებით წელს თამბაქოს ნათესების სივრცე გაუსწორდა ომის წინახანების სივრცეს.

კოოპერაციის გაძლიერებასთან ერთად თანდათან მცირდება კერძო ვაჭრობის როლი ჩვენს სავაჭრო ბრუნვაში.

მისალმებანი აფხაზეთის მშრომელთადმი

აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ჩანბას და აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლაკობას სახელზე გაგზავნილია შემდეგი მისასალმებელი დეპეშები:

მხურვალედ და გულწრფელად ვესალმები საქართველოს ცაკის სახელით მოძმე აფხაზეთის ხალხს და აფხაზეთის საბჭოების მეოთხე ყრილობას, გასაბჭოების მეშვიდე წლის თავის წინ, და ვუსურვებ შემდგომ მიღწევებს სოციალისტური აღმშენებლობის გზაზე.

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.



ამხ. ნ. ლაკობა

აფხაზეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ ესალმება წითელ აფხაზეთს ევროპის იმპერიალიზმის ლაქიების —რუსი თეთრგვარდიელების და ქართველი მენშევიკების ტირანიისაგან განთავისუფლების ექვსი წლის თავზე და გულწრფელად უსურვებს შემდგომ მიღწევებს სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე აღორძინებას და კულტურულ აღმშენებლობის საქმეში.

გაუმარჯოს აფხაზეთის მშრომელთ!

გაუმარჯოს წითელ აფხაზეთს!

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ს. ჯუღელი.

ამიერ - კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ყველა მუშებისა და გლეხების სახელით უძღვნი მხურვალე სალამს წითელი აფხაზეთის მუშებსა და გლეხებს საბჭოთა ძლევა-მოსილი რევოლიუციის —მეექვსე წლის თავზე—4 მარტს, და მხურვალეთ უსურვებ აფხაზეთის რესპუბლიკის მშრომელთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის, ამ.-კავკ. რესპუბლიკის და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად მეშვიდე წელში მიაღწიონ კიდევ უფრო მეტ მიღწევებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სასოფლო მეურნეობის განვითარების, მისი ინტენსიფიკაციის, ტრაქტორიზაციის და მაშინიზაციის, ყოველი სახის კოოპერაციის და სახვაჭრობის შემდგომი განვითარების დარგში, და აგრეთვე პროდუქტების გაუმჯობესების და გაიაფების მუშათა და გლეხთა, ქალაქისა და სოფლის მომხმარებელთა ინტერესების დაცვით, რომ ამით უფრო გაძლიერდეს მუშათა და გლეხთა კავშირი და მათი შედუღება სოციალიზმის აღმშენებლობის საერთო საქმეში.

გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას—აფხაზეთს, მისი გასაბჭოების ექვსი წლის თავზე!

გაუმარჯოს წითელი აფხაზეთის მუშებს და გლეხებს!

გაუმარჯოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკას!

გაუმარჯოს რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა დიად კავშირს — სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელს — საკავშირო ლენინურ კომპარტიას (ბოლშევიკების).

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ბელადს — კომინტერნს!

სოც. საბჭ. რესპ. კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრი და ამ.-კავკ. ცაკის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია.

ეროვნული წითელი ჯარი აფხაზეთში

(საუბარი აფხაზეთის სამხედრო კომისართან ამხ. ინალ-იპასთან)

ამჟამად თბილისში იმყოფება აფხაზეთის სამხედრო კომისარი ამხ. **ინალ-იპა**, რომელმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ტერიტორიალური სისტემის შესახებ აფხაზეთში განაცხადა შემდეგი:

— წინედ, მეფის მთავრობისა და მენშევიკების დროს, აფხაზებს ჯარში არ იწვევდნენ. პირველად აფხაზები სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნენ საბჭოთა ხელისუფლების დროს, მაგრამ არა საკადრო ნაწილებში, არამედ ტერიტორიალურ ჯარში.

აფხაზეთისათვის ტერიტორიალური სისტემა და საერთოდ ჯარში გაწვევა ახალი საქმეა; მიუხედავად ამისა, ადგილი არა აქვს სამხედრო სამსახურთან თავის დაღწევის განზრახვებს.

თბილისის სამხედრო სკოლაში, სწავლობენ აფხაზი ახალგაზრდები, რომლებიც კურსის დამთავრების შემდეგ დანიშნული იქნებიან მეთაურებათ ტერიტორიალურ ასეულში.

წელს აფხაზეთში ფართოდ მიმდინარეობს წვევამდელთა მომზადება. სამოსწავლო პუნქტები ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოების დახმარებით საკმაოდ კარგად არის მოწყობილი. პუნქტებთან მოწყობილია ლენინის კუთხეები.

სახალხო ჯანმრთელობის საქმე

(საუბარი საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო კომისართან ამხ. კუტაიძესთან)

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში საბჭოთა აფხაზეთს საგრძნობი მიღწევები აქვს, განაცხადა ამხ. კუტაიძემ, ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში. ამ 6 წლის განმავლობაში გაიშალა და გაფართოვდა სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი. გაიხსნა საექიმო პუნქტები, აფთიაქები, საავადმყოფოები, სამალარიო სადგურები და სხვა. რაც უმთავრესია, სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი დაუახლოვდა მშრომელ მასებს, ულარიბესი გლეხობა სოფლად უფასოდ იღებს როგორც საექიმო დახმარებას, ისე წამლებს. იმის დასახასიათებლად, თუ როგორი მიღწევებია ჯანმრთელობის დარგში, საკმარისია აღინიშნოს, რომ ამჟამად აფხაზეთში 16 საექიმო პუნქტი და სამალარიო სადგურია. ყველა საექიმო პუნქტებთან დაარსებულია აფთიაქები. არსებობს ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტი, რომელიც კარგად არის მოწყობილი.

მაზრებში 5 ადგილას არის გახსნილი სარაიონო საავადმყოფოები, რომლებიც სათანადოთ არიან მოწყობილი. ამ საავადმყოფოებს მიკროსკოპებიც მოეპოვებათ. თვით სოხუმში გაფართოებულ და ახლად შეკეთებულ იქნა საავადმყოფო, რომელშიც გახსნილია გინეკოლოგიური, გადამდებ სნეულებათა და ფსიქიატრიული განყოფილებები. ამ საავადმყოფოში 100 საწოლია.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ყველა სანატორიუმები ამჟამად სახალხო ჯანმრთელობის საქმეს ემსახურებიან.

ყველაფერი ეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გაკეთდა.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკა მომავალში უფრო სწრაფი ნაბიჯებით გასწევს წინ სამეურნეო და კულტურულ აღორძინების გზით.

ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღისათვის

(თეზისები)

1. ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე წარმოადგენს ახალ რევოლიუციონურ დღესასწაულს, რომელთანაც დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლიუციის ერთი უდიდესი მიღწევათაგანი—მუშა და გლეხ-ქალთა ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში. ამ დღეს საბჭოთა ქვეყანაში კიდევ ერთხელ ხაზგასმით მტკიცდება, რომ მშრომელი ქალი საბჭოთა კავშირის თანასწორ უფლებიანი მოქალაქეა.

ამ ათი წლის წინად, 1917 წლის 8 მარტს, დღევანდელი ლენინგრადის, ხოლო მაშინდელი პეტერის მუშა-ქალები გამოვიდნენ ქუჩაში და მოითხოვეს ხალხთა წყეული ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტა და დამშეულთათვის პურის დარიგება. ყველა ფრონტებზე იღვრებოდა ჯარის კაცების, მუშების და გლეხების ზღვა სისხლი, შიმშილისაგან იხოცებოდა ასი და ათასი ქვრივი და ობოლი. 1917 წლის 8 მარტს განსაკუთრებით გაძლიერდა მუშათა კლასისა და გლეხობის ის რევოლიუციონური ბრძოლა მეფის მთავრობისა და მემამულეთა წინააღმდეგ, რომელიც დასრულდა დიადი ოქტომბრის რევოლიუციით. თავისი გამოსვლით 1917 წლის 8 მარტს მშრომელი ქალები მჭიდროთ შეუერთდნენ მშრომელთა მოწინავე ავანგარდის ბრძოლას, მუშათა კლასის ბრძოლას.

1917 წლის 8 მარტიდან განვლილ ამ 10 წლის განმავლობაში, ჩვენს ქვეყანაში შესრულებულია უდიდესი მუშაობა. ბევრი უკვე ივიწყებს მეფის ბატონობის უმძიმეს დროს, მემამულეთა თავაშვებულობას, გაუგონარ მონობას და დამცირებას, რომელშიაც მშრომელნი იმყოფებოდენ ოქტომბრის გამარჯვებამდე. ამ 10 წლის მანძილზე იყო სამოქალაქო ბრძოლის მრავალი თვე და წელი, როდესაც, მიუხედავად სიცივის, შიმშილის და წარმოუდგენელი გაჭირვებისა, მუშები და გლეხები, ლენინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მედგრად იცავდენ საბჭოთა ხელისუფლებას. ამ 10 წლის მანძილზე შესრულებულია უდიდესი მუშაობა ომისაგან დანგრეულ და მოშლილ მეურნეობის აღსადგენად, ახალი სოციალისტური საზოგადოებისათვის საძირკვლის ჩასაყრელად. მთელ ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებდენ, აგრეთვე, მუშა და გლეხი ქალები. ქალთა საერთაშორისო დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა და, პირველ რიგში, თვით მუშა და გლეხ-ქალები ითვალისწინებენ, თუ როგორ ასრულებენ ისინი ილიჩის ანდერძს, შველიან თუ არა სოციალიზმის მშენებლობაში კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას; ებრძვიან თუ არა წარსული შავ-ბნელი დროის ყველა ნაშთებს მშრომელთა სიბნელეს და ჩამორჩენილობას, პირველ რიგში მუშა და გლეხ-ქალთა სიბნელეს და ჩამორჩენილობას.

2) განვლილ ათ წელში შესრულებულ იქნა, აგრეთვე, მნიშვნელოვანი მუშაობა ჩვენი საბჭოთა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის განსამტკიცებლად. საბჭოთა ხელისუფლება მუდამ ატარებდა და ატარებს კიდეც მშვიდობიანობის პოლიტიკას. მსოფლიო კაპიტალისტურმა მტაცებლებმა კბილთა ღრჭენით, რიგრიგობით იცვნეს საბჭოთა ხელისუფლება. რაც უფრო მტკიცდება ჩვენი მეურნ., მით უფრო ძლიერი ხდება საბჭოთა კავშირი, მით უფრო დაინტერესებული ხდება ბურჟუაზიული მსოფლიო იმაში, რომ სავაჭრო კავშირი გააძლიეროს ჩვენთან. ჩვენგან ბურჟუაზია ყიდულობს პურს. ჩვენ მათგან ვყიდულობთ ბამბას, მატყლს, მანქანებს, რომლებიც ჩვენ გვაკლია. კაპიტალისტები ვაჭრობენ ჩვენთან, მაგრამ ამასთან ერთად მათში იზრდება და მტკიცდება სიძულვილი საბჭოთა ქვეყნისადმი, სურვილი ამ ქვეყნის აღგვისა დედა-მიწის პირიდან. ყოველი ჩვენი გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე, უფრო მეტ შიშს უნერგავს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს. მათ ეშინიათ საბჭოთა კავშირის რევოლიუციონური გავლენისა მთელი ქვეყნის მშრომელ მასებზე. ბურჟუაზიული სახელმწიფოების დამოკიდებულება საბჭოთა ქვეყნისადმი ამჟამად განისაზღვრება ორი მომენტით: ერთის მხრივ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის სურვილით და, მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირის გარემოცვის სურვილით, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო გალაშქრების მომზადებით, საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

ეს ორი მომენტი მუდმივ ბრძოლაშია ერთიმეორესთან, და, სავსებით გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელ ხანებში გაიმარჯვა მეორე მიმდინარეობამ, რომელიც მხარს უჭერს ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

3) უკანასკნელ დროს, ინგლისის ხელმძღვანელობით, სავსებით აშკარად სწარმოებს მზადება საბჭოთა კავშირზე შეიარაღებული თავდასხმისათვის, ინგლისი, რომელმაც უკანასკნელ ხანებში იგემა უდიდესი მარცხი მუშებისაგან (მემაღაროეთა რვა თვის გაფიცვა და ხუთდღიური საყოველთაო გაფიცვა) და, აგრეთვე, ძლევა-მოსილ ჩინეთის რევოლიუციისაგან, დღეს უდგება სათავეში ყველა იმათ, ვინც [illegible] პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის, საბჭოების ქვეყნის მოსპობის აუცილებლობაზე. ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს მშრომელმა ქალებმა დუმილით არ უნდა უარონ გვერდი ამ საშიშ და მრისხანე მოვლენას. ყოველ მუშა და გლეხ-ქალს უნდა ახსოვდეს დიადი ანდერძი ლენინის, რომელიც ამბობდა, რომ ყოველმა მშრომელ ქალმა თავის შვილს უნდა ასწავლოს არა მარტო მშენებლობა, არამედ საბჭოების ქვეყნის დაცვაც. ყოველ მუშა და გლეხ-ქალს უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობა, მშრომელთა მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება, საერთოდ მშრომელი ქალის მდგომარეობის გაუმჯობესება უშუალოდ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობის შესაძლებლობა.

ქალთა საერთაშორისო დღეს ყოველმა მუშა და გლეხ-ქალმა კიდევ ერთხელ უნდა მოიგონოს, თუ რამდენად აუცილებელია ჩვენი წითელი არმიის, საბჭოთა ქვეყნის მუშებისა და გლეხობის მშვიდობიანი შრომის გუშაგის ბრძოლისუნარიანობის ყოველმხრივი გაძლიერება და გამტკიცება.

4) ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს ყოველი მუშა და გლეხი-ქალი ჯამს გაუკეთებს არა მარტო იმას, თუ რა ხდება საბჭოების ქვეყნის გარშემო, რა მახეს გვიგებენ ჩვენ მტრები, არამედ იმასაც, თუ მტრების ზურგს უკან როგორ იზრდება ჩვენი მეგობრების, კაპიტალისტური ქვეყნების მუშებისა და გლეხების რიცხვი. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის მიერ ინგლისის მემაღაროეთათვის გაწეულმა ძმურმა დახმარებამ და კაპიტალისტური ქვეყნებიდან ჩამოსულმა მუშათა მრავალრიცხოვანმა დელეგაციებმა, რომელთაც დაათვალიერეს საბჭოთა ქვეყანა, მჭიდრო პროლეტარული ჯაჭვით დაგვაკავშირეს მთელი ქვეყნის მუშებთან. უდიდესი ყურადღებით ადევნებენ ისინი თვალყურს იმას, თუ როგორ შენდება ჩვენი მეურნეობა. დასავლეთის ყოველი მუშა და გლეხი-ქალი ფიქრობს იმაზე, თუ როგორ მივიწევთ წინ, რა მიღწევები გვაქვს და რა ამოცანებია წამოჭრილი ჩვენს წინაშე. მე-14 ყრილობაზე პარტიამ ჩამოაყალიბა ჩვენი სამეურნეო განვითარების გარკვეული ხაზი, რომელსაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია ეწოდება. მე-15 პარტიულმა კონფერენციამ უკვე ერთგვარი ჯამი გაუკეთა იმას. თუ რა გვაქვს გაკეთებული ინდუსტრიალიზაციის დარგში, რომელიც თავის ამოცანად ისახავს საბჭოთა კავშირის გადაქცევას ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელ ქვეყნად.

ინდუსტრიალიზაცია იმაში მდგომარეობს, რომ ავაგოთ ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც დაამზადებენ მანქანებს და, რომლებიც შესძლებლობას მოგვცემენ დამოუკიდებლად ავაშენოთ ჩვენი მეურნეობა, ავაშენოთ სოციალიზმი.

5) უკანასკნელ წლებში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს სამეურნეო მშენებლობის დარგში. ყველა დარგებში ჩვენ მიუახლოვდით ომის წინადროინდელ დონეს და ამჟამად უკვე ვაჭარბებთ კიდეც მას. ინდუსტრიალიზაციას ჩვენ ვანხორციელებთ არა მარტო მრეწველობის დარგში, არამედ სასოფლო მეურნეობის დარგშიაც.

6) მეურნეობის ამაღლებასთან ერთად იზრდება არა მარტო მუშებისა და მუშა-ქალების რიცხვი, არამედ უმჯობესდება მათი ეკონომიური მდგომარეობაც, ისევე, როგორც უმჯობესდება გლეხობის ფართე მასების მატერიალური მდგომარეობა. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ზრდის ფართე მშრომელი მასების მსყიდველობითი უნარს და მოთხოვნილებას, და ამიტომაც ვამჩნევდით ჩვენ ამ უკანასკნელ დროს მთელ რიგ იმ საქონლის ნაკლებობას, რომელსაც დღეს, წინანდელთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობით ვამზადებთ, მაგრამ რომლის მოთხოვნილებაც დღეს უფრო დიდია. განსაკუთრებით მწვავე იყო საფეიქრო საქონლის ნაკლებობა. საერთოდ, რომ დაგვეკმაყოფილებინა არსებული მოთხოვნილება, საჭირო იყო კიდევ 300 მილიონი მეტრი საფეიქრო საქონელი. 200 მილიონი მეტრის მიღებას ჩვენ შევსძლებთ იმ გეგმის გარეშე, რომელიც დასახული გვქონდა. ეს აიხსნება იმით, რომ წელს ბამბის კარგი მოსავალი იყო, ვიდრე ჩვენ მოველოდით, და, აგრეთვე, იმით, რომ მებამბეობის კრიზისის გამო ამერიკაში ჩვენ თითქმის ერთი ორად იაფ ფასებში შევიძინეთ ბამბა, ვიდრე ეს გვქონდა ნავარაუდევი. ასე რომ ამ საქონლის ნაკლებობას ჩვენ დავფარავთ ორი მესამედით.

7) მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში ერთ-ერთ სერიოზულ საკითხს წარმოადგენს სამუშაო ხელფასისა და საბინაო საკითხი. წლის განმავლობაში მუშების სამუშაო ხელფასი გაიზარდა საერთოდ 13 პროცენტით. პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების სპეციალურ დადგენილებების შედეგად, ამ უკანასკნელ დროს მიღებული იქნება ზომები, რომ გაზრდილ იქნას მუშათა კლასის იმ ნაწილის ხელფასი, რომელიც ყველაზე უფრო ჩამორჩენილია. საბინაო მშენებლობის დარგში ჩვენ გვექნეს მიღებული არა მარტო მთელ რიგ ახალ მუშათა სამოსახლოების, მუშათა სახლების აშენების მხრივ, არამედ იმ მხრივაც, რომ ეს საბინაო მშენებლობა შეეფარდებოდეს მუშა-ქალთა მოთხოვნილებებს და მათ განთავისუფლებას (ამ ახალ სახლებში საზოგადოებრივი სასადილოების, ბაგების, სამრეცხველოების მოწყობა და სხ.), რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მუშა-ქალის სრულ განთავისუფლებასა და გათანასწორებაზე, როდესაც ის განთავისუფლებული იქნება ოჯახურ მეურნეობისაგან, მძიმე ტვირთისაგან.

8) მეურნეობის საერთო აყვავების პირობებში განსაკუთრებული სიმტკიცით დგება საკითხი გლეხური მეურნეობის მოწყობის შესახებ მისი კოოპერატიული გაერთიანების შესახებ, მხოლოდ კოოპერაციის საშუალებით ნამდვილად წავა გლეხობა სოციალისტური გზით და შესძლებს თავისი ძალა და სიმტკიცე დაუპირდაპიროს ყოველგვარ კერძო მფლობელურ და კულაკურ ელემენტების ზრდას.

ქალთა საერთაშორისო დღეს ყოველმა მუშა და გლეხ-ქალმა უნდა იფიქროს იმაზე, თუ რამდენად შეუწყო მან ხელი ადგილობრივი კოოპერაციის განმტკიცებას და გაუმჯობესებას, რა შეუძლია გააკეთოს მთელი მოსახლეობის კოოპერატიული დარაზმვისათვის, კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესება-განმტკიცებისათვის.

9) მეურნეობის საერთო აყვავებასთან ერთად, უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა, იზრდება მათი კულტურულ-პოლიტიკური დონე. ამ მხრივ ერთგვარი დადებითი შედეგები გვაქვს მუშა და გლეხ-ქალთა შორის. ქალთა მასის აქტივობის ზრდის პირველ დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს მათი დამოკიდებულება არჩევნებისადმი და მათი მუშაობა საბჭოებში. მაგრამ ამასთან ერთად წარსულმა არჩევნებმა უდავოდ დაგვიმტკიცეს, რომ ქალთა მასა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია და არ შეუგნია ის უდიდესი მნიშვნელობა, როგორიც აქვთ ჩვენს ქვეყანაში საბჭოებს. მუშა და გლეხ-ქალებმა დაწვრილებით უნდა გაითვალისწინონ წარსული გამოცდილება და აგრეთვე ის, რომ მხოლოდ მაშინ შევინარჩუნებთ ყველა ჩვენს მიღწევებს, როდესაც განმტკიცებული იქნება პროლეტარიატის დიქტატურა, როდესაც საბჭოებში უზრუნველყოფილი იქნება მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი. მუშა და გლეხ-ქალმა უნდა შეიგნოს, რომ ის წარმოადგენს პროლეტარიატის ნაწილს, იმ პროლეტარიატის, რომელიც თავის დიქტატურას ანხორციელებს მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე, შეიგნოს, რომ ის წარმოადგენს საბჭოთა ქვეყნის არა მარტო თანასწორუფლებიანს, არამედ თანასწორ პასუხისმგებელ მოქალაქეს, რომ მას ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობის ნაწილიც საბჭოთა ხელისუფლების ბედისათვის.

10) ყველა კანონები ქალთა თანასწორობის შესახებ ქაღალდზე დარჩება იმ დრომდე, ვიდრე თვით მუშა და გლეხი არ გამოიჩენენ საკმაო ინიციატივას და თვითმოქმედებას თავის კულტურულ-პოლიტიკურ დონის ამაღლებაში, საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო მეტი მონაწილეობით.

11) ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე ჯერ კიდევ 1911 წელში შემოღებული იქნა ქალთა მშრომელი მასებს მცხოვანი ხელმძღვანელის, კლარა ცეტკინის წინადადებით. ამ დღის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ უფრო ჩამორჩენილ მუშა და გლეხ-ქალთა ყურადღება მიექცია მშრომელთა საერთო ბრძოლისაკენ უკეთესი ცხოვრებისათვის, სოციალიზმისათვის. ამ დღის ამოცანა, აგრეთვე, იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა მშრომელთა ყურადღება მიექცია მუშა და გლეხი-ქალის, როგორც დედის, ყველა საჭიროებასა და საზრუნავისაკენ. მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გადაიქცა სადღესასწაულო დღეთ ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღე, ვინაიდან ამ დღეს ჩვენი კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხელისუფლება და პროფკავშირები ამაყად ჯამს უკეთებენ იმას, თუ როგორ თანდათანობით, თვითეულ ნაბიჯით ხორციელდება ილიჩის ანდერძი, თუ როგორ ებმებიან სოციალისტურ მშენებლობაში მუშა და გლეხ-ქალთა მილიონები. ამ სადღესასწაულო დღეს თვითეული მუშა და გლეხი-ქალი არ ხუჭავს თვალებს ყველა იმ სიძნელეებზე, რომლებიც ჯერ კიდევ წინ უდგახან ჩვენს ქვეყანას. თვითეულ მუშა და გლეხ-ქალს ესმის, თუ რაოდენ რთულია და მძიმე ინდუსტრიალიზაციის ამოცანა, სოციალისტური მშენებლობის ამოცანა პროლეტარიატის დიქტატურის ერთად-ერთ ქვეყანაში, ყოველ მხრიდან მტრებით გარემოცულ ქვეყანაში. თვითეული მუშა და გლეხი-ქალი ანგარიშს აძლევს თავის თავს, რომ ჩვენი შემდეგი გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც უფრო მტკიცე, უფრო მჭიდრო იქნება მუშათა კლასის კავშირი გლეხობასთან, როდესაც ლენინის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშრომელთა, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა, ახალ-ახალი მასები ჩაებმებიან სოციალისტურ მშენებლობაში, იმუშავებენ თავისი კულტურული დონის ამაღლებაზე და იბრძოლებენ ხულიგნობისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომლებიც წარმოადგენენ უპირველეს ყოვლისა ჩვენი უკულტურობისა, უვიცობისა და ჩამორჩენილობის შედეგს.

არ უშინდება რა სიძნელეებს, მხნედ, პირდაპირ უყურებს რა მათ თვალში, ჩვენი ქვეყნის მუშა და გლეხი ქალი თავის საერთაშორისო კომუნისტურ დღეს არ დაივიწყებს თავის დასავლეთელ და აღმოსავლეთელ დებს. ყოველი მუშა და გლეხი-ქალი ამ დღეს მოიგონებს შორეულ ჩინეთის ათას და მილიონ მუშა-ქალს და მუშას, გლეხ-ქალს და გლეხს, რომლებიც ხანგრძლივი და დამძაფრებული რევოლიუციონური ბრძოლით, არაჩვეულებრივი სისხლიანი ბრძოლით სცდილობენ თავის უფლებების მოპოვებას სიცოცხლესა და შრომაზე. ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს, საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხი-ქალი გენერლების გარეშე, საპოლიციო სადარაჯოებისა და ფაშისტების გარეშე, მხურვალე სალამს გაუგზავნის ჩინეთის მშრომელ მილიონიან მასებს და უსურვებს მათ გამარჯვებას და მიღწევებს. ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხი-ქალი არ დაივიწყებს, აგრეთვე, კაპიტალისტური ქვეყნების მუშა და გლეხ-ქალებსაც. ინგლისში გმირულად მებრძოლ მემაღაროეთა ცოლებს და ქალიშვილებს, გერმანიის უმუშევარ და მომუშავე მუშა-ქალს, ყველა კაპიტალისტური ქვეყნების მუშა და გლეხ-ქალებს, რომლებიც იკრეფენ თავის ძალას, რომ გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართონ საზიზღარ ბურჟუაზიას, საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხი-ქალი გაუგზავნის თავის მხურვალე ძმურ სალამს და თანაგრძნობას ბრძოლასა და გამარჯვებაში.

12. ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს, საბჭოთა ქვეყნის მუშა და გლეხი-ქალი მოწიწებით მოიგონებს მშრომელთა უდიდეს მეგობარს და ბელადს, იმას, რომელმაც საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხი-ქალები, მუშები და გლეხები ჩაება ბრძოლაში და მიიყვანა გამარჯვებამდე, იმას, ვისი სახელითაც მოვიდეს საბჭოთა ხელისუფლებამდე, სოციალიზმის მშენებლობამდე, — მოიგონებენ ამხ. ლენინს. თავის დღესასწაულზე, ყველა მშრომელთა დღესასწაულზე, საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხი-ქალები გაამტკიცებენ თავის ძალას, რომ განახორციელონ ბელადის და მასწავლებლის, ამხ. ლენინის ანდერძი და მისი ფოლადისებური, მტკიცე, ერთიანი კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ აშენონ სოციალიზმი.

საქ. კომ. პარ. (ბ) სააგ.-საპროპ. განყოფილება.

საქ. კომ. პარ. (ბ) მუშა და გლეხ - ქალთა განყოფილება.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ბრძანება ფასების დაკლების შესახებ არ სრულდება

ტაშკენტი, 3 მარტი. გუშინ გაზ. „პრავდა ვოსტოკამ" შეამოწმა ფასების დაკლების შესახებ გამოცემულ ბრძანების შესრულება ტაშკენტში. გამოირკვა, რომ არც ერთ სავაჭრო ორგანიზაციას არ დაუკლია ფასები შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილების თანახმად (ადს).

ხანძარი „წითელ პროფინტერნში".

დნეპროპეტროვსკი, 3 მარტი. ღამით 2 მარტს დნეპროპეტროვსკის მავთულის ქარხანა „წითელ პროფინტერნში" გაჩნდა ხანძარი. დაიწვა ორი საამქრო. ხანძარი გაძლიერდა იმის გამო, რომ წყლის ონკანები დაკეტილი აღმოჩნდა. ზარალი 80.000 მანეთს უდრის (ადს).

ა.-კ. წარმომადგენლობათა ლიკვიდაცია მოსკოვში

მოსკოვი, 3 მარტი. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მოახდინოს აზერბეიჯანის სახვაჭრობის, აფხაზეთის სახვაჭრობის, საქართველოს კომუნალურ ვაჭრობის, თბილისის ვაჭრობის, საქართველოს სატყეო მრეწველობის, ბორჯომის წყლების, მოსკოვის წარმომადგენლობათა ლიკვიდაცია. გაუქმებული იქნება აგრეთვე აფხაზეთის რესპუბლიკის სამეურნეო წარმომადგენლობანი. გარდა ამისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა ლენინგრადის მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილება აზერბეიჯანის სახვაჭრობის და ბორჯომის წყლების ლენინგრადის წარმომადგენლობათა დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის შესახებ.

ბაქოს ბაზრობა

ამხ. ბუკშტეინი ბაქოს ბაზრობის შესახებ.

ბაქო, 3 მარტი. რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის რწმუნებულმა, ბაზრობაზე ჩამოსულმა ამხ. ბუკშტეინმა, ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ბაქოს ბაზრობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„ითვალისწინებს რა ბაქოს ბაზრობის უდიდეს როლს ვაჭრობის განვითარების საქმეში აღმოსავლეთის ქვეყნებთან, უმთავრესად, სპარსეთთან, რომლის სავაჭრო ბრუნვაც შეადგენს 53 პროცენტს საბჭოთა კავშირის მთელი სავაჭრო ბრუნვისა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, სავაჭრო პალატა გზავნის ბაზრობაზე სპეციალურ წარმომადგენლობას. წარმომადგენლობის გაგზავნის მიზანია საბაზრო ვაჭრობის შესწავლა და აქტიური დახმარების აღმოჩენა საბაზრო კომიტეტისათვის.

პალატის მუშაობა იწარმოებს სრული კონტაქტით აზერბეიჯანის სავაჭრო პალატასთან" (ადს).

შჩეგოლიუტინის გასამართლება

მოწმეების დაკითხვა

ბაქო, 3 მარტი. შჩეგოლიუტინის პროცესზე გრძელდება მოწმეების დაკითხვა.

მოწმე კუზნეცოვი უშუალოდ არ არის გაცნობილი იმ საქმის ვითარებასთან, რომელიც ეხება შჩეგოლიუტინს, ვინაიდან ბაქოს კომუნარების დაჭერის, გადაგზავნის და დახვრეტის დროს ის ასხაბადის ციხეში იყო მოთავსებული. კუზნეცოვის ჩვენებები ეხება შემდგომ პერიოდს, როცა, საბჭოთა ჯარების მიერ ოლქის დაკავების შემდეგ, ის წავიდა ექსპედიციასთან ერთად დახოცილ კომუნართა გვამების მოსაძებნათ და მათი საფლავის გასათხარათ მე-207 ვერსზე.

მოწმე ხატავს შემზარავ სურათს, რომელიც მან ნახა 26 კომუნარის დახოცვის ადგილას, სადაც გვამები ჩაფლული იყვნენ მიწაში.

მოწმე კუზნეცოვი აღნიშნავს, რომ კომუნარების დახვრეტის შემდეგ ფუნტიკოვის მომხრეებმა, როგორც სჩანს მოჰკლეს რკ. გზის ხაზის დარაჯი და მახლობელ საგუშაგოს ორი დარაჯი, რომლებიც შეიძლებოდა კომუნარების დახვრეტის არასასურველ მოწმეებათ გამომდგარიყვენ.

მოწმე **მაზურა** შჩეგოლიუტინის თანამშრომელი, ესერთა პარტიის ყოფ. წევრი, მას იცნობს 1902 წლიდან. 1919 წელს მაზურა შევიდა რუსეთის კომპარტიაში. მოწმე შჩეგოლიუტინთან მუშაობდა კასპიის ფრონტზე. მაზურას არ შეუძლია გადაჭრით სთქვას იყო თუ არა შჩეგოლიუტინი ესერების პარტიის წევრი, მაგრამ, ამტკიცებს, რომ შჩეგოლიუტინი ჯერ კიდევ 26 კომუნარის დახვრეტამდე უარყოფითად იხსენიებდა საბჭოთა ხელისუფლებას, უწოდებდა რა წითლებს „ბანდას". მოწმე ამტკიცებს, რომ შჩეგოლიუტინი ფრონტიდან გამოწვეულ იქნა სპეციალური დეპეშით № 0—49 ორთქმავალზე დასანიშნად. მოწმეს მოჰყავს მემანქანე კვიატკოვსკის ცნობა იმის შესახებ, რომ ფუნტიკოვმა ასხაბადის დეპოს უფროსს მეიერს გაუგზავნა ბრძანება შჩეგოლიუტინის მემანქანეთ დანიშვნის შესახებ სპეციალურ მატარებელზე. მოწმე ამტკიცებს, რომ შჩეგოლიუტინი 26 კომუნარის დახვრეტის შემდეგ ამის შესახებ არავის არ ელაპარაკებოდა. მაზურა მიუთითებს აგრეთვე შემდეგ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე: მემანქანე ესკოვიჩის სიტყვით ფრონტზე პოლტარაცკიდან მიღებულ იქნა დეპეშა შჩეგოლიუტინის გაგზავნის შესახებ პოლტარაცკში რიგ გარეშე, მაშინ, როცა წასვლა თვით ესკოვიჩს უწევდა.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება ხალხით სავსე სასამართლოს დარბაზში. მუშებში ინტერესი პროცესისადმი თანდათან ძლიერდება. (ადს).

ბრალდებულის მეუღლე.

ბაქო, 3 მარტი. აზერბეიჯანის უზენაეს სასამართლოს დღევანდელ დილის (მეოთხე) სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა.

მოწმე შჩეგოლიუტინა, ბრალდებულის მეუღლე, იძლევა ცნობებს შჩეგოლიუტინის მზადების შესახებ ფრონტზე გასამგზავრებლად. როგორც მას ქმარმა გადასცა, შჩეგოლიუტინმა დაიგვიანა ამ მატარებელზე და იძულებული გახდა შემდეგი საფოსტო მატარებლით დაბრუნებულიყო ფრონტზე. სადგურზე ხელმეორედ გამოსვლის დროს შჩეგოლიუტინს შეხვდა მიასიშჩევი, რომელმაც უთხრა მას, რომ ის სპეციალური მატარებლით უნდა დაბრუნდეს კრასნოვოდსკში. კრასნოვოდსკიდან დაბრუნების შემდეგ შჩეგოლიუტინმა უამბო ცოლს მომხდარი ამბავი:

— „შენ ვერ წარმოიდგენ, რომელ მატარებელზე მოვხვდი. იქ დახვრიტეს კომისრები".

პროკურორი: რა დამოკიდებულებაში იყო თქვენი ქმარი ფუნტიკოვთან, მიასიშჩევთან და სხვებთან?

შჩეგოლიუტინა: ფუნტიკოვთან ჩვეულებრივ დამოკიდებულებაში იყო, ხოლო მიასიშჩევთან ვერ იყო კარგად.

პროკურორი: მაშ რატომ აჩვენეთ წინააღმდეგი წინა ჩვენებაში, რომ მიასიშჩევთან ახლო დამოკიდებულებაში იყოვო? შემდეგ მოწმე აჩვენებს, რომ მატარებელ № 0—49-ზე შჩეგოლიუტინის დანიშვნასა და კრასნოვოდსკიდან მის ფაქტიურ გამგზავრებას შორის გავლო ერთ ნახევარ—ორმა დღემ, მაგრამ ქმართან პირისპირ წაყენების დროს ის იბნევა: „დანამდვილებით არ ახსოვს". მოწმეს არ ახსოვს აგრეთვე ისიც, უამბო თუ არა შჩეგოლიუტინმა გამგზავრების შესახებ თავის ნაცნობებს, მაგრამ ქმარს კი მისთვის უამბნია. თვით მოწმეს ქმრის თანადასწრებით უამბნია ყველაფერი ეს თავის ნაცნობებისათვის.

შჩეგოლიუტინის დანიშვნაში ახალ თანამდებობაზე (ასხაბადის ჯარების გადაჯგუფების უფროსის თანაშემწედ) მოწმე არ ხედავს დაწინაურებას: „უბრძანეს მორიგეობა და იმორიგევა კიდეც". პროკურორის შეკითხვაზე—იცნობდა თუ არა სვლიგეზ-ბარათები, მოწმე დაჟინებით უპასუხებს: „მაგრამ სამარკანდში გამგზავრების დროს ჩვენ ისინი გადავყარეთ".

მემანქანე კადიგროვი.

შემდეგ სასამართლო გადადის მერვე მოწმის ყოფილ მემანქანის კადიგროვის დაკითხვაზე. მოწმე ამტკიცებს, რომ შჩეგოლიუტინი დაახლოვებული იყო ფუნტიკოვთან, გერმანთან და მიასიშჩევთან.

— „როდესაც სადგურ ასხაბადში კომენდანტობდენ მიასიშჩევი და შჩეგოლიუტინი, იმდენი არაყი დაილია, რომ თქმა არ შეიძლება".

გამოძახების შემდეგ შჩეგოლიუტინი აღარ დაბრუნებულა ფრონტზე. შემდეგ მოწმე უამბობს სასამართლოს მის დამახასიათებელ საუბარს შჩეგოლიუტინის თანაშემწე კურაშევთან, რომელმაც დაწვრილებით უამბო მას მატარებლის № 0—49-ის გამგზავრება: „მივდიოდით დამქრალი ხანათურებით. გათენებისას გავჩერდით მე-207 ვერსზე". კურაშევი ამბობს, რომ მან დაინახა დაპატიმრებულნი და იყო მათი დახვრეტის მოწმე—ზოგიერთებს თავისი ხელით ათხრევინებდენ საფლავს.

დახვრეტის სურათი დარბაზში იწვევს აღშფოთებას, რომელიც უფრო ძლიერდება კადიგროვის ცნობით ახალი აღმაშფოთებელი წვრილმანის შესახებ. მოწმე ამბობს: „ორთქლმავალზე მოვიდა ერთ-ერთი მკვლელი და იკითხა:—შურა, ხომ არა გაქვს დანა? მკვლელმა მიიღო დანა, გალესა და, როდესაც მოშორდა ორთქლმავალს, სთქვა: „აი ეხლა კარგად შეიძლება თითების დაჭრა".

რევოლიუციის ორი უქმე

ცირკულიარულად

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს; დედა ქალაქებისა და სამაზრო კომიტეტებს

12 მარტს ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მშრომელნი იხდიან ორ დღესასწაულს: თვითმპყრობელობის დამხობის მე-10-ე წლის თავს ა.-კ. ფედერაციის დაარსების მე-5-ე წლის თავს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას.

ამ ორი დღესასწაულის ასანიშნავად საკავშირო კომპარტიის ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციებს რაც შეიძლება ფართედ გააშუქონ ეს წლისთავები მშრომელთა შორის, განსაკუთრებით გლეხობას შორის, საბჭოების პლენუმების, სათემო აღმასკომების გაფართოებულ სხდომების მოწვევის გზით საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩაბმით. კამპანია ჩატარებულ უნდა იქნეს პრესაში, კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში, წითელ კუთხეებში და სხვ.

მოხსენებებს საფუძვლად უნდა დაედვას შემდეგი მომენტები:

თებერვლის რევოლიუცია იყო ოქტომბრის რევოლიუციის წინამორბედი, ისტორიული საფეხური ოქტომბრისაკენ. პირველი ეტაპი, რომელმაც გასწმინდა გზა პროლეტარიატის დიქტატურისათვის საბრძოლველად. ჯერ კიდევ 1917 წელს ლენინი თავის აპრილის თეზისებში სწერდა: „მიმდინარე მომენტის თავისებურება რუსეთში მდგომარეობს იმაში, რომ რევოლიუციის პირველ ეტაპიდან, რომელმაც პროლეტარიატის არა საკმაო შეგნების და დარაზმულობის გამო ძალაუფლება ბურჟუაზიის გადასცა, —ჩვენ გადავდივართ მეორე ეტაპში, რომელმაც ხელისუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის უღარიბეს ფენებს". პროლეტარულ რევოლიუციის ბელადის ეს დებულება სავსებით დაადასტურა მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ—ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებამ.

თებერვლის რევოლიუციამ ვერ დააკმაყოფილა „მშრომელი მასების უმთავრესი მოთხოვნილებები—ზავი, მიწა და კონტროლი წარმოებაზე" (ლენინი). ყველაფერი ეს განახორციელა ოქტომბრის რევოლიუციამ. ოქტომბრის რევოლიუცია რომ არ ყოფილიყო, თებერვლის რევოლიუციის მონაპოვარნი—თვითმპყრობელობის დამხობა და სხვ. არ იქნებოდა განმტკიცებული.

თებერვლის რევოლიუციამ, — რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წინად დაჩაგრულ ერების მშრომელთათვის, ვერ შესძლო მათი განთავისუფლება. მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ მოგვცა ნამდვილი თავისუფლება და თვითგამორკვევა, რომლითაც სარგებლობენ ეხლანდელ საბჭოთა კავშირის ყველა წინად დაჩაგრული ერები, მათ რიცხვში ამიერ-კავკასიის მშრომელნიც. მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ გადასჭრა ეროვნული საკითხი სავსებით და მთლიანად.

ეროვნული საკითხის ამ პროლეტარულ-ლენინურ გადაჭრის გამოხატულებაა ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკა, რომლის ხუთი წლის თავს ამიერ-კავკასიის მშრომელნი დღესასწაულობენ თებერვლის რევოლიუციის 10 წლის თავთან ერთად.

თებერვლის რევოლიუციამ, გაანთავისუფლა რა ამიერ-კავკასიის ერები ცარიზმის ჩაგვრისაგან, გზა გაუხსნა პროლეტარიატის თავისუფალ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ხელისუფლების სათავეში ჩამდგარმა ბურჟუაზიამ, რომელიც ახჩობდა მუშათა და გლეხთა მასებს ამიერ-კავკასიაში დაარსებულ რესპუბლიკების შიგნით, ჩაითრია ერები ძმათა შორის სისხლის მღვრელ ომებში უსისიანებდა რა ერთი ერის მშრომელებს მეორე ერის მუშებს და გლეხებს. ა.-კავკასიის რესპუბლიკების მმართველი ბურჟუაზია, რომელსაც ძალა არ შესწევდა დამოუკიდებლათ გადაეჭრა რესპუბლიკების წინაშე მდგარი სახალხო მეურნეობის და კულტურის აღდგენის და განვითარების ამოცანები, დახმარებისათვის მიმართავდა მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოების იმპერიალისტებს, ხდიდა რა მათ ამიერ-კავკასიის ფაქტიურ ბატონ-პატრონათ და თვითონ კი კისრულობდა მხოლოდ მათ ლაქიობას.

ამგვარათ, თებერვლის რევოლიუციამ ვერ გაანთავისუფლა მუშები და გლეხები კაპიტალისტების და მემამულეების ძალაუფლებისაგან და მაშასადამე ვერც ამიერ-კავკასიის ერებს მისცა დამოუკიდებლობა. ამიერ-კავკასიაშიაც ისევე როგორც მთელ რუსეთის ყოფილ იმპერიაში, მან მხოლოდ გასწმინდა გზა შემდგომი ბრძოლისათვის მუშების და გლეხების ძალაუფლების, საბჭოების ძალაუფლების მოსაპოვებლათ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით და ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსებით ბოლო მოეღო საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელთა ურთი-ერთ ქიშპობას და ხოცვა-ჟლეტას, რომელსაც თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის აღვივებდა შოვინისტური ბურჟუაზია მის ხელმძღვანელ პარტიების მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების სახით—და მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ნაციონალურ მშვიდობიანობას და ამ ერთა მჭიდროთ დაახლოებას საერთო სამეურნეო და კულტურულ აღმშენებლობის საფუძველზე. სამეურნეო საქმეებში ურთიერთ დამხმარებით და ხელის შეწყობით, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა, რომელნიც გაერთიანებული არიან ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში, მთელი საბჭოთა კავშირის დახმარებით, მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს სოციალისტური აღმშენებლობის დარგში, როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ ფრონტებზე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემდგომი განმტკიცება ხელს შეუწყობს ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმური კავშირის შემდგომ განმტკიცებას და ჩვენი ქვეყნის შემდგომ სამეურნეო და კულტურულ ზრდას.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

საბჭოთა არჩევნები

რა მოგვცა ახალმა არჩევნებმა

(ბათომი)

ბათომის საბჭოს მიმდინარე წლის არჩევნები დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

პარტიული, პროფესიონალური, კომკავშირის და სხვა ორგანიზაციები განსაკუთრებული ყურადღებით შეხვდენ არჩევნებს.

ქალაქის საბჭო მთელი თვე აწარმოებდა საანგარიშო კამპანიის და საარჩევნო სამზადისს. საბჭოს ანგარიში ჩატარდა ყველა ფაბრიკა-ქარხანაში, პროფორგანიზაციისა და შეუკავშირებელ მოქალაქეთა შორის. მუშათა ყველა კრებებზე, ამომრჩევლები საქმიანი კრიტიკით გამოდიოდენ. ბევრგან კრებები გაიყო საბჭოს მუშაობის შეფასების საკითხში. ზოგან მუშები ენერგიულად უტევდენ საბჭოს მუშაობას, მას არა დამაკმაყოფილებლად ცნობდენ. საბჭოს მთავარ ნაკლად მუშათა საზოგადოებრივი აზრი აღიარებდა ბათომის საბჭოს მასიურ საორგანიზაციო მუშაობის სისუსტეს. საბჭოს მთელ წლის განმავლობაში მხოლოდ ოთხი საქმიანი სხდომა ჰქონდა. სექციებში მუშაობა თითქმის არ წარმოებულა. ძველი საბჭოს თვალსაჩინო ნაკლად მიჩნეული უნდა იქნას ისიც, რომ იგი შესდგებოდა 823 წევრისა და კანდიდატისაგან. საბჭო—ქალაქის და მაზრის საბჭოს წარმოადგენდა. ქალაქის საბჭო დამოუკიდებლად არ არსებობდა. საბჭო გადაიქცა ვეებერთელა, მაჯლაჯუნა ორგანიზაციად და ის უფრო ყრილობას წ აგავდა, ვიდრე საბჭოს. ასეთმა მდგომარეობამ ხელი შეუწყო საბჭოს მუშაობის მოდუნებას.

საანგარიშო კამპანიის დროს მუშები თითქმის ყველგან აღნიშნავდენ ძველი საბჭოს შემადგენლობის მრავალრიცხოვანებას და საჭიროდ სცნობდენ უფრო მცირე რიცხოვან, მარტივ და მოქნილ ორგანოს შექმნას.

ყურადღების ღირსია აგრეთვე საარჩევნო სამზადისის ტეხნიკურ-საორგანიზაციო მხარე. (შავი სიების შედგენა და საარჩევნო კრებების მოწვევა).

საარჩევნო კომისიამ დიდი ყურადღებით განიხილა ამომრჩეველთა სიები. მან შეკრიბა, როგორც სტატისტიკური, ისე სხვა საჭირო მასალა შავი სიების შესადგენად. საარჩევნო უფლების უსამართლოდ ართმევის მაგალითს არ ჰქონებია ადგილი. პარტიის და უმაღლეს ხელისუფლების დირექტივები სისწორით იქნა გატარებული ცხოვრებაში. საარჩევნო უფლებაწართმეულ პირთა რიცხვი წელს უდრიდა სრულწლოვან მოსახლეობის 19.5 პროც. (წითელი ჯარის გამოკლებით) გასულ წელს - კი 24 პროც. უდრიდა.

უფლება წართმეულ პირთა რაოდენობის შემცირება უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ შავი სიების შედგენა წელს დიდი სიფრთხილით ხდებოდა. წრევანდელი არჩევნები ხდებოდა წარმოება-დაწესებულებებში და არა პროფესიონალურ ორგანიზაციებში, როგორც ეს შარშან იყო. ამ ტეხნიკურმა ზომამ არჩევნები დაუახლოვა მუშათა მასას, რამაც არჩევნებში მეტი აქტივობა და სიცოცხლე შეიტანა.

მთელ არჩევნებს წელს ახასიათებდა დამსწრეთა რიცხვის საგრძნობი ზრდა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა დამსწრეთა რიცხვის ზრდა მუშებში.

საშუალოდ მუშათა დასწრება საარჩევნო კრებებზე 70 პროც. აღემატება, საბჭოთა მოსამსახურეებში—55 პროც. ქალაქის საბჭოს არჩევნები ჩატარდა მაზრისაგან დამოუკიდებლად, ბათომს ეყოლება თავისი საბჭო, ხოლო მაზრებისათვის მოიწვევა ქალაქისა და სოფლის საბჭოების ყრილობა, რომელიც აირჩევს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

ბათომის ახალი საბჭოს პირველი პლენარული სხდომა 25 თებერვალს შესდგა. ბათომის ახალ საბჭოში არჩეულია 334 დეპუტატი, ამათგან 288 წევრი და 46 კანდიდატი.

ახალი საბჭოს პარტიული შემადგენლობა ასეთია: კომუნისტების რიცხვი საბჭოში უდრის 49,7 პროცენტს. ეროვნების მიხედვით: ქართველები (მათ შორის—აჭარლებიც) 57,2 პროც., რუსები—20,3 პროც., სომხები—10,8, ბერძნები 2.1 პროც., ებრაელები—2,7 პროც., სხვა ეროვნებანი—6,9 პროც.

გასულ წელთან შედარებით წრევანდელ საბჭოში დაზგის მუშათა რაოდენობა თვალსაჩინოთ გაიზარდა. საერთოდ ახალი საბჭოს სოციალური შემადგენლობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ქალაქს ეყოლება საკუთარი ორგანო-საბჭოს პრეზიდიუმი. ქალაქის საბჭოს მიემატა ორი ახალი განყოფილება—განათლების და ჯანმრთელობის.

ახალი დებულების თანახმად საბჭოს ეყოლება მხოლოდ ოთხი სექცია.

ამრიგათ ბათომის ახალი საბჭო, როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივად იმედს იძლევა, რომ შესძლებს მასზე დამყარებულ იმედების გამართლებას და ბათომის მშრომელთა საკეთილდღეოთ აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობის წარმოებას.

ვ. ბედია.

ქალთა მონაწილეობა სუსტია

(ყაზბეგის თემი, დუშ. მაზრა)

ჩვენს თემში თებერვლის დამლევს დაიწყო საბჭოთა არჩევნები. ტარდებოდა წინასწარი სამზადისი, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ კომკავშირის და პარტიის წევრები და კანდიდატები, ადგილობრივი ინტელიგენცია, ქალთა წრის წევრები და ღარიბი გლეხობა.

სამწუხაროდ ამ მუშაობას ერთი დაუშვებელი ნაკლი სდევდა, რომლის გამოსწორება აუცილებელია. ეს იმაში გამოიხატება, რომ არც შარშან და არც წელს გლეხი ქალები მონაწილეობას არ ღებულობენ საბჭოთა არჩევნებში.

შვილდ-ისარი.

მისალმება საქ. ცაკის თავმჯდომარეს

საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის სახელზე ახალქალაქიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„ახალქალაქის საბჭოების მეექვსე სამაზრო ყრილობა, შეუდგა რა თავის მუშაობას, მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს საბჭოთა მთავრობას. ყრილობა მაზრის გლეხობის სახელით გიძღვნით მადლობას თქვენი გაძლიერებული ყურადღებისათვის. მაზრის გლეხობა უცხადებს თავის მთავრობას, რომ იგი თავისი მთავრობის მოწოდებისთანავე ყოველ მომენტში მზადაა დადგეს წითელ დროშების ქვეშ—ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად".

ყრილობის პრეზიდიუმი.

ადგილებზე

საბჭოების სამაზრო ყრილობა

ახალქალაქი, 2 მარტი. 2 მარტს გაიხსნა საბჭოების მე-8 სამაზრო ყრილობა. საქართველოს მთავრობის მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვარძიელი. კამათში გამოსული დელეგატები მიუთითებდენ იმაზე, რომ საჭიროა დაჩქარებულ იქნეს მიწათ-მოწყობის გატარება, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და საბინაო აღმშენებლობის კრედიტის მოწესრიგება.

პრეზიდიუმის სახელით მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა საქართველოს ცაკს, საქართველოს კომპარტიის ცკას და ამხ. ორჯონიკიძეს.

დღეს ყრილობა მოისმენს სამაზრო აღმასკომის საანგარიშო მოხსენებას, საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს მოხსენებას და შესდგება არჩევნები.

არჩევნები დამთავრდა

ახალქალაქი, 3 მარტი. საბჭოების არჩევნები დამთავრდა მთელს მაზრაში.

ყველა თემებში შესდგა საბჭოების საორგანიზაციო სხდომები.

არჩევნები ქუთაისის მაზრაში

ქუთაისი, 3 მარტი. არჩევნები დამთავრდა ქუთაისის მაზრის ქვემო სიმონეთის თემში. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, რომელიც მეტად ხელს უშლიდა არჩევნებს, უკანასკნელი მაინც გაცხოველებით ჩატარდა და მასში აქტიური მონაწილეობა მიიღო ღარიბმა გლეხობამ და ქალებმა.

კულაკები შეეცადენ გაეყვანათ თავისი კანდიდატი, მაგრამ ცდა უნაყოფოთ დამთავრდა.

3.360 ამომრჩევლიდან მონაწილეობა მიიღო 1.509 კაცმა, მათ შორის 363 ქალმა.

თემსაბჭოში არჩეულია 58 დელეგატი, აქედან 8 კომუნისტი, 7 კომკავშირელი და 7 ქალი.

ყრილობები და თათბირები

სოც. უზრ. კომის-ბის მუშაკთა წარმ. და გლეხკ. ა.-კ. თათბირი

გუშინ საღამოს ა. კ. ცაკთან გაიხსნა ა. კ. რესპუბლიკათა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების და გლეხკომების წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი. თათბირი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ა. კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მიხა ცხაკაიამ.

ამხ. მ. ცხაკაიას სიტყვა

— მიმდინარე ყრილობას,—განაცხადა ამხ. ცხაკაიამ ორგვარი მნიშვნელობა აქვს: სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატები,—ეს არის მოსახლეობის სოციალური ჯანმრთელობის დამცველი ორგანო. მეორეს მხრივ გლეხთა სა ურთიერთო დამხმარე საზოგადოებები არის ორგანო, რომელიც ერთი მეორესთან აკავშირებს გლეხურ ფართო მასსებს. ამგვარათ ორივე ეს ორგანოები ხელს უწყობენ პროლეტ. სახელ. ჩამოყალიბების საქმეს.

შემდეგ ამხ. მიხა ცხაკაია განაგრძობს, რომ მიმდინარე თათბირს დიდი მნიშვნელობა ექნება ორივე ამ მოწვეულ ორგანოთა მომავალი მუშაობის გასაჯანსაღებლად.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვის შემდეგ თათბირმა აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ ამხ. კ. ხომერიკი, ამხ. მამედ იაროვი, ამხ. ოხუპიანი, ამხ. მახალინი და ამხ. შავერდოვი. თათბირის საპატიო თავმჯდომარეთ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. მ. ცხაკაია. თათბირმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) სოციალური უზრუნველყოფის საქმის მდგომარეობა ა. კ. რესპუბლიკებში და მომავალი პერსპექტივები, 2) გლეხკომების საერთო მდგომარეობა და მათი მუშაობის პერსპექტივები ამიერ-კავკასიაში.

დასასრულ, თათბირმა გადასწყვიტა არ დაიწყოს მუშაობა რ. ს. ფ. ს. რ. სოც. უზრ. კომისარიატის წარმომადგენლის ამხ მახალინის ჩამოსვლამდე. ამგვარად თათბირის სხდომა გადაიდო დღეს საღამოსათვის.

წითელი ჯვრის საქალაქო კონფერენცია

გუშინ საღამოს ჯანსახკომის სანიტგანათლების თეატრში გაიხსნა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თბილისის საქალაქო კონფერენცია.

კონფერენციაზე ექ. ძიძაძემ მოხსენება გააკეთა საზოგადოების ცეკას მუშაობის შესახებ 1925—26 წელში.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, საანგარიშო წლის განმავლობაში თვალსაჩინოდ გაიზარდა საზოგადოების საექიმო დაწესებულებათა რიცხვი.

1926 წლის დასასრულს მთელ რესპუბლიკაში სათემო კომიტეტების რიცხვი გაიზარდა 113-მდე, სამაზრო კომიტეტების—14-დე; ამასთანავე ირიცხებოდა ორი ავტონომიური რესპუბლიკის განყოფილება—24 სათემო კომიტეტით და ერთი საზოგადოება აფხაზეთში—24 სათემო კომიტეტით.

ყველა ამ კომიტეტებში ირიცხებოდა დაახლოვებით—700.000 წევრი.

სულ საზოგადოების გამგებლობის ქვეშ იმყოფება 47 სამკურნალო დაწესებულება, სადაც მუშაობს საექიმო პერსონალი 158 პირის შემადგენლობით. ამ დაწესებულებებში წლის განმავლობაში გატარებულია—73.899 ავადმყოფი მათგან—29.965 მალარიითაა დაავადებული და მათზე დახარჯულია 162 კილო ქინაქინა.

საზოგადოების წლიური შემოსავალი გამოხატულა 381.000 მანეთში და აქედან საექიმო სასანიტარო საქმიანობაზე დახარჯულა—152.000 მან. ანუ 55.34 პროც.

შეკითხვებისა და კამათის შემდეგ, კონფერენციამ აირჩია დელეგატები სრულიად საქართველოს ყრილობაზე, რომელიც იხსნება 19 მარტს დელეგატებათ არჩეულ იქნა 20 კაცი.

პოლიგ. მრეწვ. მუშათა მეექვსე ყრილობა

ყრილობის გახსნა

3 მარტს, საღამოს 7 საათზე, მუშათა ახალ კლუბის დარბაზში გაიხსნა სრ. საქართველოს პოლიგრაფიულ მრეწველობის მუშათა მეექვსე ყრილობა. ყრილობა გახსნა კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ნიკიტინმა, რომლის წინადადებით არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ანშელსა, დოლიძე, ნიკიტინი, ფანცულაია, არჯევანიძე, ნაცვლიშვილი, ალიკპეროვი, შარაშიანი, ფერაძე, სტოეცკი, დროზდენკო არელიშვილი, გოგიშვილი, მარკოვი და დარახველიძე.

საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს ამხ. სტალინი, რიკოვი, ტომსკი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, მახარაძე, ბორშევსკი, ბუხარინი, თოდრია და ბოლქვაძე.

ყრილობის მიერ მიღებულია შემდეგი დღის წესრიგი: ცენტრალური გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებანი, კავშირის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის და პოლიგრაფიულ მრეწველობის კომიტეტის საანგარიშო მოხსენებანი, საქ. სახელგამის მოხსენება, არჩევნები და მიმდინარე საკითხები.

რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ფანცულაიას მოხსენება კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობა-საქმიანობის შესახებ.

ცენტრ. გამგეობის მუშაობა

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ცენტრ. გამგეობის შემადგენლობა მუშაობას შეუდგა 1925 წლის ოქტომბრიდან. ამავე ხნიდან იწყება კავშირის წევრთა ზრდა და მიმდინარე ყრილობისათვის კავშირში უკვე ირიცხება 2352 წევრი.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კავშირის წევრებს შორის ჩატარებულ პროფმუშაობას, ქარხკომების ქსელის მდგომარეობას, ადგილებთან კავშირს, საწევრო გადასახადების შეკრების საქმეს და სხ.

დასასრულ მომხსენებელი ვრცლად ჩერდება მუშა ხელის მდგომარეობაზე, უმუშევრობაზე. სამუშაო ხელფასზე და სტამბების მდგომარეობაზე.

მედსანშრომის მუშაკთა ყრილობა

მეოთხე სხდომა

მეოთხე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა სარევიზიო კომისიის წარმომადგენლის ამხ. კვირიკაძის მოხსენება, რის შემდეგაც გაიხსნა კამათი ცენტრალური გამგეობის მუშაობის გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ლომიძემ, კვიციანიძემ, კანკავამ, კაჭკაჭაშვილმა, ჟორდანიამ, ხოლოვიოვამ და სხვ.

გამოსული ორატორები აღნიშნავდენ, რომ ცენტრალური გამგეობის საქმიანობას ახასიათებს ბევრი მიღწევები, მაგრამ ადგილი მაინც ჰქონდა რამოდენიმე ნაკლს. ასეთ ნაკლად ჩაითვლება ზოგჯერ კავშირის არაწევრების სამსახურში მიღების დაშვება, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დაგვიანება და სხვ.

მაზრების წარმომადგენლები თავიანთ სიტყვებში აღნიშნავდენ, რომ საჭირო არის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მაზრებში სტაჟიანი ექიმების გაგზავნას, აფთიაქების მუშაობის მოგვარებას, მუშა-მოსამსახურეთა დაწინაურებას და მთელ რიგ საკითხებს, რომელნიც მეტად დიდ ინტერესს იწვევს პროვინციაში მომუშავე მედპერსონალს შორის.

მეხუთე სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 40-მდე დელეგატმა. კამათის დასრულების შემდეგ საპასუხო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ამხ. ალ. ჯიჯაძე.

თავის საბოლოო სიტყვაში ორატორმა აღნიშნა, რომ ცენტრალური გამგეობა უძლური იქნება არსებულ დეფექტებთან ბრძოლაში, თუ მას შესაფერ დახმარებას არ აღმოუჩენენ ადგილობრივი მომუშავენი. შემდეგ ორატორი ეხება ხელფასის მომატების საკითხს და ამის გარშემო გამოთქმულ საყვედურებს და აღნიშნავს, რომ ცენტრალურმა გამგეობამ უკვე მიიღო ზომები მედპერსონალისათვის ხელფასის მოსამატებლად, მაგრამ, თუ ჯერ-ჯერობით მაინც აქვს უკმაყოფილებას ადგილი, ეს აიხსნება იმით, რომ კავშირს არა აქვს შექმნილი ხელსაყრელი ფინანსიური ბაზა.

მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ყრილობა

მეორე სხდომა

3 მარტის დილის სხდომაზე გაიხსნა კამათი მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ცეკას წარმომადგენლის ამხ. რაბკოვის მოხსენების გარშემო. გამოსული ორატორები აღნიშნავდენ ზოგიერთ არადამაკმაყოფილებელ მხარეებს ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში.

ამხ. რაბკოვის საპასუხო სიტყვის შემდეგ ყრილობა გადადის რესპუბლიკანური ცენტრალური გამგეობის მოხსენების მოსმენაზე. ცენტრ. გამგეობის საქმიანობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ა. ფირალიშვილი. მომხსენებელი ეხება მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის ზრდას და ამასთან დაკავშირებით კულტურულ მოთხოვნილებათა გაღრმავების საჭიროებას.

შემდეგ ორატორი გადადის კავშირის ცენტრ. გამგეობის საორგანიზაციო მუშაობაზე, კავშირის წევრების მოძრაობაზე და აღნიშნავს, რომ წარსული საანგარიშო წლის განმავლობაში კავშირის წევრთა რიცხვი გაიზარდა 113 პროცენტით, რაც უნდა ჩაითვალოს სარეკორდო ციფრათ. ამგვარად, მიმდინარე ყრილობისათვის მიწა-ტყის კავშირის წევრთა რიცხვი აღწევს 17.849 კაცს.

დასასრულ ორატორი ვრცლად შეეხო ცენტრალურ გამგეობის მუშაობის სხვა დარგებს. როგორც, მაგალითად, სატარიფო მუშაობას. კოლხელშეკრულებათა დადების გარშემო ჩატარებულ საქმიანობას, მუშაობას მოჯამაგირეთა შორის და შეჩერდა იმ ზომებზე, რომელიც მიიღო ცენტრ. გამგეობამ კულტმუშაობის გასაღრმავებლად.

საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი.

ქიმიკოსთა ყრილობა

მეხუთე სხდომა

3 მარტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ცენტრ. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღო 16 დელეგატმა.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა მთელ რიგ წარმოებებში წარმოების გაუმჯობესება, მუშაობის პირობების გადასინჯვა და სხვ. მოკამათენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ წარმოებებში მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცეთ ჩატარებას და აღნიშნავდენ, რომ პროდუქციის გაიაფების კამპანიაში პროფკავშირმა უნდა გამოიჩინოს მეტი აქტივობა.

მეექვსე სხდომა

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. ალ. დევდარიანის მოხსენება ს. მ. უ. ს. ქიმიური მრეწველობის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ. თავის მოხსენებაში ამხ. დევდარიანი ეხება ს. მ. უ. ს. მიერ შემუშავებულ ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმას და აღნიშნავს, რომ ხუთი წლის განმავლობაში აგებული უნდა იქნეს მთელი რიგი ახალი ქარხნები, როგორც, მაგალითად, ბარიტის საფქვავი ქარხანა, ცემენტის ქარხანა, შუშეულობის ქარხანა და სხვ.

შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიხსნა კამათი მოსმენილ მოხსენების გარშემო. შემდეგ მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება, რითაც ყრილობის მორიგი სხდომა დაიხურა.

თბილისის მაზ. თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

მეორე დღე. დილის სხდომა.

მეორე დღის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ადგილებიდან და ამხ. ვართაპეტოვის მიერ გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო. ამხ. ფარნიევი უპასუხებს იმ თემაღმასკომების თავმჯდომარეებს, რომელნიც ამტკიცებდენ, თითქოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მძიმე ტვირთად აწევს ღარიბ გლეხობას. თავის-თავად სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მიმართულია სოფლის შეძლებული ნაწილის დასაბეგრავად, და თუ ღარიბი გლეხობა იბეგრება, აქ დამნაშავე არიან თვით ადგილობრივი მუშაკნი, რომელნიც წესიერად ვერ ადგენენ გადამხდელთა სიებს.

განათლების მდგომარეობას მაზრაში ახასიათებს აღმასკომის განათლების განყოფილების ინსტრუქტორი, რომელიც აღნიშნავს თბილისის მაზრის სოფლების დაწინაურებას ამ მხრით, რასაც მოწმობს ამ უკანასკნელ წლებში სოფლად გავრცელებული პერიოდული ლიტერატურა. სართაჭალის თემში ყოველდღიურად ვრცელდება 500 ცალი გაზეთი, ასეთივე მდგომარეობაა საგარეჯოსა, მანგლისში და სხვა თემებში).

ამხ. ვართაპეტოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია კონკრეტიულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად.

საღამოს სხდომა

მიწათმოწყობა თბილისის მაზრაში

(მომხსენებელი ამხ. შანიძე).

მიწათმოწყობას,—ამბობს მომხსენებელი, საფუძვლად უდევს სხვადასხვა რაიონების მეურნეობის ხასიათი. 1925—26 წლის განმავლობაში მაზრაში მუშაობდა სულ 20 მიწისმზომელი, რომელთაც მიწათმოწყობა დაამთავრეს 41.944 დესეტინაზე. მიმდინარე წლის დამდეგიდან უკვე დაიწყო წინასწარი მზადება საინსტრუმენტო მუშაობის დასაწყებად. კიდევ მაზრაში მიწათმოწყობის თვალსაზრისით დასამუშავებელია 191.532 დესეტინა, რომელსაც სჭირდება 240 მიწისმზომელი. მიწათმოწყობის დამთავრება გათვალისწინებულია 1931 წელს. მიმდინარე წელს იწარმოებს მიწისმზომელთა ჯგუფური (ხუთ-ხუთი კაცი) მუშაობა. მიწისმზომელთა რაოდენობა წელს გადიდებულია 21 კაცამდე. წელს დაახლოვებით მოწყობილი იქნება ას ათას დესეტინამდე მიწა.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

სასოფ.-სამ. გადასახადი თბილისის მაზრაში

(მომხსენებელი ამხ. გ. დოლიძე)

თბილისის მაზრაზე 1926—27 წელს გაწერილი იყო 289.953 მანეთი გადასახადი. ამ თანხიდან 1 ნოემბრისათვის უნდა შემოსულიყო 35 პროცენტი, ნამდვილად კი აიკრიფა 37 პროცენტი მეორე ვადაზე 1 იანვრისათვის უნდა აკრეფილიყო 85 პროცენტი, აიკრიფა—63 პროცენტი, მესამე ვადაზე—1 თებერვლისათვის—100 პროცენტი, აიკრიფა—80 პროცენტი. პირველ მარტისათვის მაზრაში აკრეფილი იყო სულ 84 პროც.

ამავე სხდომაზე მაზრის კეთილმოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სიხარულიძემ.

განათლების მუშაკთა კავშირის კონფერენცია

3 მარტი, დილის და საღამოს სხდომები

ცენტრალური გამგეობის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. გეგენავა)

საანგარიშო პერიოდი, მომხსენებლის სიტყვებით, წარმოადგენს წინსვლის პერიოდს განათლების მუშაკთა კავშირის ისტორიაში. გეგმიანობა მუშაობაში, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, საკავშირო აპარატის დაახლოება მასასთან, ძირითად პროფუჯრედებზე ხელმძღვანელობის გაძლიერება, პროფუმცირესობათა შორის მუშაობის გაფართოება და, დასასრულ, მუშაობა კავშირის ფინანსების გასაჯანსაღებლად —აი დამახასიათებელი მომენტები ც. გ.-ის ორგანიზაციულ საქმიანობისა გასულ საანგარიშო პერიოდში.

დიდი მიღწევა არის აგრეთვე ადგილობრივ ორგანოების მიერ ჩატარებული მუშაობა, კოლექტიურ ხელშეკრულებების დასადებად, რომელმაც გამოიწვია უფლებრივ გარანტიების დაწესების გარდა, ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ განათლების მუშაკთა სამუშაო ხელფასის საგრძნობი ზრდა, თბილ. აღმასკომთან დადებულ კოლექტ. ხელშეკრულებების საშუალებით გადიდებულ იქნა პირველი და მეორე საფეხურის სკოლის მუშაკთა ხელფასი. შედარებით უფრო მეტი ხელფასის მქონე ჯგუფების მიმართ ძველი მდგომარეობაა შენარჩუნებული. უცვლელია აგრეთვე მაზრების პირველი და მეორე საფეხურის სკოლის მუშაკთა ხელფასის რაოდენობა.

რაც შეეხება კავშირის კულტმუშაობას, ამ დარგში კავშირის ცენტ. გამგეობის მიერ შემდეგი მუშაობაა ჩატარებული: მოხდა კულტფონდის ნაწილობრივი დეცენტრალიზაცია, გაცხოველდა კულტკომისიების მუშაობა, სწარმოებდა ხელმძღვანელობა და ხელისშეწყობა განათლების მუშაკთა სათვითგანვითარებო მუშაობისათვის, ეწყობოდა პროფსკოლები და პროფკურსები და აგრეთვე უფლებრივი ხასიათის წრეები ცენტრალური გამგეობის გასულ წლის მუშაობის ვრცელი დახასიათების შემდეგ მომხსენებელი მოკლედ ეხება იმ ამოცანებს, რომელიც შესრულებელი დარჩა და რომელთა განხორციელებაც შეადგენს კავშირის მომავალი საქმიანობის შინაარსს.

მოხსენების დამთავრების შემდეგ დაიწყო კამათი საკავშირო განათლების მუშაკთა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მოხსენების და საქ. განათ. მუშაკთა კავშირის საქმიანობის გარშემო.

ახალი ელექტრო სადგური

მოსკოვი, 3 მარტი. საკავშირო მთავრობამ საჭიროდ სცნო უახლოეს ხანში შეუდგეს დიდი ელექტროსადგურის აგებას მდ. რიონზე ქუთაისის ახლოს. (ალს).

სახ. კომ. საბჭოში

მილიციის სამმართველოს დებულების დამტკიცება

სახკომსაბჭომ დაამტკიცა იუსტიციის სახკომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა—ქალაქისა და სამაზრო მილიციის სამმართველოების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოთ შემოღების შესახებ.

ადგილობრივ საბჭოების ქონებათა ინვენტარიზაცია

სახკომსაბჭომ დაამტკიცა ფინსახკომის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა—ადგილობრივ საბჭოების ქონებათა ინვენტარიზაციის შესახებ.

მდინარეების ექსპლოატაცია ოზურგეთის მაზრაში

სახკომსაბჭომ დაავალა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს შეისწავლოს საკითხი ოზურგეთის მაზრაღმასკომისათვის მდინარე „ღელაბერა"-ს, „მალთაყვა"-ს და სხ. საექსპლოატაციოთ გადაცემის შესახებ.

კურორტ ბახმაროს ტერიტორიის გაფართოება

კურორტ ბახმაროს ტერიტორიის გაფართოების საკითხი გადაეცა შესასწავლად კომისიას მ.-გ. ინსპექციის სახ. კომისარის (თავმჯდომარე) და მიწათ-მოქმედების, ჯანმრთელობის, შინაგან საქმეთა კომისარიატების და ს. მ. უ. საბჭოს წარმომადგენლების შემადგენლობით.

ბახმაროს აჭარისტანის ტერიტორიით გაფართოების საკითხი გადაეცა დასკვნისათვის აჭარისტანის სახკომსაბჭოს.

საგეგმო კომისიაში

საკურორტო სამმართველოს შუამდგომლობა

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა საკურორტო სამმართველოს შუამდგომლობა—ტყის შემოსავლიდან მაზრაღმასკომების სასარგებლოდ 40 პროცენტიან ანარიცხების გადახდისაგან განთავისუფლების შესახებ. საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში არსებული ტყეები ხელს უწყობენ სამკურნალო საქმეს და ამისათვის მათი დაცვა-შენახვა მოითხოვს განსაკუთრებულ ზრუნვასა და ხარჯებს. ამისდამიხედვით საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ამ ტყეების მთელი შემოსავალი შედიოდეს აღნიშნულ სამმართველოს სალაროში და შემდეგ კი იხარჯებოდეს თვით მათ მოვლა-გაშენებაზე, მხოლოდ ვინაიდან მიმდინარე წლის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია და ამ უკანასკნელით კი გათვალისწინებულია ამ შემოსავლის 40 პროც. დაგროვება მაზრაღმასკომების სასარგებლოთ, ამისათვის საკურორტო სამმართველოს შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება მხოლოდ მომავალი წლიდან.

გეოდეზიურ კომიტეტის დაარსების შესახებ

პრეზიდიუმმა მიიღო პროექტი გეოლოგიურ კომიტეტის კარტოგრაფიულ მუშაობათა აღრიცხვის შესახებ. მასთან საჭიროდ იქნა ცნობილი დაარსდეს საქართველოში გეოდეზიური კომიტეტი სააღმშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან. სახკომსაბჭოს წარედგინება სათანადო დებულება დასამტკიცებლად.

შეღავათები მიწის მოწყობის დარგში

საქართველოს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალა შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად ნორმები გადასახადისა, რომელიც უნდა გაიღოს მესამე ჯგუფის გლეხობამ მიწის მოწყობის საქმეში.

ღვინით ვაჭრობის შესახებ

პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო იმ პირობათა საფუძვლიანი გამოკვლევა, რაც უშლის ხელს ჩვენი ღვინის გასაღებას საქართველოს რესპუბლიკის ფარგლების გარეშე, განსაკუთრებით რუსეთის ბაზარზე. ამ გამოკვლევის დასრულებამდე ნაადრევად ჩაითვალა ა.-კ. ფარგლებში ღვინით მოვაჭრე ორგანიზაციების გაერთიანების საკითხის განხილვა.

ვის მიეცემა

უფასო სამკურნალო დახმარება

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა დაადგინა ცენტრალურ საჩვენებელ სამკურნალო დაწესებულებებში, როგორიცაა ფსიხო-ნევროლოგიური, თვალის სნეულებათა, ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტები და სამეანო გინეკოლოგიური ინსტიტუტი, უფასო დახმარება აღმოუჩინოს შემდეგი კატეგორიის მოქალაქეთ:

1) სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს, თუ მათ აქვთ სიღარიბის და სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან განთავისუფლების მოწმობა; 2) იმ მოქალაქეთ, რომლებიც აყვანილი არიან სოც. უზრუნველყოფაზე და საამისო დოკუმენტებს წარმოადგენენ (ინვალიდები); 3) მოჯამაგირეებს, რომლებიც არ არიან დაზღვეულნი; 4) წითელარმიელთა ოჯახის წევრებს; 5) მუშფაკებისა და კომუნისტ. უნივერსიტეტის მსმენელთა ოჯახის წევრებს, თუ უკანასკნელნი წარმოადგენენ შესაფერ საბუთებს.

ამ დადგენილების გამო ჯანსახკომმა მისწერა ყველა ჩამოთვლილ სამკურნალო დაწესებულებებს დაუყონებლივ აღმოუჩინონ დახმარება ჩამოთვლილი კატეგორიების ავათმყოფებს.

წითელ ჯვარში

ყრილობის გადადება

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წლიური ყრილობა გადაიდო 19 მარტისათვის.

დახმარება მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ

საქართველოს წითელ ჯვარმა დალმაციის (სამხრეთ-სლავია) მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ დახმარების სახით გადაუგზავნა 250 დოლარი.

დახმარება სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობას

სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობას, რომელიც დაზარალდა დიდი თოვლიანობის გამო, საქართველოს წითელ ჯვარმა აღმოუჩინა დახმარება თბილი ტანისამოსებისა და მედიკამენტების სახით.

ახალი აფთიაქი

ბაშის (ქუთაისის მაზრა) წითელი ჯვრის საექიმო პუნქტთან გაიხსნა აფთიაქი.

სას.-სამ. მანქანები ნისიად

ა.-კ. სას.-სამ. იარაღ-მანქანებით მოვაჭრე სააქციო საზოგადოება—„ზაკსელმაში" ჩვენი გაზეთის თანამშრომელს გლეხობის სას.-სამეურნეო იარაღ-მანქანებით მომარაგების შესახებ აცნობებს შემდეგს: საზოგადოება „ზაკსელმაშს" მიმდინარე საოპერაციო წლისათვის საზღვარგარეთიდან და რუსეთის სამრეწველო ცენტრებიდან გამოწერილი აქვს დიდძალი სხვადასხვა ტიპის სას.-სამ. იარაღ-მანქანები, რომლებიც დანაწილებული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში შესაფერ ორგანიზაციების საშუალებით. განაწილების საქმეში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ღარიბ გლეხთა არტელებს და გაერთიანებებს და აგრეთვე კერძოდ ღარიბ გლეხებს „ზაკსელმაშის" ორგანიზაციებიდან შეუძლიათ ნისიათ შეიძინონ მათთვის საჭირო იარაღ-მანქანები. „ზაკსელმაში"-ს ამ გადაწყვეტილებით სუსტ მეურნეობებს, საგლეხო ორგანიზაციებს და ღარიბ გლეხებს სასოფლო-სამეურნეო მანქანები მიეცემათ ნისიათ 3 წლის ვადით.

წყალსადენი

წყალსადენის გამომკვლევი კომისიის მიერ საკვლევ რაიონებში დადგმულია ახალი საბურღი დაზგა, რომელიც აწარმოებს მიწის ნიადაგის დიდ სიღრმეზე ამოღებას იმ მიზნით, რომ გამორკვეული იქნეს წყლის რაოდენობა მიწის ღრმა ფენებში.

წყალსადენის სამმართველოს მიერ პლეხანოვის პროსპექტზე კინო-აპოლოდან ვიდრე ორჯონიკიძის კლუბამდე წყალსადენის სამ დიუმიანი მაგისტრალი შეცვლილია 5 დიუმიანი მილით. ეს ღონისძიება გამოწვეულია ამ რაიონში წყალზე მოთხოვნილების გაძლიერებით. ამავე რაიონში გადიდებულია სახანძრო ონკანების რიცხვი.

განაპირა უბნებში წყალსადენის ქსელის გასაფართოებლად მიმდინარე წლისათვის გადადებულია 113 ათასი მანეთი. ამ თანხით გაყვანილი იქნება წყალსადენის მაგისტრალი, რომლის საერთო სიგრძე 20 კილომეტრს მიაღწევს. წყალსადენის სამმართველოს მიერ უკვე გამომუშავებულია წყალსადენის გასაყვანი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

მუშათა ცხოვრება

როგორ უნდა ეწყობოდეს საერთო კრებები

საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკამ მთელი რიგი დადგენილებები გამოიტანა წარმოებებში მასიური მუშაობის შესახებ. „მასიურ მუშაობაში—ამბობს ამ დადგენილების ერთერთი მუხლი—უმთავრესი მნიშვნელობა აქვს წარმოებებსა და საქმროებში საერთო კრებებს". ექცეოდა თუ არა ამდენ ხანს საერთო კრებებს სათანადო ყურადღებას? უნდა სიმართლე ითქვას, რომ წარმოებებში საერთო კრებების მოწვევა ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ხშირად საერთო კრებები მოულოდნელად ხდებოდა. მუშა-მოსამსახურეები რამოდენიმე საათით წინ ტყობილობდენ კრების მოწვევის შესახებ, და ამიტომ მათ ისიც არ იციან, თუ რა საკითხები დგას დღის წესრიგში. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ ნაუცბათევად მოწვეულ კრებაზე მუშები ვერავითარ აქტივობას ვერ გამოიჩენენ, ასეთი კრებები ვერ შეუწყობს ხელს მუშების აქტივობის ზრდას, მუშების ჩათრევას მასიურ მუშაობაში.

საერთო კრებების მოწვევის შესახებ მუშათა მასებს ერთი ორი დღით ადრე მაინც უნდა ეცნობოთ. განცხადებაში უსათუოდ აღნიშნული უნდა იქნეს დღის წესრიგი და მომხსენებლები.

შემდეგ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხების შერჩევას. მიტინგური ხასიათისა და რევოლიუციონურ დღესასწაულებთან დაკავშირებული საკითხების საერთო კრებაზე დასმას უნდა ვერიდოთ. ეს საკითხები უმთავრესად უნდა გადავიტანოთ მუშათა კლუბებში, წითელ კუთხეებში და სხვ. წარმოების გარეშე სპეციალურ კრებებზე. წარმოების საერთო კრებებზე კი უმთავრესად წმინდა საქმიანი ხასიათის საკითხები უნდა ისმებოდეს, რომლებიც მუშათა ფართო მასებს აინტერესებს.

საერთო კრებებზე, როგორც ცეკას დადგენილება ამბობს, უნდა ისმებოდეს კოოპერაციის, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენელთა საანგარიშო მოხსენებები. კამპანიები საბჭოს, პროფორგანოების, და კოოპერაციის არჩევნებთან დაკავშირებით, თვით ადგილობრივ წარმოების სხვადასხვა საკითხები. მუშათა საერთო კრებებზე უსათუოდ უნდა კეთდებოდეს ინფორმაციული მოხსენება იმის შესახებ, ტარდება თუ არა საერთო კრების დადგენილებები ცხოვრებაში, ან თუ არ ტარდება რა უშლის ხელს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მუშებმა იცოდენ, რომ მათი დადგენილება ქაღალდზე კი არ რჩება, არამედ მათ აზრს ანგარიშს უწევენ და დადგენილებებს ცხოვრებაში ატარებენ, ეს ხელს შეუწყობს მუშების გააქტივებას და მათი მასიურ მუშაობისადმი ინტერესების ზრდას.

ცეკას დადგენილებები უსათუოდ შესწავლილ უნდა იქნენ და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით თავის დროზე უნდა გატარდეს ცხოვრებაში. ეს შეუწყობს ხელს მუშათა ფართო მასების გააქტივებას და მათ ჩათრევას მასიურ მუშაობაში.

მუშის კავშირი სოფელთან

24 თებერვალს თბილისის რკინის გზის რონოის ფარეხის მუშა-მოსამსახურეების საშეფო კომისია გაემგზავრა თავის საშეფო სოფელში ვენატკლაში. კომისიასთან ერთად წავიდა ოფლად ოთხი წითელარმიელი, 5 ქალი და 20 კაცი მუშები, რომ გლეხებთან ერთად ჩაეტარებიათ საქართველოს გასაბჭოების და ექვსი წლის თავი და წითელ ლაშქრის არსებობის 9 წლის თავი.

25 თებერვალს კომისია შეუდგა სასწავლებლის დარბაზში სცენის მოწყობას წარმოდგენისათვის. დღის 12 საათზე მთელი სოფლის გლეხობამ თავიანთი ცოლ-შვილით მოიყარა თავი სასწავლებლის დარბაზში. მუშების და გლეხების საზეიმო კრებას ხსნის შეფ-კომისიის თავმჯდომარე მუშა მირიმანოვი. პრეზიდიუმში არჩევენ 6 კაცს, სამ გლეხს და სამ მუშას. დღის წესრიგში სდგას მოხსენება წითელი ლაშქრის 9 წლის თავი და საქართველოს გასაბჭოების 6 წლის თავი. მოხსენებას აკეთებს მუშა გაბო ხარატაშვილი. მოხსენების შემდეგ მილოცვის სიტყვებით გამოდის ორი წითელი ჯარისკაცი, კრება იხურება დღის 2 საათზე. შემდეგ მუშები მართავენ წარმოდგენას ამ სოფლების ცხოვრებიდან აღებულს, რომლითაც გლეხობა დიდად კმაყოფილი დარჩა. შემდეგ დადგმული იქნა კომიკური „ეჭვისა მჭირს".

მუშკორი ძია—ლევან.

მუშათა საბინაო მშენებლობა

28 თებერვალს საქართველოს ბინათ-კავშირის შენობაში, ჯორჯიაშვილის ქ., შესდგა ლენინის სახელობის საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობის და ამხ. „მბეჭდავის" წევრთა შეერთებული კრება. კრებამ მოისმინა ლენინის სახ. საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობის გამგეობის წლიური ანგარიში და განიხილა მისი ფინანსიური მდგომარეობა, რის შესახებაც ვრცელი ანგარიში გააკეთა ამხ. ა. ბეჟანიშვილმა. ლენინის სახ. საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობას „ფიქრის გორაზე" აშენებული აქვს რამდენიმე ბინა და მასში კიდევ სრულიად დაამთავრებს ორსართულიან ოთხბინიან ახალ შენობას. ახალი სესხის საშუალებით მომავალ სააღმშენებლო სეზონისათვის ამხანაგობა კიდევ შეუდგება ბინების აგებას. ამრიგათ ამხანაგობას მკვიდრი ნიადაგი აქვს.

კრებამ გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ დაამტკიცა წლიური ბალანსი. შემდეგ მოსმენილ იქნა ბინათ-კავშირის თავმჯდომარის ამხ. გარიაშვილის ინფორმაცია საბინაო ამხანაგობების მიზნების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საბინაო აღმშენებლობა სამი მიმართულებით სწარმოებს: კომუნალური, სამეურნეო და კოოპერატიული. ამათში უფრო ხელმისაწვდომია მუშებისათვის საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობები, ვინაიდან სესხი, რომელიც ეძლევა საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობებს ერთობ ხელსაყრელია მუშებისათვის. მაგრამ ამხანაგობათა წევრებმა არ უნდა იფიქრონ, რომ საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობები საქველმოქმედო დაწესებულებანი არიან; ყველა ასეთი ამხანაგობების წევრები მასში ჩაწერის შემდეგ ერთგვარ ვალდებულებას კისრულობენ და ბინის ღირებულების მეათედი (10 პროცენტი) უნდა გადაიხადონ, რომ სახლის აგება დაუბრკოლებლივ აწარმოვოსო,—განაცხადა მომხსენებელმა.

შემდეგ კრებამ მოისმინა მეორე ამხანაგობის „მბეჭდავის" წარმომადგენლის ამხ. გ. მაისურაძის ინფორმაცია ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ. როგორც გამოირკვა, ამ ამხანაგობას სხვადასხვა დაბრკოლებელ მიზეზთა გამო ბევრი ვერაფერი გაუკეთებია, ამის გამო წევრებმა სურვილი გამოსთქვეს შეუერთდენ ლენინის სახელობის საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობას.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ დაადგინა ზემოხსენებული ორივე ამხანაგობა გააერთიანოს სახელწოდებით: „ლენინის სახელობის მბეჭდავთა საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობა".

შემდეგ კრებამ ახალ გამგეობაში აირჩია შემდეგი ამხანაგები: უ. ჯავში, ჟუკოვი, ბეჟანიშვილი, მაისურაძე, ტოროტაძე, შალიკიანი და შახნაზაროვი და სარევიზიო კომისიაში: ამხ. გ. ბოლქვაძე. გრ. ოქახეზოვი და საბუროვი.

უ. ჯ.

საწარმოო თათბირის მუშაობა

ლენინის სახელობის თუთუნის ქარხნის საწარმოო თათბირი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს შრომის ნაყოფიერების ასაწევად და საერთოდ წარმოების ასაღორძინებლად.

გასული წლის განმავლობაში მოწვეული იქნა 34 სხდომა, რომელზეც გაირჩა დაახლოვებით 75-მდე საკითხი. თათბირები მთავარ ყურადღებას აქცევდა „ნედლი მასალის მიზანშეწონილად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების შემაფერხებელ მოვლენებს, იარაღების გაუმჯობესებას, ქარხნის ზოგიერთ განყოფ-ბების გაფართოებას, მუშების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას და საერთოდ წარმოების აღორძინების საქმეს.

34 დადგენილებიდან ადმინისტრაციამ სისრულეში მოიყვანა 25 საკითხი. დანარჩენი საკითხები საკმაო თანხის უქონლობის გამო ჯერ - ჯერობით მოუგვარებელია.

საერთოთ ადმინისტრაცია ჯეროვან ყურადღებას აქცევს საწარმოო თათბირის მუშაობას. ის ყოველგვარ ახსნა-განმარტებას აძლევს თავისი მონაწილეებს ამა თუ იმ დადგენილების სისრულეში მოყვანისა და მის შედეგების შესახებ.

საერთოდ ლენინის სახელობის თუთუნის ქარხნის საწარმოო თათბირი ნაყოფიერ მუშაობას აწარმოებს, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ადგილობრივი.

ანგარიშწარმოება „მკვდარ სულებზე"

ა.-კ. რკინის გზის ფინკონტროლის გამორკვევით საინვენტარო [illegible] ნაწილის [illegible] ხელ არ მოუხდარა საბ. ხელისუფლების დამყარების დღიდან. ინვენტართა ნაშთები გადმოტანილია ძველი წიგნებიდან, ხოლო თვით „ძველი წიგნების" ნიშან წყალი არსად არ მოიპოვება აღნიშნულ დაწესებულებაში. აქედან ცხადია, თუ რა სისწორე შეიძლება აღდგენილი იქნას ანგარიშწარმოებისა, მაშინ, როცა მთავარი ფუძე ანგარიშწარმოების დასაწყისისა დაკარგული არის. ეგ არაფერი.

ყველაზე უფრო გასაკვირი და თუ გნებავთ აღმაშფოთებელიც ის არის, რომ საინვენტარო წიგნები დღემდე დაუმთავრებელი სახით ყრია საანგარიშო ნაწილში, დღიდან მენშევიკურ მთავრობის გაქცევისა და ის დავალიანება, რომელიც მათ გვარდიის შტაბებსა და სხვადასხვა დეპარტამენტებზე ირიცხებოდა, დღესაც ჩამოუწერელი არის, თითქოს ხვალვე შეიძლებოდეს ვალების დაფარვა და წიგნების „კანონიერი" საფუძვლიანი დახურვა. ნუ თუ ამ ექვსი წლის განმავლობაში თავში არავის მოუვიდა აზრად სამმართველოში, რომ „მკვდარი სულების" დავალიანება ჩამოეწერა და წიგნები დაეხურა. ამ დავალიანების ერთი წლიდან მეორე წლის წიგნებში გადატანა იწვევს ხარჯებს და დროის დაკარგვას, მაშინ, როცა თითონ დავალიანება უიმედო და აუნაზღაურებელია.

მოვიყვანთ მაგალითს: მენშევიკურ მთავრობის შტაბზე ირიცხება—560 მან. 15 კაპ., ბრონე შტაბზე—292 მან. 32 კ., რკ. გზ. სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის რწმუნებულზე 94 მ. და სხვ. რა არის ეს თუ არა მკვდარ სულებზე ანგარიშის წარმოება.

გარდა ამისა, აღმოჩენილ იქნა მთელი რიგი დაუდევრობისა და გზა აბნეულობისა ანგარიშწარმოებაში. ეს აიხსნება საქმისადმი გულგრილად მოპყრობით და პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტებით. ისეთი, ინვენტარი ინახება საანგარიშო ნაწილში ორ დიდ შკაფში და ზანდუკებში, რომელიც ან სრულიად გამოუსადეგარია, ან არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. მაგალითად ხატები. ვის რად უნდა დღეს ხატები?

ხატები ინახება შკაფში და საინვენტარო წიგნები კი იატაკზე ყრია.

არის თუ არა ეს გულგრილობის და უპასუხისმგებლობის ნაყოფი?

თიოკოლი.

გვარებსაც დავასახელებთ

პლეხანოვის სახ. კლუბის მორიგე მილიციელნი ხშირად დამსწრეებს უდიერად ეპყრობიან და დაცვის მაგივრად თვით არღვევენ წესრიგს. მილიციის უფროსმა ამხ. მილიციელებს გაფრთხილება უნდა მისცეს.

მუშათა ქრონიკა

— **ექსკურსია.** 27 თებერვალს „ზაკტპო"-ს მუშა-მოსამსახურეები აწყობენ ექსკურსიას ეროვნულ გალერეის დასათვალიერებლად.

— ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის გაზეთის პირველი ნომერი გამოვა დღეს „კულტ-ძრავის" სახელწოდებით.

— **პიესა.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბის ქართულ დრამწრის ხელმძღვანელმა ვ. ნინიძემ საქართ. გასაბჭოების შესახებ დასწერა პიესა „ზღაპრები სინამდვილიდან", რომელიც იდგმება დღეს მისივე ხელმძღვანელობით.

— **კედლის გაზეთი.** ამავე კლუბის გამგეობამ დაადგინა 25 თებერვალს გამოუშვას კედლის გაზეთის პირველი ნომერი.

— **ბუფეტი.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახ. კლუბთან გაიხსნა ბუფეტი.

— **კონსულტაცია.** სადგურის ქუჩაზე გაიხსნა ბავშვთა კონსულტაცია რკინის გზელების შვილებისთვის.

— **სამტრედიის** საუბნო კომიტეტმა სენაკის კლუბის საჭიროებისათვის გაიღო 70 მან.

— **კრება.** 3 მარტს შესდგება სადგ. თბილისის მოძრაობის დარგის საშეფოს საზ-ბის სხდომა. დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) ბიუროს მოხსენება თავის მუშაობის შესახებ, 2) არჩევნები და 3) მიმდინარე საკითხები.

—**თანხის გაღება.** სამტრედიის საუბნო კომიტეტმა სამტრედიის რკინის გზის კლუბის საჭიროებისათვის გაიღო 700 მან.

— **კონცერტი.** შაბათს, 5 მარტს, ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში იმართება ბილბულის კონცერტი.

ფასების დაკლების კამპანია

ფასების დაკლება ფართლეულზე

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებით, საკავშირო საფეიქრო სინდიკატის თბილისის, ბაქოს და ერევნის განყოფილებებში, საფეიქრო ნაწარმოების ბითუმად ვაჭრობისათვის დაწესებულია მაქსიმალურ-საზღვრითი ზედნადები ხარჯები.

სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატივებისათვის საქონლის მიწოდების დროს ბამბეულის ქსოვილებზე: ბაქოსათვის წესდება—9.16 პროც., თბილისისათვის—9,98 პროც. და ერევნისათვის—10,22 პროც.

შალეულზე, კამვოლის ქსოვილებზე და მაუდზე: ბაქოსათვის—6,35 პროც., თბილისისათვის—7,02 პროც. და ერევნისათვის—7,63 პროც.

სელის ქსოვილებზე: ბაქოსათვის—5,95 პროცენტი, თბილისისათვის—6,82 პროც. და ერევნისათვის—7,43 პროც.

კერძო მეწვრილმანე ვაჭრებისათვის საქონლის მიწოდების დროს, ბამბეულის ქსოვილებზე ბაქოსათვის წესდება—9,66 პროც., თბილისისათვის—10,48 პროც. და ერევნისათვის—10.72 პროც., შალეულზე, კამვოლის ქსოვილებზე და მაუდზე ბაქოსათვის—6,85 პროც., თბილისისათვის—7,52 პროც. და ერევნისათვის—8,13 პროც. სელის ქსოვილებზე ბაქოსათვის—6,45 პროც., თბილისისათვის—7,32 პროც. და ერევნისათვის—7,93 პროც.

ამგვარად ფართლეულზე ბითუმად ვაჭრობის დროს ფასები შემცირებულა საშუალოდ 1 პროცენტით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ქსოვილებზე წვრილმანათ ვაჭრობის დროს დაწესებულია შემდეგი მაქსიმალურ-საზღვრითი ზედნადები ნორმა.

ბაქოსათვის—20,5 პროც., თბილისისათვის—21,25 პროც. და ერევნისათვის—21,5 პროც. და სოხუმში—25 პროც. აქამდე ბაქოსთვის დაწესებული იყო—26 პროც., თბილისისათვის—27,8 პროც., ერევნისათვის—28.25 პროც. და სოხუმისათვის—28 პროც.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დანარჩენ ქალაქებისა და ადგილებისათვის (გარდა აფხაზეთისა), რომლებიც მდებარეობენ რკინის გზის ახლოს, მაქსიმალურ ნორმად წესდება—24 პროც., იმ ქალაქებსა და ადგილებისათვის კი, რომლებიც დაცილებულნი არიან რკინის გზაზე 20 კილომეტრით—25 პროც., 50 კილომეტრით—26 პროც. და 50 კილომეტრზე ზევით—27 პროც. აფხაზეთის ყველა ქალაქებისა და სოფლებისათვის (სოხუმის გარდა) წესდება—27 პროცენტი.

წინადადება მიეცა ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატის რესპუბლიკანურ რწმუნებულებს, რკინის გზიდან 250 კილომეტრით დაშორებულ ადგილებისათვის დააწესონ ზედნადები ხარჯების საზღვრითი ნორმა ადგილობრივი პირობების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს 29 პროცენტისა, ხოლო ყველა დანარჩენ ადგილებში—15 მარტიდან.

ეს დადგენილება ბაქოში, თბილისში და ერევანში ძალაში შედის ხუთი მარტიდან; რკინის გზის ახლო მდებარე ადგილებში—10 მარტიდან.

ამგვარად ფართლეულზე საცალო ფასები საშუალოდ მცირდება: ქალაქებში 6 პროცენტით, სოფლებში 3 პროცენტით.

ფასების დაკლება ქაღალდზე

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მიღებული ცნობით, ქაღალდის ტრესტი წინადადებას აძლევს თავის თბილისის განყოფილებას, შეამციროს ზედნადები ხარჯები ადგილობრივი ნაწარმოებ და საიმპორტო ქაღალდზე 12-დან 8 პროცენტამდე ბითუმად ვაჭრობის დროს და 17-დან 13 პროცენტამდე—წვრილად ვაჭრობის დროს.

საგაზეთო ქაღალდზე ფასების დაკლება არ ვრცელდება და იგი გაიყიდება წინედ დაწესებულ ფასებში.

ეს დადგენილება ვრცელდება ყოველ იმ უკვე გაყიდულ საქონელზე, რომელთა მყიდველებს ჯერ არ მისცემიათ ანგარიშები.

მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის მრეწველობის ხუთწლიანი (1926-31 წ.) პერსპექტიული გეგმა და ამ გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური ხარჯი 70.177.300 მან. რაოდენობით. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან—58.629.000 მან. და საკუთარი სახსრიდან 11.548.300 მან.

პერსპექტიული გეგმასთან დაკავშირებით სამთო-ქიმიურ კომბინატს დაევალა შეისწავლოს სახურავი სლანცისა და ფლორიდების დამუშავების საკითხი და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს.

საჰაერო ფოსტა

15 აპრილიდან დაიწყება რეგულიარული საჰაერო მიმოსვლა თბილისსა და მოსკოვს შორის ბაქოზე,—მინერალურ წყლებზე,— არმავირზე, —დონის-როსტოვზე და ხარკოვზე გადაფრენით. საჰაერო მიმოსვლას აწყობს უკრაინის საჰაერო საზოგადოება „უკრვოზდუხპუტ".

თბილის-ბაქოს და ბაქო-მინერალური წყლების ხაზზე მიმოსვლა იწარმოებს კვირაში ექვსჯერ.

მთელი ხაზი თბილისიდან მოსკოვამდე დაყოფილია ოთხ უბნად: 1) თბილისი-ბაქო, 2) მინერალური წყლები-როსტოვი, 3) როსტოვი-ხარკოვი და 4) ხარკოვი-მოსკოვი. თვითეულ უბანზე იწარმოებს ფოსტის გაცვლა-გამოცვლა.

იმ მიზნით, რომ საჰაერო ფოსტით გაგზავნილი კორესპონდენციები სასწრაფოდ გაიგზავნოს საქალაქო ფოსტაში ან და რკინის გზის განყოფილებებში თბილისის, ბაქოს როსტოვის, ხარკოვის და მოსკოვის ჰაეროდრომებზე მოწყობილია სააგენტოები, რომელთა მიზანია საჰაერო ფოსტის სასწრაფოდ გადაგზავნა კუთვნილებისამებრ.

თვითეული აეროპლანით გადაზიდულ იქნება 50 კილოგრამი ფოსტა. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მიერ უკრაინის საჰაერო საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულების ძალით საზოგადოება ვალდებულია ფოსტა ჩამოყაროს სხვა პუნქტებშიც. იმავე ხელშეკრულების ძალით საზოგადოებას უფლება არა აქვს სახელმწიფო ფოსტის გარდა გადაიტანოს კერძო ორგანიზაციების ფოსტა.

საჰაერო რეისების მოწყობა 15 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე დაჯდება 145.000 მანეთით.

ჰაეროპლანებით გასაგზავნი საფოსტო კორესპონდენცია მიღებული იქნება ამიერ-კავკასიის ყველა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში და განყოფილებებში.

რევოლ უციის მუზეუმში

მასალები მიწათმფლობელობის შესახებ მეცხრამეტე საუკუნეში

რევოლიუციონურმა მუზეუმმა დაამთავრა მასალების დამუშავება საქართველოში მიწათმფლობელობის შესახებ 1890 წლისათვის. მიღებული და დამუშავებული მასალებით ირკვევა, რომ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გლეხთა და აზნაურთა მიწათმფლობელობა პროცენტული შეთანაზრებით იძლეოდა შემდეგ სურათს:

ქუთაისის მაზრაში გლეხობა შეადგენდა მოსახლეობის 96 პროც. და მათ მფლობელობაში იყო სასარგებლო მიწის 60 პროცენტი. თავადაზნაურობა კი შეადგენდა მოსახლეობის 4 პროც. და მათ მფლობელობაში ითვლებოდა მიწების 40 პროცენტი.

შორაპნის მაზრაში გლეხობა შეადგენდა მოსახლეობის 94,5 პროც. და ფლობდენ მიწების 53,7 პროც.; აზნაურობა კი მოსახლეობის 5,5 პროც. იყო და ფლობდენ მიწების 46,3 პროც.

საერთოდ მთელ დასავლეთ საქართველოში გლეხობა შეადგენდა (საშუალოთ) მოსახლეობის 95 პროცენტს და ფლობდა საშუალოთ მიწების 38 პროცენტს, ხოლო თავად-აზნაურობა შეადგენდა მოსახლეობის 5,5 პროცენტს, და მის მფლობელობაში კი იყო მიწების 62 პროც.

აღმოსავლეთ საქართველოში კი გლეხობა საშუალოდ შეადგენდა 96 პროცენტს, გლეხებს ეკუთვნოდა მიწების 60 პროცენტი. დანარჩენი მიწები კი თავად-აზნაურობის განკარგულებაში იყო.

შოფერების მომზადება

დაახლოებით ამ ერთი წლის წინეთ ტრანსპორტის მუშათა კავშირის ინიციატივით მოეწყო შოფერების მოსამზადებელი კურსები, რომელზედაც მიღებულ იქნა 42 კაცი. კურსებზე მიღებულნი სამსახურში არიან შოფერების თანაშემწეების თანამდებობაზე; მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით.

კურსანტების გამოშვება მოხდება 15 მარტს, კურსდამთავრებულები ჩაირიცხებიან ავტომანქანების მმართველებათ, ანუ კვალიფიციურ შოფერებათ.

კურსანტების გამოშვების შემდეგ ტრანსპორტის მუშაკთა კავშირს გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს მომუშავე შოფერების ექვსთვიანი გადასამზადებელი კურსები. სულ კურსებზე მიიღებენ 100 კაცს.

გადასამზადებელ კურსებზე ლექციების საკითხავად მოწვეული არიან სპეციალისტი ინჟინრები.

წითელ ჯარში

1906 წელში დაბადებულთა სამხედრო წვევამდე მზადება

მიმდინარე წლის 27 თებერვლიდან საქართველოში დაიწყება 1906 წელში დაბადებულთა სამხედრო წვევამდე მზადება.

ყველა ახალგაზრდა, რომელსაც ეხება მზადების გავლა, ვალდებულია გამოცხადდეს დაუგვიანებლივ მიწერილ წერტზე.

თანახმად მე-2-ე ქართ. დივიზიის სარდლობის განკარგულებისა, იმ პირთ, რომელთაც ეხებათ მზადების გავლა, არ მიეცემათ შეღავათი და არავინ იქნება განთავისუფლებული მზადებიდან.

სარდლობა არ მიიღებს შუამდგომლობებს მზადებისაგან განთავისუფლების შესახებ, როგორც კერძო პირებისგან, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

სამხედრო წვევამდე მზადება გასტანს 27 მარტამდე.

წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

(№ ქართ. მსრ. დივიზია)

შემოდგომაზე მიღებულ ახალწვეულთა შორის წერა - კითხვის უცოდინარნი შეადგენდენ მთელი შემადგენლობის 20 პროც.

ყაზარმაში მოსვლისთანავე უცოდინარნი იქნენ აყვანილნი აღრიცხვაზე და დანაწილებულნი ჯგუფებად. ყოველ ჯგუფს მიჩნეული ჰყავდა ხელმძღვანელი, რომელსაც დაევალა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ადგილობრივმა განათლების განყოფილებებმა და პოლიტგანებმა ჯარის ნაწილებს აღმოუჩინეს დახმარება სახელმძღვანელოებით და სხვა საჭირო მასალით.

უცოდინარობის ლიკვიდაცია დივიზიაში მიმდინარეობდა წარმატებით. დღეს არც ერთ ნაწილში არ მოიპოვება წერა - კითხვის უცოდინარი არმიელი. ყველანი თავისუფლად კითხულობენ წიგნებს და თანამშრომლობენ როგორც კედლის, ისე დივიზიის გაზეთებში.

მოკლე ხანში დივიზიის ნაწილებში ჩატარებულ იქნება საერთო გამოცდები, გამოსარკვევათ იმისა, თუ რა ნაკლი სდევდა წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

მზადება ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ქართული ჯარის ნაწილები უკვე შეუდგნენ მზადებას ქალთა საერთაშორისო დღის ჩასატარებლად.

შემუშავებულია დღის ჩატარების გეგმა.

ლენინის კუთხეებში წინასწარ იწარმოებს ხმამაღლა კითხვა და საუბრები ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ.

ნაწილების საერთო კრებებზე გაკეთებულ იქნება მოხსენებები ქალთა საერთაშორისო მოძრაობაზე და ქალთა საკითხის მდგომარეობაზე ჩვენში და უცხოეთში.

8 მარტს ნაწილების კლუბებში, სამოქალაქო ორგანიზაციებთან დაკავშირებით, გაიმართება საღამო - წარმოდგენები.

ამავე დღეს ნაწილები გამოუშვებენ კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრებს.

ნაწილების ბიბლიოთეკები ამ დღისათვის მოაწყობენ სათანადო წიგნების გამოფენას.

გასამხედროების ფრონტზე

№ ლეგ. მე-8 ე ასეული

შეკრებათა შორის პერიოდი ჩვენმა ასეულმა ნაყოფიერად გამოიყენა. ამოქმედებულ იქნა ასეულის დაბანაკების რაიონში არსებული სამხედრო კუთხეები.

ყველა კუთხესთან დაარსებულ იქნა სამხედრო საქმის შემსწავლი წრეები.

ტეხნიკურად კუთხეები ვერ არიან მოწყობილნი, მათ აკლიათ ბევრი საჭირო მასალა და ნივთები. მიღებულია ზომები, რომ თემაღმასკომმა კუთხეები შეიტანოს თავის ხარჯთ-აღრიცხვაში.

სამხედრო კუთხეების მუშაობა გამოიხატება შემდეგში: ტარდება სისტემატიურად საუბრები სამხედრო თემებზე, ეწყობა წიგნების და გაზეთების ხმა - მაღლა კითხვა. ხშირად იმართება კითხვა - პასუხის საღამოები.

ამ მუშაობაში ჩაბმულნი არიან ცვალებადელები, წვევამდელნი, პარტკომკავშირის წევრები და მრავალი კერძო პირი.

სამხედრო საქმის პროპაგანდისათვის ადგილობრივ კედლის გაზეთში გამოყოფილია სამხედრო განყოფილება.

ა—ძე.

ქრონიკა

შორეული მიწისძვრა

3 მარტს დილის 4 საათსა და 17 წუთზე საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა აღნიშნეს შორეული ძლიერი მიწისძვრა. მიწისძვრის კერა მდებარეობს თბილისიდან 9.200 კილომეტრის მანძილზე, ალბად, აღმოსავლეთ აზიის კუნძულებზე.

ვინ იგზავნება სამუშაოზე

შრომის ბირჟა დღის სამუშაოზე გზავნის კვალიფიციურ მუშათა სექციიდან (პირველი სექცია) 1) ოვსანო კლივაჩუკ 2) პელაგია ტომსონს 3) ანნა მაქსიმოვას 4) იულია ვოზნაიას 5) რუბენ ცატუსოს, 6) ვასილ მარანიძეს. გონებრივ შრომის მუშაკთა სექციიდან (მეორე სექცია) 1) პარასკევა კაზიევას 2) ნინო სლივიცკაიას 3) ზაქრო ბარტყულაშვილს.

კურორტ ბახმაროს გაფართოვება

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაავალა განსაკუთრებულ კომისიას შეისწავლოს საკითხი კურორტ ბახმაროს ტერიტორიის გაფართოვების შესახებ და გამოარკვიოს კურორტის სამთო-სანიტარული დაცვის ზონა.

საბჭოთა მეურნეობის გამოკვლევა

ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია რესპუბლიკანურ ინსპექციებთან ერთად შეუდგა საბჭოთა მეურნეობების გამოკვლევას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. გამოკვლევის დამთავრება განზრახულია 25 აპრილისათვის.

თბილისის აღმასკომში

◆ **ნაძალადევის დასაგეგმავათ** აღმასკომმა გადასდო 7.230 მანეთი.

◆ **ქ. ქუჩების** ახლად შესაკეთებლად კომუნალურ განყოფილებას გადაეცა 25.000 მ.

◆ **სახლების შეკეთება.** ქალაქის ბანკმა გადასწყვიტა საბინაო-სიჯგარო ამხანაგობებს სახლების შესაკეთებლად სესხად მისცეს 250 ათასი მანეთი.

◆ **წყალსადენის ახალი მაგისტრალების** გაყვანა. გარე უბნებში წყალსადენის სამმართველოს გადაეცა 113.000 მანეთი.

შრომის კომისარიატში

◆ **პროფსნეულების შემსწავლელი** ლაბორატორია გადაკეთებული იქნა პროფსნეულებების შემსწავლელ ინსტიტუტად.

◆ **დავალიანების წინააღმდეგ.** შრომის კომისარიატი ამ დღეებში შეუდგება ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეებისადმი ხელფასის დავალიანების გამოკვლევას.

◆ **მოზარდთა შრომა.** შრომის კომისარიატმა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა სავაჭრო დაწესებულებებში მოზარდების რიცხვის გადიდებისა.

◆ **სეზონურ სამუშაოებზე** ერთეულ მუშების გაგზავნის მოსაწესრიგებლად შრომის ბაზრის განყოფილებამ გამოიმუშავა სპეციალური გეგმა.

◆ **შრომის დაცვის** განყოფილებას წინადადება მიეცა შეუდგეს შრომის პირობების მოგვარება-გამოკვლევას ქუთაისის ბარიტის წარმოებაში.

◆ **შრომის ინსპექტორად** ქუთაისში დაინიშნა ვას. ჯიბლაძე.

◆ **„მოამბე“.** შრომის კომისარიატმა გადასწყვიტა განაახლოს შრომის კანონმდებლობის პერიოდულ ჟურ. „მოამბის“ გამოცემა.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **ახალი ბაგა.** რკინისგზის ჯანმრთელობის განყოფილებამ კამოს ქუჩაზე № 82 რკინისგზელებისათვის მოაწყო საბავშვო ბაგა.

◆ **კურსები.** ჯანსახკომი თბილისში ხსნის სამოსამართლო ექიმების გადასამზადებელ 4 თვიან კურსებს.

◆ **სამკურნალო ქსელის** გასაფართოებლად ახალციხის მაზრაში ჯანსახკომმა გამოიმუშავა ცალკე გეგმა.

◆ **რენტგენის კაბინეტში** მუშაობის უფლების მისაღებათ, ჯანსახკომის დადგენილებით საჭიროა ორი წლის სტაჟი.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **ნავთის ნაწარმოები.** დასავლეთ ევროპაში თებერვლის პირველ ნახევარში გატანილი იქნა 1.383.600 მანეთის ნავთის ნაწარმოები.

◆ **შავი ქვა.** საქართველოდან თებერვლის პირველ ნახევარში საზღვარ-გარეთ გაიტანეს 766.600 მანეთის შავი ქვა.

◆ **სპარსეთში** და ოსმალეთში თებერვლის პირველ ნახევარში ამიერ-კავკასიიდან გატანილი იქნა 1.384.400 მანეთის შაქარი, ფართლეულობა და ჭურჭლეულობა.

◆ **გოგირდი და შაბიამანი.** „ზაქსელმაშმა“ მიიღო 86.000 ფუთი შაბიამანი და 100.000 ფ. გოგირდი, რომელიც განაწილებული იქნება მევენახეთა შორის.

◆ **მატყლი.** ცეკავშირმა დაამთავრა შემოდგომის მატყლის დამზადება. სულ დამზადებულია 4.000 ფ. მატყლი.

◆ **„სოფლის კავშირი“** წელს გლეხობას განაწილებს 400.000 მანეთის სას.-სამ. იარაღ-მანქანებს.

სოც. უზრუნ. სახ. კომისარიატში

◆ **ამხ. მახალინის გამომგზავრება თბილისში.** გუშინ სოც. უზრ. სახალხო კომისარმა ამხ. კ. ხომერიკმა მოსკოვიდან მიიღო დეპეშა იმის შესახებ, რომ რუსეთის უზრუნ. სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი და ცენტრალური გლეხკომების თავმჯდომარე ამხ. მახალინი გამოემგზავრა მოსკოვიდან თბილისში ა.-კ. სოც. უზრუნვ. სახალხო კომისარიატების თათბირზე დასასწრებლად.

◆ **ქალთა დღის დღესასწაულის ჩასატარებლად.** ქალთა საერთაშორისო დღის, რვა მარტის, დღესასწაულის კამპანიისათვის სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა თავის სპეციალურ საშუალებიდან გადასცა საქართველოს ცეკას ქალთა განყოფილებას ხუთასი მანეთი.

სხვადასხვა

◆ **წითელი ჯვარის** საზოგადოების მესამე ყრილობა გაიხსნება 19 მარტს თბილისში.

◆ **ტელეფონის ქსელის შესაკეთებლად** მთელ ამიერ-კავკასიაში გადადებულია 274.000 მანეთი.

◆ **სამხედრო კოოპერატივის** სამხ. სამომხმარებლო საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობა შესდგება თბილისში 9 მარტს.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** კალაგერანიდან—პერეკრესტოვისას. ჭიათურიდან—კობახიძეს. ცხინვალიდან—ხარებოვს. ძველი ბუხარიდან—ოლენევს. ონიდან—გოცირიძეს. ლიხიდან—ეკიევისას.

რკინის გზაზე

3.782.946 მან. ახალ სამუშაოებისათვის

მოსკოვიდან დაბრუნდა ა.-კ. რკ. გზების ტექნიკური ნაწილის უფროსის თანაშემწე ინჟინერი **გ. გვერდწითელი**, რომელმაც გვაცნობა შემდეგი:

მიმდინარე საბიუჯეტო წელს გზათა მიმოსვლის კომისარიატმა ა.-კ. რკინის გზებისათვის, სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად გადასდო 3.782.946 მანეთი. ამ თანხიდან—1.333.000 მანეთი გადადებულია ხიდების აშენებისათვის და 406.350 მანეთი საბინაო შენობებისათვის.

სახელოსნოების დათვალიერება

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს საგეგმო-საკონტროლო განყოფილება შეუდგა თბილისის მთავარ სახელოსნოების ადგილობრივ ბიუჯეტზე გადაყვანის საკითხის შემუშავებას.

დამნაშავეთა დასჯა

1 თებერვალს სადგ. კოპიტნარში ადგილი ჰქონდა მატარებლების № 364 და 384 დაჯახებას. დაჯახებას მოჰყვა ერთი ორთქლმავლის და რამოდენიმე რონოდის დაზიანება, გზას ამ შემთხვევამ მიაყენა 17 ათასი მანეთის ზარალი. დაჯახების დროს სასიკვდილოდ დაშავდა მთავარი კონდუქტორი რევიშვილი, რომელიც გარდაიცვალა.

მატარებლის დაჯახებაში, ამიერ-კავკასიის რკ. გზებზე შემთხვევებთან მებრძოლმა კომისიამ, დამნაშავედ სცნო მეისრე **კოხრეიძე** და კონდუქტორი **კვირია**, რომლებიც მოხსნილ იქნენ სამსახურიდან, მემანქანე **კაპანაძე**, რომელსაც გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით რომ იგი ჩამოყენებული იქნება დაბალ თანამდებობაზე და სადგურის უფროსის თანაშემწე **წანეიშვილი**, რომელსაც მიეცა შენიშვნა.

ეპიდემიური სენები

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით თებერვლის განმავლობაში წინა თვეებთან შედარებით საგრძნობლად შენელდა გადამდებ სნეულებათა ეპიდემია. თებერვლის განმავლობაში თბილისში იყო პირველ კვირაში ქუნთრუშით დაავადების 8 შემთხვევა; მეორე კვირაში—10, მესამეში—11, (მეოთხე კვირის ცნობები არ არის); ყელჭირვებით პირველ კვირაში—4 შემთხვევა, მეორეში—6; მესამეში—13; გრიპით დაავადების შემთხვევა თებერვალში სულ აღრიცხული იქნა 519; გადამდებ სნენებს არა აქვს მძაფრი ხასიათი და დაავადებულნი იოლად იხდიან მათ.

ხელოვნება

ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილი“ ესპერანტოზე.

ბერლინში გამოვიდა ფ. ელლერზიკის გამომცემლობის ჟურნალში „Esperanto Praktiko“, 1927 წლ. იანვრის №-ში მოთავსებულია ვაჟა-ფშაველას „ჩხიკვთა ქორწილი“, თარგმანი ექიმ-ჯანის გ. ბაქრაძეს. მოთხრობის ქართული დედნის ლექსი „ბულბულის სიმღერა“ ლექსადვეა ნათარგმნი ანტონ გრაბოვსკის მიერ.

◆ **მიგაის გასტროლები.** ახლო ხანში ოპერის თეატრში დაიწყება მომღერალ მიგაის გასტროლები.

◆ **სტანისლავსკის სახელობის** მუსიკალური სტუდია საგასტროლოთ თბილისში ჩამოვა აპრილის შუა რიცხვებში.

◆ **ჟურ. „საბჭოთა ხელოვნების“** საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა“.

◆ **„ტრილბი“.** შაბათს ოპერის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება ოპერა „ტრილბი“.

◆ **„შპიარტუნში“** ორშაბათს, 7 მარტს გაიმართება მუსიკალურ სტუდიის მე-4 საჩვენებელი საღამო.

— **ლიტერატურული ალმანახი.** ქ. ქუთაისში ჟურნალ „გრდემლი“-ს მაგივრათ გამოვა ლიტერატურული ალმანახი.

— **საღამოები კულტკუთხეებში.** საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კავშირის ც. გ. კულტგანყოფილება ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს, მსხვილ ადგილკომებთა კულტკუთხეებში გამართავს საღამოებს სპეციალური პროგრამებით.

◆ **„თავადის ასული მერი“.** ორშაბათიდან კინო „აპოლოში“, „არფასტოში“ და „სოლეიში“ წავა ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირის“ ციკლიდან „თავადის ასული მერი“.

◆ **„სამსონ და დალილა“.** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „სამსონ და დალილა“.

◆ **მუშათა თეატრში** დღეს წარმოდგენილი იქნება „ნორდ ექსპრესის უცნობი ქალი“.

◆ **„გვირგვინის ქურდი“.** სახელმწიფო დრამა ამზადებს ტატიშევის მიერ ბერგსტატის რომანიდან გადმოკეთებულ პიესას: „გვირგვინის ქურდი“. თარგმანი ს. შანშიაშვილის. დადგმა კუკური პატარიძის.

◆ **სახელმწიფო დრამის სეზონი** დასრულდება მარტის 1-ლს.

სხვადასხვაში

სასამართლო

უცაბედათ თუ წინასწარი განზრახვით

(შ. ციციშვილის საქმე)

მეორე დღე

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა მოწმეების დაკითხვა.

დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ბრალდებულსა და მოკლულს შორის წინეთ კარგი განწყობილება არსებობდა.

ექსპერტების დასკვნით ციციშვილმა დეისაძის ქალს მიაყენა მსუბუქი ჭრილობები. დეისაძის სიკვდილი გამოწვეული იყო სულემის ხსნარის მიღებით.

სასამართლომ გამოაქვეყნა გარდაცვალებულ და ბრალდებულის ერთმანეთისადმი მინაწერი ზოგიერთი წერილების შინაარსი, საიდანაც სჩანს, რომ ბრალდებულსა და დეისაძეს ერთმანეთი უყვარდათ.

შემდეგ სასამართლომ გამოიტანა დადგენილება ბრალდებულ ციციშვილის დაპატიმრების შესახებ.

სახელმწიფო ბრალმდებელმა ამხ. **ჭელიძემ** ანალიზი გაუკეთა მოწმეების ჩვენებას და აღნიშნა, რომ ბრალდებულს ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა დეისაძის ქალი. შეეხო რა ბოროტმოქმედების კვალიფიკაციას პროკურორმა სთქვა: ციციშვილი უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის კოდექსის 146 მუხ. (მკვლელობა წინასწარი განზრახვით) და სის. სამარ. კოდ. 19 მუხ. (განზრახვის სისრულეში არ მოყვანა) მიხედვით.

ციციშვილმა პროცესის დაწყებისას უარი განაცხადა დამცველზე, ამიტომ გუშინ თვით ბრალდებულმა წარმოსთქვა დასაცავი სიტყვა.

ციციშვილმა თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა დეისაძის ქალი.

გუშინ საღამოს სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ბრალდებულ **შალვა ციციშვილის** საქმეზე.

ციციშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი ხონის დეისაძის წინასწარი განზრახვით მოკვლაში, რისთვისაც მიესაჯა მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი გაუნახევრა.

შემთხვევები

გ. კემხიევის დაპატიმრება

8 თვის წინედ გეურქ კემხიევმა მოიტაცა ცოლიანოვის ქალი და წაიყვანა სოფელში. ორი თვის შემდეგ ცოლიანოვი გაიქცა თავის მშობლებთან. ამის შემდეგ კემხიევი სიკვდილით ემუქრებოდა ცოლიანოვის ქალს.

რამოდენიმე ხნის წინედ კემხიევი თავს ოაესხა ვანო პოპოიანცის ოჯახობას, სადაც ცხოვრობდა ცოლიანოვი. რამდენიმე ხნის შემდეგ ხელმეორედ დაესხა თავს პოპოიანცს დანით დასჭრა ის მუცელში.

დასჭრა აგრეთვე ცოლიანოვის დედა.

2 მარტს, კემხიევი მესამეჯერ დაესხა თავს პოპოიანცის ოჯახობას და ააწიოკა მთელათ ოჯახი.

გუშინ კემხიევი დააპატიმრეს.

გვამის პოვნა

გუშინ, საღამოს, საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა ვერის ხიდთან იპოვნა დამხრჩვალი ადამიანის გვამი, რომელიც აღმოჩნდა **გიორგი ბოხონი**.

◆ **ტრამვაის რონოდაზე** ასვლის დროს 2 მარტს (რუსთაველის გამზ.) ოგანეზ მაკაროვს ჯიბიდან ამოაცალეს 200 მანეთი.

◆ **ცეცხლი.** 2 მარტს არსენალის გზა-ტკეცილზე მდებარე სახლს № 16 გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო მეხანძრეთა რაზმმა.

◆ **თვითმკვლელობა.** 2 მარტს ელისაბედის ქ. № 108 ნიკოლოზ გაბრიელისძე ენუქიძემ ხან გრძლივი ავადმყოფობის გამო რევოლვერით მოიკლა თავი.

◆ **ქურდი სახლის პატრონი.** 25 თებერვალს მილიციის ქუჩა № 32 გაქურდეს გეჯო კაზარიანცის ბინა. ეჭვით დაპატიმრებულია სახლის პატრონი ალექსანდრე გოგიევი.

◆ **თავის დაჭრა.** სასტუმრო „იმპერიაში“ რევოლვერით თავი დაიჭრა ქალაქის კომენდანტის სამმართველოს უფროსმა ნიკოლოზ პეტრესძე ლეჟავამ. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **პაპიროსების მოვაჭრეს** (რუსთაველის გამზ.) ვერნონი გოზალაშვილს მოჰპარეს 26 მანეთის ასანთი.

◆ **შეპყრობა.** 2 მარტს ქურდობისათვის დააპატიმრეს არტაშ სიმონიანცი, რომელიც დანაშაულში გამოტყდა.

— **ქურდობა.** 3 მარტს დღის 12 საათზე ბაზილეკის ქუჩა № 30 გაქურდეს პოეტ. ლადო მაჭავარიანის ბინა წაღებულია 200 მანეთის სხვადასხვა ნივთიები.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით** 2 მარტს დიდი ხევის დაღმართი № 2 გაქურდეს ვერა სარქისიანცის ბინა.

რადიო

გემო - კვების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა მოაწყოს გემოკვების მრეწველობის ფაბრიკებსა და ქარხნებში რადიო - მიმღები სადგურები 100—500 მსმენელისათვის.

პირველი ასეთი სადგური მოწყობილი იქნება თამბაქოს ტრესტის მესამე ფაბრიკაში.

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ აცნობა გემო - კვების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობას, რომ რადიო - მიმღები აპარატი 100 მსმენელისათვის ღირება 300 მანეთი, 150 მსმენელისათვის — 350 მანეთი და 500 მსმენელისათვის — 500 მანეთი.

სააქციო საზოგადოება „რადიო პერედაჩა“-მ გადასწყვიტა პროფკავშირებს რადიო - მიმღები მოწყობილობა მიაწოდოს ნისიად ექვსი თვის ვადით.

ბიბლიოგრაფია

ნ. ბუხარინი—„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა“. მოხსენება და საბოლოო სიტყვა მოსკოვის მე-15 საგუბერნიო პარტკონფერენციაზე.—**სახელგამი**—გვ. 120—ფასი 50 კაპ.

დღეს, როდესაც ინგლისის იმპერიალისტთა მეთაურობით გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად, როდესაც როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მთელს ევროპაში ომის საშიშროებაზე ლაპარაკობენ, ამხ. ბუხარინის დასახელებულ მოხსენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის გაარკვევს მკითხველს გადაბლართულ პოლიტიკურ სიტუაციაში. მოხსენება აგრეთვე ნათელ წარმოდგენას მისცემს მკითხველს ჩვენი შინაური ძლიერების შესახებ და მეორეს მხრივ იმ წინააღმდეგობებზე, რომელნიც ამხ. ბუხარინის თქმით წინ ეღობებიან ომის რეალურ საფრთხეს.

პირველ ნაწილში ამხ. **ბუხარინი** იხილავს ე. წ. „რუსეთის პრობლემა“-ს, რაიც იმაში მდგომარეობს, რომ საბ. კავშ. გამორიცხვა მსოფლიო მეურნეობიდან შეუძლებელია, რომ ევროპა უკანასკნელ დროს მწვავეთ განიცდის საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობის სისუსტის მთელ სიმწვავეს.

„რუსეთის“ პრობლემა, ამხ. ბუხარინის თქმით დაისვა კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის განსაკუთრებით ბაზრის პრობლემასთან დაკავშირებით. „დასავლეთ-ევროპაში და ამერიკაში ამჟამად მეტად მწვავედ სდგას ბაზრის პრობლემა“ და ამიტომ ადვილი ასახსნელია კაპიტალისტური ქვეყნების სწრაფვა, რათა გამონახონ საბჭოთა კავშირში ზედმეტი კაპიტალების გამოყენების ასპარეზი. ესაა ძირითადი მიზეზი კაპიტალისტური ქვეყნების გაძლიერებული მუშაობისა, „რუსეთის პრობლემის“ „გადასაწყვეტად“. ამხ. ბუხარინი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს და მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობას ყურადღების მიპყრობას საერთაშორისო მდგომარეობისაკენ, რადგან „უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ სიმპტომებს, რომელთა გათვალისწინება შეადგენს ჩვენი პარტიის, როგორც მუშათა კლასის ხელმძღვანელის მოვალეობას“, ბუხარინი ფაქტებით (საბლინის წერილებით და სხვ.) ნათელ სურათს ხატავს უკანასკნელ დროს გაზრდილ დღის წესრიგში დასმულ კაპიტალისტურ ინტერვენციისას, რომლის „იდეურ-მორალურ“ სამზადისს ხელს უწყობენ საბჭოთა კავშირის ყველა მტრები სოც.-დემოკრატებიდან დაწყებული მონარქისტებამდე.

ამხ. ბუხარინი საგანგებოთ ჩერდება გერმანიაზე, რომელიც „ამჟამად ჩაება საერთო იმპერიალისტურ პოლიტიკის ორბიტაში არა როგორც ამ პოლიტიკის **ობიექტი**, არამედ უკვე სამოდ, როგორც **სუბიექტი**, ე. ი. როგორც ერთ-ერთი აქტიურად მომქმედი ძალა იმპერიალისტურ პოლიტიკის ბაზარზე“. აქვე ამხ. ბუხარინი არკვევს მეტად პრინციპიალურ საკითხს იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში დაუჭერს მხარს და კიდეც დაიცავს თვით ნაციონალურ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს კომუნისტური პარტია. იმოწმებს რა ლენინს ამხ. ბუხარინი მთელი კომუნისტური პარტიის სახელით მტკიცეთ აცხადებს: **„ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, ყოველთვის და ყველგან მხარს დაუჭერს ყველა ჩაგრულს და დამონებულს**, თუნდაც ნაციონალურ-ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, იმ შემთხვევაში, როცა მას ყოველის მხრიდან თავს ესხმის იმპერიალისტური მძარცველები“. (გვ. 10).

ასევე საინტერესოა ამხ. ბუხარინის მიერ იმის გარკვევა, არის თუ არა დღეს საერთაშორისო რევოლიუცია და როგორ უნდა გვესმოდეს ცნება—საერთაშორისო რევოლიუციისა, „სრულიად უმართებულო, ყალბი და გულუბრყვილო იქნება—ლაპარაკობს ამხ. **ბუხარინი**—რომ საერთაშორისო რევოლიუცია წარმოვიდგინოთ როგორც ერთ აქტიანი სურათი, როცა ერთბაშად ყველა ქვეყნებში თითქო ხრონომეტრის ან ბრძანების მიხედვით დაიწყება „მსოფლიო ხანძარი“... საერთაშორისო რევოლიუცია გიგანტური პროცესია, რომელიც განზრახულია რამდენიმე ათი წლისათვის, ეს პროცესი უკვე დაიწყო იმპერიალისტური ომის დროს; იგ გაშალდა მთელ რიგ ქვეყნებზე; ჩვენს ქვეყანაში მან მიგვიყვანა მუშათა კლასის მტკიცე დიქტატურამდე; ცენტრალურ ევროპაში რამოდენიმე მონარქია დაამხო. შემდგომი განვითარების პროცესში მან განიცადა დროებითი დამარცხება, ის შეჩერდა დროებით, მაგრამ იგი ჩაღდება მეორე ბოლოდან“. ესაა ჩვენის ფაქტით საუკეთესო პასუხი მსოფლიო რევოლიუციის ცნების იმ ყალბ ინტერპრეტაციაზე, რომელსაც ოპოზიცია აყენებს.

ამხ. ბუხარინი ამიტომ არკვევს რა ერთის მხრივ ომის საშიშროების ზრდას და რევოლიუციონურ ძალთა დაჯგუფებას, მეორეს მხრივ, ასკვნის: „საერთაშორისო ბურჟუაზია ვერ გაბედავს ჩვენს წინააღმდეგ იერიშით წამოსვლას უმთავრესად იმიტომ, რომ იგი უზრუნველყოფილი არ არის თავის „ზურგის“ მხრით, თავისი საკუთარი პროლეტარიატის მხრით“.

მეორე ნაწილში **ბუხარინი** იხილავს სოციალიზმის და კაპიტალიზმის დამოკიდებულების საკითხს, სოციალისტურ აღმშენებლობის ბურჟუაზიულ გარემოცვის პირობებში. ბუხარინი აკრიტიკებს ოპოზიციის მიერ დასმულ თეზისს „კაპიტალისტურ ქვეყნებისაგან საბჭოთა კავშირის მოზარდი დამოკიდებულების შესახებ“. ის ამჟღავნებს ოპოზიციის თეზისში ლოღიკურ უვიცობას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებთან დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისა, ნიშნავს ამავე დროს და მოუკიდებლობას ჩვენი ქვეყნისას, რაც მრავალ ოპოზიციონურ ეკონომისტისათვის გაუგებარი რჩება. „ჩვენი დამოუკიდებლობა, **კლასობრივი ტიპის დამოუკიდებლობაა, ეს არის დამოუკიდებლობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებიდან...** კაპიტალისტურ სამყაროსთან ჩვენი დამოკიდებულების შინაგანი მექანიკა მდგომარეობს მასში, რომ იგი ჩვენ გამოვიყენოთ კაპიტალისტურ სამყაროდან ჩვენი დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად“. (გვ. 36).

არა ნაკლები საყურადღებოა მოხსენების ის ადგილი, სადაც ბუხარინი საბჭოთა ეკონომიკის ანალიზს იძლევა, არკვევს რა ინდუსტრიალიზაციის ნამდვილ აზრს და ანსხვავებს რა მას რადიკალურით კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციისაგან. „ჩვენი ინდუსტრიალიზაცია შინაური ბაზარს კაპიტალისტურად კი არ აყენებს, რადგან უკანასკნელი აღარიბებს და აპროლეტარებს საშუალო გლეხობას; წინააღმდეგ, ჩვენი ინდუსტრიალიზაცია იმნაირად არის მოწყობილი, რომ ემსახუროს აგრარულ-საგლეხო ბაზას—სასოფლო მეურნეობას და ამით საგლეხო მეურნეობა წინ წაიყვანოს“ (გვ. 49).

ამხ. ბუხარინი დაწვრილებით ჩერდება ფასების პოლიტიკაზე, რომელსაც „ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ცენტრალურ საკითხათ აღიარებს, რადგან ფასების პოლიტიკა მნიშვნელოვანია“ როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით, ისე ინდუსტრიალიზაციის მუშათა კლასისა და გლეხობის დამოკიდებულების თვალსაზრისითაც. ბუხარინი ამსხვრევს ოპოზიციის თეორიას ფასების შესახებ, რომელიც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში მონოპოლისტურ მდგომარეობას და არ ეთანხმება პრეობრაჟენსკის შეხედულებას საბჭოთა და კაპიტალისტურ მონოპოლიაზე. არ შეიძლება ბუხარინის თქმით, ბოროტათ და უგუნურათ გამოვიყენოთ საბჭოთა მეურნეობის მონოპოლური მდგომარეობა. არ შეიძლება საბჭოთა ეკონომიკის და მონოპოლური კაპიტალიზმის მიზნებისა და ამოცანების ერთმანეთში აღრევა და ყალბია სწორედ ამიტომ კაპიტალისტურ მონოპოლიების მაგალითიდან (როგორც ამას სჩადის ამხ. პრეობრაჟენსკი) „განუსაზღვრელ მოგებისკენ“ მისწრაფება წამოვაყენოთ ჩვენში და მოვითხოვოთ კერძოთ მაღალ ფასების აუცილებლობა.

ამხ. **ბუხარინი** საუცხოვოდ არკვევს მაღალ ფასების ეკონომიურ და პოლიტიკურ მიუღებლობას და საბოლოოდ სწყვეტს ფასების პრობლემას, რომელიც სამეურნეო განვითარების ყველაზე აქტუალურ საკითხად რჩება დღემდე საბჭოთა ეკონომიკის სინამდვილეში. ასეთია ამხ. ბუხარინის ვრცელი მოხსენების და საბოლოო სიტყვის ძირითადი მომენტები, რომელთა გულდასმით შესწავლა აუცილებელია ყველა იმათთვის, ვისაც სურს საბჭოთა კავშირის შინაური და საგარეო პროცესებში გარკვევა.

ახალი.

სახელგამის წიგნთა კორექტურის შესახებ

ამ უკანასკნელ ხანს ადგილობრივ გაზეთებში ბიბლიოგრაფიები ხშირად იწუნებენ სახელგამის გამოცემათა კორექტურას. გამომცემლობამ ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქცია და შემდეგი ზომები მიიღო:

1. კორექტორებს გამოეცხადათ, რომ თვითეულ ფორმაში კორექტურულ შეცდომათა გახსნილი რიცხვის დაშვებისათვის მათ მოხსნიან მუშაობიდან.

2. ის კორექტორი, რომლის გასწორებულ კორექტურასაც რომელსამე ბიბლიოგრაფიაში დაიწუნებენ, სამუდამოთ მოხსნილ იქნება სახელგამში მუშაობიდან.

სახელგამი ჰფიქრობს, რომ ზემოხსენებული ღონისძიებათა საშუალებით იგი შესძლებს კორექტურის სათანადოთ დაყენებას.

სახელგამის გამგე **ბ. ბიბინეიშვილი.**

ოფიც. განყოფილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ახსნა-განმარტება საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 11 მუხლისა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-11 მუხლი ანიჭებს ყველა მოქალაქეს რელიგიური პროპაგანდის თავისუფლებას. 11-მუხლი მოქალაქედ გულისხმობს მხოლოდ საბჭოთა მოქალაქეს და არა უცხოელს, რაც სჩანს ძირითადი კანონის მერვე მუხლიდან. აქ, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ ყველა ის მოქალაქეობრივი უფლება მოვალეობა, რაც კი საქართველოს სსრ კონსტიტუციით დაწესებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. მოქალაქეთათვის, ვრცელდება რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მოქალაქეზე.

ამის გამო სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი განმარტავს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რელიგიური პროპაგანდის თავისუფლება ეკუთვნის მარტოოდენ საბჭოთა მოქალაქეთ, და არა უცხოელთ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1927 წ. თებერვლის 18.
თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 19

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხ. მე-2 ნაწ. რედაქციის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10 თარიღით. და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხ. მე-2 ნაწილის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 103. მე-2 ნაწ. განადგურება, გაფუჭება, ამოღება ან სხვა ადგილას გადატანა დროებითი ან სამუდამო სამიჯნაო ნიშნისა, რაც დადგმულია მიწათმოწყობის დროს ან იმ ნიშნისა, რაც სამთ.-მად. მიზნისათვის დადგმული იქნება როგორც მიწის ზედაპირზე, ისე მიწის წიაღში ტოპოგრაფიული, გეოდეზიური და სამარკშეიდერო მუშაობის დროს, და აგრეთვე ახალი ნიშნის თვითნებისად დადგმა იქ, სადაც ის არ უნდა იდგეს გამოიწვევს

იძულებითი მუშაობას ერთ თვემდე ან ჯარიმას 50 მანეთამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—ს. ჯუღელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—ს. თოდრია.

1927 წ. თებერვლის 21.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ორშაბათს, 7 მარტს, საღამოს 5 საათზე, რუსთაველის თეატრის შენობაში მოწვეულია **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის საქალაქო კრება.**

დღის წესრიგი: მოხსენება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას თებერვლის პლენუმის შედეგების შესახებ.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის საკონტრ. კომისიის, ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის და თბილისის კომიტეტის წევრნი და კანდიდატები შედიან თავიანთი მანდატებით. ყველა დანარჩენები ბილეთებს იღებენ პარტიის სათანადო რაიკომებში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი მიხ. კახიანი.

5 მარტს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება **თბილისის მუშა-ქალთა პირველი საერთო-საქალაქო კონფერენციის გახსნა.**

დღის წესრიგი:

1) ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი,

2) შრომის ნაყოფიერების აწევა და მუშა-ქალთა მონაწილეობის გაძლიერება.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება.

— დღეს, 4 მარტს, დღის 4 საათზე შესდგება თბილისის აღმასკომის პირველი სტამბის კომუჯრედის ღია სხდომა.

— საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სამდივნოს ბიურო სთხოვს თბილისის კომიტეტის წევრს ამხ. ო. ოსეპიანს და თბილისის კომიტეტის კანდიდატს ამხ. ლავრენტიევს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საიდუმლო ქვე-განყოფილებაში.

— **სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომ.** უჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, პარასკევს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ცალკე გაერთიანებული კრება. დასწრება სავალდებულოა.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების ც. გამგეობაში (მე-4 სართული, ოთახი № 76) კვირას, 6 მარტს, დღის 12 საათზე, შესდგება პარტიულ სტენოგრაფების თათბირი, რომელზედაც მოწვეულია დაწესებულებებში მომუშავე პარტიული სტენოგრაფები.

იურიდიული რჩევა-დახმარება

აღსრულების ფურცლის განაღდების შესახებ

ლეჩხუმელ გლეხს გიორგი ნიკ. ხეცურიანს

თქვენ გვწერთ, რომ ლეჩხუმის აღმასკომს მართებს თქვენი შრომის ხელფასი 485 მანეთის რაოდენობით. ამ თანხაზე ქუთაისის შრომის სასამართლომ გასცა კიდეც აღსრულების ფურცელი. მაგრამ აღმასკომი არ იხდის ამ ფულებს ნებაყოფლობით. ამიტომ გვთხოვთ ახსნა-განმარტებას, თუ როგორ უნდა მოიქცეთ და ვის უნდა მიმართოთ ამის შესახებ.

გიპასუხებთ

თანახმად სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მუხ. 287-ის და მის შენიშვნისა, სასამართლოს აღმასრულებლის საშუალებით უნდა აცნობოთ ამის შესახებ შრომის საქმეთა პროკურორს, რომელსაც აქვს უფლება ლეჩხუმის აღმასკომს იძულების წესით მოსთხოვოს 485 მანეთის გადახდა ან მოითხოვოს დამნაშავე პირის სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემა.

როგორ უნდა გადავიხადოთ სახელმწიფო და სხვა გადასახადები

ჩვენ სოფ. [illegible] (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრებლები, სამი ძმა გაყრილი ვართ შინაური წესით. გაყრა არ გაგვიტარებია რეგისტრაციაში ადგილობრივ აღმასკომში. მიწები და საერთო ქონება კი გაყოფილი გვაქვს და ვსარგებლობთ ცალ-ცალკედ.

გთხოვთ ახსნა განმარტებას, თუ რა წესით უნდა გადავიხადოთ სახელმწიფო და სხვა გადასახადები. ძმები კაკაჩიები.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 58-ისა, გაყრა, რომელიც რეგისტრაციაში არ არის გატარებული, კანონიერად არ ჩაითვლება. ასე შინაურულად გაყოფილი მიწა და ქონება მიწათმოწყობის და საფონდო მიწების განაწილების დროს ჩაითვლება ერთ გაუყოფელ კომლად, ხოლო სახელმწიფო და სხვა გადასახადს, გამოსაღებს და ბეგარას კი თითეული გაყოფილი ცალკე იხდის.

უიმედოთ დარჩენილნი გულ-დათუთქულნი დედა ოლღა, დები: ნინო, თამარი, მარო, ელენე, ძმა პლატონი, სიძეები:—სამსონ ხოჭოლავა და მიხეილ ლოლაძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 8 მარტს სრულდება 1 წელი, რაც უდროოთ დავკარგეთ ჩვენი უძვირფასესი, საყვარელი, ოჯახის ბურჯი და გულიდგან ამოუღებელი მე-14 სკოლის 6 კლასის მოწაფე

ჟორჟიკ (გოგი) ილარიონის-ძე

შარაბიძე

7 მარტს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი წმ. ნინოს სასაფლაოზე, დილის 9 საათზე. 1913

ღრმად მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე სეფორე ქუთათელაძისა; ცოლის დები: მაშიკო და დარიკო სანაძეები; ცოლის ძმები: გერასიმე და ყარამან სანაძეები; რძლები: პელაგო, სარა და კლეო სანაძეები; ცოლის ძმის შვილები: ქსენია, თამარა, ცუცა და ტიტიკო; სიძეები: აკაკი ქამუშაძე და გივი ბახტაძე, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 6 მარტს, დილის 12 საათზე ქ. ხონში გადახდილი იქნება პანაშვიდი

სარდიონ ლევანის-ძე

ქუთათელაძის

გარდაცვალებიდან 40 დღის თავის აღსანიშნავად. 1919

ოლია ხოშტარიას ასული მელია. გულითად მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც გაიზიარა მისი მწუხარება ძვირფას მეუღლის აგრონომ

პეტრე გრიგოლის-ძე მელიას

გარდაცვალების გამო—პირადი დასწრებით დასაფლავებაზე, თუ დეპეშის გამოგზავნით. 1915

თავზარდაცემული მშობლები: ეკატერინე ნიკოლოზის ასული და ალექსანდრე (მოსოსტრი) დადეშკელიანები შვილებით: ეკატერინე, მარიამ, ნიკოლოზ და ალექსანდრითი, ბიძა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე და ელენე ნიკოლოზის ასული ორლოვსკები, ბიძა სერგო ნიკოლოზის-ძე და მარიამ ორლოვსკები, დეიდა თამარი ცქიტიშვილი შვილებით და მამიდა მადი ბიქირბეის ასული და დავით პოლიევქტის-ძე კარბელაშვილები, აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ საყვარელ და ძვირფას

ბელა დადეშკელიანის

უეცარი და უდროოთ გარდაცვალებას. გამოსვენება შაბათს, 5 მარტს, დღის 3 საათზე, პლეხანოვის გამზირი № 91. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 1925

მწუხარებაში მყოფნი მშობლები პელაგო და გერა იმე სანაძეები, მეუღლე კლიო, ქალიშვილი მერი, დები: ქსენია, თამარა, ცუცა ძმა ტიტიკო, მამიდები: სეფორა, მაშიკო, დარიკო, ბიძა ყარამანი, ბიცოლა სარა და სიძეები აკაკი ქამუშაძე და გივი ბახტაძე, აუწყებენ ნაცნობთ ნათესავთ და მეგობართ, რომ ამა წლის 6 მარტს, კვირას, დღით 12 საათზე ქ. ხონში გადახდილ იქნება პანაშვიდი

მიშა გერასიმეს-ძე სანაძის

გარდაცვალებიდან 6 თვის თავის აღსანიშნავათ. 1927

გულმოკლულნი; და ელისაბედი, სიძე ოლიფანტე, დისშვილები: კოტე, გოგუცა, ხუნუ და ტატიანე სტურუ ბი. გამზრდელი დეიდა ნინო, დეიდაშვილები: იაში (პორფილე) მარიამ კვირკველიები, ცებე (ეკატერინე) და სამსონ სალაყაიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობ-მეგობართ, რომ მათი საყვარელი და სიამაყე

ვანო (ივანე) მარკოზის-ძე

ფრანგიშვილის

გარდაცვალების წლის თავი დანიშნულია კვირას, 6 მარტს, ს. გუგუნაყათში ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 767

სახელმწიფო დრამა

3—1 ნ. 765

დღეს, 4 მარტს, ნ. აზიანის — მთელი შემოსავალი გადაიდება ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ფონდის გასაძლიერებლად.
დეზერტირკა კომ. 4 მოქ. დღეისათვის ყოველგვარი კონტრამარკები გაუქმებულია

შაბათს, 5 მარტს ნ. შიუკაშვილის **ამერიკელი ძია**
ორიგინალური კომედია 4 მოქმედ. და 3 ინტერმედიით
დადგმა ალ. ახმეტელის. მხატვარი: მ. შავიშვილი.

კვირას, 6 მარტს, ბილ-ბელოცერკოვსკის **საჩე მარჩხნივ!**
პიესა 4 მოქ. 15 სურათი მუსიკა: პ. იპოლიტოვის.
დადგმა: ალ. ახმეტელისა. კონსტრუქ. და კოსტ. ირ. გამრეკელის

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

სახელმწიფო ოპერა

ნ. 763

დღეს, 4 მარტს, მე-3 აბონიმენტის მე-8-ე წარმოდგენა **სამსონ და დალილა**

შაბათს, 5 მარტს, პრემიერა **ტრილბი**

კვირას, 6 მარტს, **დაისი**

ს მშაბათს, 8 მარტს, ს. ი. მიგაის გასტროლი **ევგენი ონეგინ**

სახელმწიფო ოპერა

ს. ი. მიგაის გასტროლები

სამშაბათს, 8 მარტს, **ევგენი ონეგინ**
ევგენი—**მიგაი**

ხუთშაბათს, 10 მარტს **დემონი**
დემონი—**მიგაი**

ბილეთები იყიდება. ნ. 764

1927 წლის 5 მარტს (შაბათს), საღამოს 6 საათზე

მუშათა სასახლის დიდ დარბაზში შესდგება

ინჟენერთა და ტეხნიკოსების სრულიად საქართველოს

მესამე ყრილობის გახსნა

1922

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. 17—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.
0—3 ნ. 743

მხატვრული ისტორიული რომანი ივანე მრისხანეს ეპოქიდან
„მონის ფრთები“ 9 ნაწილად.

მონოპოლიურათ ჩვენთან: პირველად თბილისში დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
ФАВОРИТКА МАГАРАДЖИ
10 ნაწილად

მერი პიკფორდ სეზონის საუკეთესო სურათში „როცა გადნება თოვლი“

„ტყავის ხელთათმანები“

ანონსი: შაბათიდან „ეშმაკის ბორბალი“

ორშაბათიდან 7 მარტ. კინო-თეატრებში აპოლო, არფასტო, სოლეი „თავადის ასული მერი“

ცირკი

ძმ. ტანტების
ტელ. 16—67
წაიკითხეთ, ჩვენი აფიშები!!
1—1 ნ. 766

ს.ს.ს. რესპ.დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების ხელმძღვანელობ.
დღეს, 4 მარტს 1927 წ.
განსაკუთრებულ დანიშნულების სილამო
განსაკუთრებულ შეჯიბრებათა საღამო
ევროპის ჩემპიონის **ერტნერის** გამოსვლა ტორეადორის სახით. ერტნერი შეებმება ხარს
ინგლისური ბოქსი—მატჩი. სუტიაგინი—სიდოუკი. გრძელდება ჭიდაობა. **ჭიდაობს 3 წყვილი**
წაიკითხეთ აფიშები. ადმ. ხელმძ. მ. ი. ტადე.

გურჯაანის და ლაგოდეხის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლადო ხირსელი

ამით აცხადებს, რომ ის 1927 წ. 6 მარტს, დილის 10 საათზე, სოფელ გურჯაანში სასამართლოს მახლობლად **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ილიკო დუგლაძის მოძრავ ქონებას 1) მარანი ჩალით დახურული, ქვითკირის კედლები (1-თი), ქვევრები მარანში ოცდა ჩვიდმეტი ცალი, რომელიც შეიცავს ას ოც (120) საპალნე ღვინოს, 2) გურჯაანის სადგურის მახლობლად ერთი ფიცრული ოთხ ოთახიანი სახლი დახურული ყავრით, ძირს თავისი საწყობით. აღნიშნული ქონება არის შეფასებული ათას მანეთად (1.000 მ.) ველის-ციხის საკრედიტო ამხანაგობის ვალის (1.550 მ.) დასაკმაყოფილებლად, თანახმად გურჯაანის სახალხო სასამართლოს გაცემულ ბრძანებისა 1926 წლის სექტემბრის 4-სა, № 1433, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სანოტარო თანაგანყოფილებიდან სათანადო კომუნალურ განყოფილების ცნობა, რომ არც თვითონ და არც მის ოჯახის წევრს არა აქვს რაიმე შენობა იმ ადგილას, აგრეთვე ჩამოერთმევა ხელწერილი, რომ არა აქვს შენობა რომელიმე სხვა ადგილასაც. ქე. 1926

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
სხივლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორიანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

Судебный Исполн. Нарсуда 4 го района г. Тифлиса
ПОТЕМКОВСКИЙ

сим об'являет, что 12 сего марта, 11½ час. дня, им будет продоваться с 1-го публичного торга право Николая Павловича Кикнадзе на одну третью часть одноэтажного кирпичного дома, находящегося по ул. Калинина под № 110 в коем 7 жилых комнат, кухня, ванная, подвал, под'езд, балкон крыт стеклянною галерееей, вода и канализация. Право это оценено за 1.700 руб. с каковой суммы и начнется торг, который будет произведен во дворе этого дома с соблюдением ст. ст. 301, 311, 312, 313, 314 и 316 Граж Проц. Кодекса.

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6-დან 8-მდე პლეხანოვის № 7 (ვორონცოვის ყოფ ძეგლთან) შესავალი სახლის კუთხიდან 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბონ-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, ხქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ექიმი
მეზრაბიანცი
ფილტვების, ელექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური [illegible]ზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—

ა. ვ. მიქაბერიძე.
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ქუთაისში
ექ. **დ. ა. ჩიჩელაშვილი**
იღებს შინაგან ავადმყოფებს, სპეციალურათ ექიმობს ფილტვების ავადმყოფობას
მიღება დილის 8—12 საათამდე ჭავჭავაძის ქუჩა სახ. № 9.
13—1 ჭვ. 1764

ექ. **ი. ე. გაბიჩვაძე**
პლეხანოვის პროსპექტი № 65 იღებს სპეციალურათ ვენერიულ სიფილისით და კანით ავადმყოფებს.
დილით 7 ნახ.—8 ნახ. საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

ქიმ **მ. ა. ლუკოვეცკი**
სიფილისი, კანის და ვენერიულ ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე
საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი, „მიწა-ტყის“ კავშირის წიგნაკი და თბ. დამზღვევ კასის მიმართვა სენაკის დამზღვევ კასისადმი კ. მ. წირღვავას სახელზე, ჩ. გ. 1912

საქართველოს გახაბჭოების დღიდან უგზო უკვლოდ **დაიკარგა:** გიორგი ნიკოლოზის-ძე გოდერძიშვილი 18 წლის. მის შესახებ მისმა მშობლებმა არაფერი იცის. ამისათვის ვთხოვთ, თუ კი ვინმემ იცის რაიმე გვაცნობოს 1-ლი სამილიციო უბნის შენობაში ბარამიძეს.
2—2 1900

დაკარგე პირადობის და სიღარიბის მოწმობა ალექსანდრე რურუას სახელზე, ჩ. გ. 1911

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი, ფორმა № 273 და საბჭ. და სავაჭრ. მუშაკების პროფკავშირის წიგნაკი № 12614, იპოლიტე კუზუხიძის სახელზე, ჩ. გ. 1916

დაკარგე საადრიცხო სამხედრო ბარათი გაცემული თფილისის სამხედრო კომისარიატის მიერ, უვადო პირადობის მოწმობა მოც. თფ. მ | გ. მილიციისაგან და კავშირის მოწმობა მოც. მელითონეთა კავშირის მიერ დავით მაქსიმეს-ძე ჭიპაძის სახელზე, ჩაით. გაუქმ. 1909

დაკარგე მეტრიკული ამონაწერი № 216 იოანე კოსტანტინეს-ძე ჯაიანის სახელზე, ჩ. გ. 1924

დაკარგე საადრიცხო ბარათი არსენა ალექსანდრეს-ძე გენებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1923

დაკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 5109 და მეტრიკული ამონაწერი ალექსი მათიაშვილის სახელზე, ჩაითვ. გაუქმებ. 1921

დაკარგე საადრიცხო ბარათი მიხეილ ლეონ ის-ძის მანჯავიძის სახელზე, ჩაითვ. გაუქმ. 1910

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 3074 ალექსი ილიას-ძე გოცაძეს სახელზე, ჩ. გ. 1585

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის ბარათი, ფორმა № 4, ვლადიმერ ვასილის-ძე დუდუჩავას სახელზე, ჩ. გ. 1913

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 65.